

178 /
1989 / 2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0132-5981

საბჭოთა საპარტიალო



1989

10

პასუხისმგებელი მდივანი
გელა ბერძენიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ლევან ალექსიძე
ანზი ბრუნაშვილი
(მეცნიერ-რედაქტორი)
ანუშკა გაბიაძე
ფოთა გორგოძე
აბაკი კარანაძე
დურმიუხან ლორია
ვახტანგ რაჭვალაძე
გრიგოლ როინიშვილი
თამაზ შავჭულაძე
ვიქტორ შარაშენიძე
ირაკლი ჩიქოვანი
სერგო ჯორბენაძე

Ответственный секретарь
Бердзенишвили Г. Д.

Редакционная коллегия:

Алексидзе Л. А.
Арсенашвили А. Г.
(научный редактор)
Габияни А. А.
Горгодзе Ш. В.
Джорбенадзе С. М.
Каранадзе А. Г.
Лория Д. А.
Размадзе В. А.
Роинишвили Г. В.
Чиковани И. П.
Шавгулидзе Т. Г.
Шарашенидзе В. А.

საქართველო სამართალი

№ 10

დეკემბერი

1989 წელი

86

შურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს იურისტთა კავშირის ყოველთვიური
მეცნიერულ-პრაქტიკული შურნალი

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესია	3
საქართველოს სსრ კანონი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ	5
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება სასამართლო წყობილების შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე	22
სასამართლო წყობილების შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლები	23
საქართველოს იურისტთა კავშირის დამფუძნებელ ყრილობაზე	30

მ ი ჯ ა ნ ი — სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა

ა. აბესაძე — სახელმწიფო მმართველობის აპარატი და გარდაქმნა	50
ა. არხნაშვილი — ეროვნებათაშორის ურთიერთობათა სამართლებრივი პრობლემები	56

ი ნ ბ ა რ ვ ი უ

იურიდიული სამსახურის სადღეისო ამოცანები	66
-----------------------------------------	----

თ ე ო რ ი ი ს ს ა კ ი თ ხ ე მ ბ ი

ვ. ნაჭყებია — გავების მეთოდის ზოგიერთი ასპექტი სისხლის სამართლის მეცნიერებაში	70
სხვადასხვა	79

СОДЕРЖАНИЕ



Сессия Верховного Совета Грузинской ССР	5
Закон Грузинской ССР об изменениях и дополнениях Конституции (Основного Закона) Грузинской ССР	5
Постановление Верховного Совета СССР о Порядке введения в действие Основ законодательства Союза ССР и Союзных республик о судостроительстве	22
Основы законодательства Союза ССР и Союзных республик о судостроительстве	23
Учредительный съезд Союза юристов Грузии	30
<u>Цель — создание правового государства</u>	
А. Абесадзе — Аппарат государственного управления и перестройка	50
А. Арсенашвили — Правовые проблемы межнациональных отношений	56
<u>Интервью</u>	
Нынешние задачи юридической службы	66
<u>Вопросы теории</u>	
Г. Начкебия — Некоторые аспекты метода понимания в науке уголовного права	70
Разное	79



© „საბჭოთა საშარტალი“, 1989 წ.

რედაქციის მისამართი. 880110, თბილისი, დავით აღმაშენებლის პრ. 108,
ბ. 95-88-49, 95-58-87

გალაეცა წარმოებას 30.11.89 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.12.89 წ.
ფორმატი 70×108¹/₁₆, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი
ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5.
შეკვ. № 2586 ტირაჟი 4000 უკ 09552

საქ. კვ ც-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენისანი სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესია

19104

1938

გაიმართა საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს მე-
თორმეტე სესია.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოად-
გილემ, დეპუტატმა ნ. ლალიძემ.

რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამანდატო კომისიის მოხსენება გააკეთა
ამ კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, დეპუტატმა თ. ნაზარაძემ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით, საქარ-
ველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს დეპუტატ ნ. ზინანაძეს შეაქვს
წინადადება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ
აირჩიონ დეპუტატი გივი ბრიზგალის ძე ბუმბარაძე — საქართველოს
კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

სესია ერთხმად იღებს გადაწყვეტილებას ბ. ბ. ბუმბარაძე აირჩიოს სა-
ქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

სესიაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის
პირველი მდივანი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმ-
ჯდომარე ბ. ბუმბარაძე.

სესიამ დაამტკიცა დადგენილება საქართველოს სსრ ეკონომიკური და სო-
ციალური განვითარების 1990 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ და დად-
გენილება საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1989
წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. მიიღეს კა-
ნონი საქართველოს სსრ 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, დად-
გენილება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამ-
ტკიცების შესახებ.

მოისმინეს საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7
მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებ-
რივი შეფასების საკითხთა კომისიის ინფორმაცია. სესიამ მოიწონა კომისიის
დასკვნა, რომ საქართველოში ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის
დაპყრობა სამართლებრივი თვალსაზრისით იყო სამხედრო ჩარევა — ინტერ-
ვენცია და ოკუპაცია არსებული პოლიტიკური წყობის შეცვლის მიზნით. ეს
აქცია აქედან გამომდინარე შედეგებით, პოლიტიკური თვალსაზრისით, ფაქ-
ტურ ანექსიად უნდა ჩაითვალოს და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

დეპუტატები ერთხმად ამტკიცებენ საქართველოს სსრ კანონს „საქარ-
თველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამა-
ტებების შესახებ“. იღებენ დადგენილებას ამ კანონის სამოქმედოდ შემოღე-
ბის წესის შესახებ.

მტკიცდება საქართველოს სსრ კანონები „საქართველოს სსრ სახალხო

საქ. სსრ 1. მარ. 1990

დებუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დებუტატთა არჩევნების შესახებ“.

დებუტატები კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების ინფორმაციასთან დაკავშირებით იღებენ შესაბამის დადგენილებებს საქართველოს სსრ მოქალაქეობის სამართლებრივი სტატუსის შემოღების შესახებ წინადადებათა შემუშავების, ეროვნული საჯარო ფორირებების აღდგენისა და საქართველოს ტერიტორიაზე რესპუბლიკის წვევამდელთა მიერ სამხედრო სამსახურის გავლის, რესპუბლიკაში იმიგრაციული პროცესებისა და ამ მხრივ დაშვებული ნაკლოვანებებისა და შეცდომების აღკვეთის, საქართველოს სსრ რეალური სუვერენიტეტის განხორციელების შესახებ წინადადებათა შემუშავების თაობაზე.

იღებენ დადგენილებებს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის საკითხთა, იმიგრაციის, საბჭოთა არმიის რიგებში საქართველოს სს რესპუბლიკიდან გაწვეულ ახალგაზრდობასთან მუშაობის მუდმივ კომისიათა შექმნის შესახებ.

სესიამ მიიღო დადგენილება იმის თაობაზე, რომ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების მუდმივი კომისია გარდაიქმნას მის ეკოლოგიის საკითხთა მუდმივ კომისიად.

იღებენ დადგენილებებს საქართველოს სს რესპუბლიკაში რეფერენდუმის ჩატარების წესის შემუშავებელი კომისიის, ენის შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტის შემუშავებელი, მოქალაქეთა ჯგუფის მრავალი წლის საჩივრების შემსწავლელი კომისიების შექმნის თაობაზე.

სესიამ მიიღო დადგენილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსთან დაკავშირებით დასმულ საკითხთა შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ.

სესია იღებს დადგენილებებს საქართველოს სს რესპუბლიკაში გარემოს დაცვის სამსახურის რეორგანიზაციისა და რესპუბლიკაში მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის დამოუკიდებელი სამსახურის შექმნის შესახებ.

სესიაზე მთავრობის საქმიანობის პროგრამით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, დებუტატი ნ. ზიტანაშვილი.

სესიამ დაამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ნ. ზიტანაშვილს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

დასასრულ სესიაზე გამოვიდა ამხ. ბ. ბ. გუმბარაძე.

ამით საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს მეთორმეტე სესიამ მუშაობა დაამთავრა.



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ

იღებს რა მხედველობაში, რომ სსრ კავშირში დაწყებული რეგულაციური გარდაქმნის პროცესი, რომელიც საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს. ითვალისწინებს მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის განმტკიცებისა და გაფართოების აუცილებლობას, პოლიტიკური ინსტიტუტების და საარჩევნო სისტემის მკვეთრ დემოკრატიზაციასა და სრულყოფას, საბჭოთა ფედერაციის რადიკალურ განახლებას;

ითვალისწინებს რა იმას, რომ ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მმართველობის შედეგად სსრ კავშირი ფაქტობრივად უნიტარულ სახელმწიფოდ იქცა, რის გამოც საქართველოს სს რესპუბლიკის სუვერენიტეტს გამოეცალა რეალური საფუძველი;

მიიჩნევს რა აუცილებლად ახალ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაში საქართველოს სუვერენული ინტერესების ახალ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) სრულ ასახვას;

ითვალისწინებს რა აგრეთვე იმას, რომ უკვე დღეს, ამ გარდამავალ პერიოდში, საჭიროა საქართველოს სს რესპუბლიკის მოქმედ კონსტიტუციაში ისეთი შესწორებებისა და დამატებების შეტანა, რომლებიც უზრუნველყოფენ რესპუბლიკის სუვერენული უფლებების დაცვასა და განმტკიცებას;

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო
ადგენს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შემდეგი ცვლილებები და დამატებანი:

1. მე-10, მე-11 და 69-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. საქართველოს სს რესპუბლიკაში საკუთრების ფორმებია:

სახელმწიფო (საერთო-სახალხო), კოოპერაციული, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ინდივიდუალური და შერეული საკუთრება.

საქართველოს სსრ კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შეიძლება არსებობდეს სსრ კავშირის, მოკავშირე რესპუბლიკების, საზღვარგარეთის ქვეყნების, მათი იურიდიული და ფიზიკური პირების, საერთაშორისო ორგანიზაციათა საკუთრება.

საქართველოს სს რესპუბლიკაში საკუთრების ყველა ფორმა ემსახურება საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური პოტენციალის ზრდას. საზოგა-

დღებრივი ურთიერთობებისა და პიროვნების ყოველმხრივ და განვითარებას.

საქართველოს სს რესპუბლიკაში საკუთრების ყველა ფორმა აღიარებულია თანასწორუფლებიანად და დაცულია საქართველოს სსრ კანონმდებლობით, თითოეული მათგანისათვის იქმნება განვითარების ხელშემწყობი პირობები“.

„მუხლი 11. მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სსრ სახელმწიფო საკუთრებას შეადგენს საქართველოს სსრ ტერიტორიის ფარგლებში არსებული მიწა, მისი წიაღი, წყალი, ტყე. საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო საკუთრებაა შავი ზღვის სანაპიროს მიმდებარე კონტინენტური შელფის ბუნებრივი რესურსები.

საქართველოს სს რესპუბლიკას, მის სანაპიროს მიმდებარე შავი ზღვის ეკონომიკურ ზონაში აქვს საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები.

ბუნებრივ სიმდიდრესთან ერთად საქართველოს ეროვნულ სიმდიდრეს შეადგენს წარმოების ძირითადი საშუალებანი მრეწველობაში, მშენებლობასა და სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებანი, სავაჭრო, კომუნალური, საყოფაცხოვრებო და სხვა საწარმოების ქონება, ძირითადი საქალაქო საბინაო ფონდი, აგრეთვე რესპუბლიკის ამოცანების განხორციელებისათვის საჭირო სხვა „ქონება“.

„მუხლი 69. საქართველოს სს რესპუბლიკა ინარჩუნებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლებას. ეს უფლება წმიდააფშიდა და ხელშეუხებელია.

დაუშვებელია სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს აქტით ან სხვა გზით სსრ კავშირიდან საქართველოს სს რესპუბლიკის თავისუფალი გასვლის უფლების გაუქმება ან შეზღუდვა.

სსრ კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს სს რესპუბლიკის თავისუფალი გასვლის უფლების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან საქართველოს სსრ გასულად ითვლება სსრ კავშირის შემადგენლობიდან.

იგივე შედეგი მოჰყვება უარს — დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მოთხოვნა სსრ კავშირიდან საქართველოს სს რესპუბლიკის თავისუფალი გასვლის უფლების შემზღუდველი საკავშირო აქტის გაუქმების ან შეცვლის შესახებ. საკითხს იმის შესახებ, იზღუდება თუ არა საქართველოს სს რესპუბლიკის უფლება სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლისა, წყვეტს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო“.

2. 74-ე მუხლის პირველ ნაწილს სიტყვების „გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტაში“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე“.

3. 77-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 77. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედებს საქართველოს სსრ და სსრ კავშირის კანონები და კანონქვემდებარე აქტები.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო აჩერებს სსრ კავშირის კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მოქმედებას რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თუ ცნობს, რომ ისინი არ შეესაბამება რესპუბლიკის ინტერესებს. ამასთან, წარუდგენს სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტსა და შესაბამისი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების გამომცემ ორგანოს წი-

ნადადებებს რესპუბლიკის ინტერესებთან მათი შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა, ეს აქტები არ მოქმედებენ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე“.

4. მეათე თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი 10

სახალხო დემუტატთა საბჭოების სისტემა და მათი საქმიანობის პრინციპები

„**მუხლი 85.** სახალხო დემუტატთა საბჭოები — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოები, სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოები — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონული, საქალაქო, ქალაქების რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოები — სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების ერთიან სისტემას შეადგენენ“.

„**მუხლი 86.** სახალხო დემუტატთა საბჭოების უფლებამოსილების ვადა ხუთი წელია.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დემუტატთა და ადგილობრივი საბჭოების სახალხო დემუტატთა არჩევნები ინიშნება არა უგვიანეს ოთხი თვისა შესაბამისი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოების დემუტატთა, ადგილობრივი საბჭოების სახალხო დემუტატთა არჩევნების ვადებსა და დანიშვნის წესს განსაზღვრავენ ამ ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები და კანონები“.

„**მუხლი 87.** რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის უმნიშვნელოვანესი საკითხები წყდება შესაბამისად უზენაესი საბჭოებისა და სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოების სესიებზე, ანდა გადაიცემა მათ მიერ რეფერენდუმისათვის.

უზენაესი საბჭოები ირჩევენ უზენაესი საბჭოების თავმჯდომარეებს, სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოები ირჩევენ საბჭოების თავმჯდომარეებს, უზენაეს საბჭოებსა და სახალხო დემუტატთა ადგილობრივ საბჭოებს, საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების), სადაბო და სასოფლო საბჭოების გამოკლებით, აქვთ თავიანთი პრეზიდიუმები.

სახალხო დემუტატთა საბჭოები ქმნიან მუდმივ კომისიებს, აღმასრულებელ და განმკარგულებელ, აგრეთვე სხვა მათ წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოებს.

სახალხო დემუტატთა საბჭოების მიერ არჩეულ ან დანიშნულ თანამდებობის პირებს, მოსამართლეთა გამოკლებით, არ შეუძლიათ დაიკავონ თავიანთი თანამდებობიანი ზედიზედ ორ ვადაზე მეტი.

ყოველი თანამდებობის პირი შეიძლება იყოს ვადამდე განთავისუფლებული თანამდებობიდან, თუ იგი სათანადოდ ვერ ასრულებს თავის სამსახურებრივ მოვალეობებს“.

„**მუხლი 88.** სახალხო დემუტატთა საბჭოები ქმნიან სახალხო კონტროლის ორგანოებს, რომლებიც სახელმწიფო კონტროლს უხამებენ მშრომელთა საზოგადოებრივ კონტროლს საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.



სახალხო კონტროლის ორგანოები თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამოწმებენ კანონმდებლობის მოთხოვნების, სახელმწიფო პროგრამებისა და დაავალებების შესრულებას; იბრძვიან სახელმწიფო დისციპლინის დარღვევების, კუთხურობის, საქმისადმი უწყებრივი მიდგომის გამოვლინებების, უყარათობისა და მფლანგველობის, საქმის გაკვიანურებისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ; კოორდინაციას უწევენ სხვა საკონტროლო ორგანოების მუშაობას; ხელს უწყობენ სახელმწიფო აპარატის სტრუქტურისა და მუშაობის სრულყოფას“.

„**მუხლი 89.** სახალხო დეპუტატთა საბჭოები უშუალოდ და მათ მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით ხელმძღვანელობენ თავის ტერიტორიაზე სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველა დარგს, იღებენ გადაწყვეტილებებს, უზრუნველყოფენ მათს შესრულებას, კონტროლს უწევენ გადაწყვეტილებათა განხორციელებას“.

„**მუხლი 90.** სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობას საფუძვლად უდევს საკითხების კოლექტიური, თავისუფალი, საქმიანი განხილვა და გადაწყვეტა, საჯაროობა, აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების, საბჭოების მიერ შექმნილი სხვა ორგანოების რეგულარული ანგარიშგება მათ და მოსახლეობის წინაშე, მოქალაქეთა ფართო ჩაბმა მათს მუშაობაში.“

სახალხო დეპუტატთა საბჭოები და მათ მიერ შექმნილი ორგანოები ითვალისწინებენ საზოგადოებრივ აზრს, მოქალაქეთა განსახილველად გამოაქვთ რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის უმნიშვნელოვანესი საკითხები, სისტემატურად აწვდიან ინფორმაციას მოქალაქეებს თავიანთი მუშაობისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ“.

5. მეთერთმეტე თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი 11

საარჩევნო სისტემა

„**მუხლი 91.** სახალხო დეპუტატთა არჩევნები ეწყობა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით“.

„**მუხლი 92.** სახალხო დეპუტატთა არჩევნები საყოველთაოა: არჩევის უფლება აქვს საქართველოს სსრ მოქალაქეს, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა. ადგილობრივი საბჭოს დეპუტატად შეიძლება არჩეულ იყოს საქართველოს სსრ მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი, ხოლო საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატად — 21 წელს მიღწეული მოქალაქე.“

საქართველოს სსრ მოქალაქე არ შეიძლება იყოს ერთდროულად დეპუტატი სახალხო დეპუტატთა ორზე მეტ საბჭოში.

ის პირნი, რომლებიც შედიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შემადგენლობაში, გარდა ამ ორგანოების თავმჯდომარეებისა, ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების უწყებათა, განყოფილებათა და სამმართველოთა ხელმძღვანელები, ზემოთ აღნიშნულ პირთა მოადგილეები, მოსამართლეები და სახელმწიფო არბიტრები არ შეიძლება იყვნენ შესაბამისი საბჭოს დეპუტატები.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის შესახებ კანონი

არჩევნებში არ მონაწილეობენ ფსიქიკურად დაავადებული მოქალაქენი, რომლებიც სასამართლომ ქმედუენაროდ ცნო, თავისუფლების აღკვეთის ადგილას მყოფნი, აგრეთვე ის პირები, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იძულებითი მკურნალობის ადგილებში იმყოფებიან“.

„მუხლი 93. სახალხო დეპუტატთა არჩევნები თანასწორია: ამომრჩეველს ყოველ საარჩევნო ოლქში ერთი ხმა აქვს: ამომრჩევლები არჩევნებში მონაწილეობენ თანასწორ საფუძველზე“.

„მუხლი 94. სახალხო დეპუტატთა არჩევნები პირდაპირია: სახალხო დეპუტატებს ამომრჩევლები უშუალოდ ირჩევენ“.

„მუხლი 95. სახალხო დეპუტატთა არჩევნების დროს კენჭისყრა ფარულია: ამომრჩეველთა ნებასურვილის გამოვლინებისადმი კონტროლი დაუშვებელია“.

„მუხლი 96. სახალხო დეპუტატობის კანდიდატების დასახელების უფლება აქვთ შრომითს კოლექტივებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივებს, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს.

სახალხო დეპუტატთა არჩევნების დროს დეპუტატობის კანდიდატთა რიცხვი შეზღუდული არ არის; წინასაარჩევნო კრების ყოველ მონაწილეს შეუძლია განსახილველად წარმოადგინოს ნებისმიერი კანდიდატურა, მათ შორის — საკუთარიც.

საარჩევნო ბიულეტენებში შეიძლება შეტანილი იყოს კანდიდატთა ნებისმიერი რიცხვი.

სახალხო დეპუტატობის კანდიდატები დასახელების მომენტიდან თანასწორ საფუძველზე მონაწილეობენ საარჩევნო კამპანიაში.

სახალხო დეპუტატთა არჩევნების მომზადებასთან და ჩატარებასთან დაკავშირებულ თანხებს გაიღებს შესაბამისი საარჩევნო კომისია ერთიანი ფონდიდან, რომელიც დეპუტატობის თითოეული კანდიდატისათვის თანაბარი პირობების უზრუნველყოფის მიზნით იქმნება სახელმწიფოს, საწარმოების, საზოგადოებრივი და სხვა ორგანიზაციების ხარჯზე“.

„მუხლი 97. სახალხო დეპუტატთა არჩევნები ღიად და საჯაროდ მზადდება.

არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფენ საარჩევნო კომისიები, რომლებიც იქმნება შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივების კრებების (კონფერენციების), საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების მიერ არჩეული წარმომადგენლებისაგან.

საქართველოს სსრ მოქალაქეებს, შრომითს კოლექტივებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივებს გარანტირებული აქვთ სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა პოლიტიკური, საქმიანი და პირადი თვისებების თავისუფალი და ყოველმხრივი განხილვის შესაძლებლობა, აგრეთვე კრებებზე, პრესაში, ტელევიზიითა და რადიოთი კანდიდატის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ აგიტაციის უფლება.

სახალხო დეპუტატთა არჩევნების მოწყობის წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ კანონები, ხოლო აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და აჭარის ასს რესპუბლიკაში — აგრეთვე ამ ავტონომიური რესპუბლიკების კანონები“.

„მუხლი 98. ამომრჩევლები განაწესებს აძლევენ თავიანთ დეპუტატებს. ამომრჩეველთა განაწესებს სახალხო დეპუტატთა შესაბამის საბჭოს წარუდგენს სახალხო დეპუტატი.

სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოები განიხილავენ განაწესებს, ითვალისწინებენ მათ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შემუშავებისა და ბიუჯეტის შედგენის, აგრეთვე სხვა საკითხებზე გადაწყვეტილებათა მომზადების დროს, ორგანიზაციას უწევენ განაწესების შესრულებას და აცნობენ მოქალაქეებს მათ რეალიზაციას“.

6. მე-100 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 100. დეპუტატი თავის უფლებამოსილების განხორციელებისას, როგორც წესი, არ წყვეტს საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას.

უზენაესი საბჭოს ან ადგილობრივი საბჭოს სესიის დროს, აგრეთვე კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში დეპუტატის უფლებამოსილების განსახორციელებლად დეპუტატი თავისუფლდება საწარმოო თუ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან და მას უნაზღაურდება დეპუტატის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები შესაბამისი სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან“.

7. 101-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დეპუტატს უფლება აქვს შეკითხვის წესით დააყენოს საკითხი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების წინაშე, რომლებიც ვალდებული არიან უპასუხონ შეკითხვის წესით დაყენებულ ამ საკითხს უზენაესი საბჭოს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს სესიაზე“.

8. 103-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 103. დეპუტატი ვალდებულია თავისი მუშაობის, უზენაესი საბჭოს ან სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს მუშაობის თაობაზე ანგარიში ჩააბაროს ამომრჩევლებს, კოლექტივებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებმაც იგი დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს“.

9. მეცამეტე თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი 13

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო

„მუხლი 104. საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო უფლებამოსილია განსახილველად მიიღოს და გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც საქართველოს სსრ გამგებლობას განეკუთვნება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო:

- 1) იღებს საქართველოს სსრ კონსტიტუციას, ცვლილებები შეაქვს მასში;
- 2) განიხილავს საქართველოს სსრ საზღვრებთან დაკავშირებულ საკითხებს;
- 3) იღებს გადაწყვეტილებებს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობილების საკითხებზე, რომლებიც საქართველოს სსრ გამგებლობას განეკუთვნება;
- 4) განიხილავს სსრ კავშირიდან საქართველოს სს რესპუბლიკის გასვლასთან დაკავშირებულ საკითხებს;
- 5) განიხილავს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სსრ კავშირის კანონე-

ბისა და კანონქვემდებარე აქტების მოქმედებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

6) აყალიბებს საქართველოს სს რესპუბლიკის საშინაო-პოლიტიკური და საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;

7) ამტკიცებს საქართველოს სს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტიულ გეგმებსა და უმნიშვნელოვანეს საერთო-რესპუბლიკურ პროგრამებს, ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებს; განიხილავს და ამტკიცებს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს; აკონტროლებს გეგმებისა და ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობას, ამტკიცებს მათი შესრულების ანგარიშებს, საჭიროების შემთხვევაში ცვლილებები შეაქვს გეგმებსა და ბიუჯეტში;

8) უზრუნველყოფს საკანონმდებლო რეგულირების ერთიანობას საქართველოს სს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე; საქართველოს სს რესპუბლიკის კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს საკუთრების ურთიერთობათა, სახალხო მეურნეობის მართვისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ორგანიზაციის, საბიუჯეტო-საფინანსო სისტემის, შრომის ანაზღაურებისა და ფასწარმოქმნის, დაბეგვრის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების, საქართველოს სსრ მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების, თავისუფლებებისა და მოვალეობების რეალიზაციის წესის, აგრეთვე სხვა ურთიერთობათა საკანონმდებლო რეგულირებას;

9) განმარტავს საქართველოს სსრ კანონებს;

10) ადგენს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს; განსაზღვრავს რესპუბლიკურ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სამართლებრივ სტატუსს;

11) განსაზღვრავს საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხთა გადაწყვეტის წესს; ადგენს და ცვლის ავტონომიური ოლქის საზღვრებსა და რაიონულ დაყოფას; ქმნის ქალაქებს რაიონებში და ქალაქების რაიონებს; ადგენს ქალაქების დაქვემდებარებას; სახელს უცვლის რაიონებს, ქალაქებსა და ქალაქების რაიონებს, დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებს;

12) ამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკების საზღვრების შეცვლას; ქმნის რესპუბლიკური დაქვემდებარების ახალ რაიონებსა და ქალაქებს;

13) ამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკების რაიონულ დაყოფას, ქალაქებისა და ქალაქების რაიონების შექმნას, ქალაქების დაქვემდებარების შეცვლას, რაიონების, ქალაქების, ქალაქების რაიონების სახელის დარქმევასა და გადარქმევას, აგრეთვე სხვა დასახლებული პუნქტების სახელის გადარქმევას;

14) წარმართავს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობას;

15) იღებს გადაწყვეტილებებს სახალხო კენჭისყრის (რეფერენდუმის) მოწყობის შესახებ;

16) ირჩევს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს;

17) ირჩევს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს;

18) ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მის მიერ წარმოდგენილი საპროგრამო განცხადების განხილვის შემდეგ;

19) ირჩევს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტსა და სა-

ქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს; ნიშნავს საქართველოს სსრ მთავარ სახელმწიფო არბიტრს;

20) ამტკიცებს საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაციის კოლეგიას და საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმს;

21) ირჩევს საქართველოს სსრ კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტს;

22) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობას, შეაქვს მასში ცვლილებები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებით ქმნის და აუქმებს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტებს;

23) რეგულარულად ისმენს მის მიერ შექმნილი ან არჩეული ორგანოების, აგრეთვე მის მიერ დანიშნულ ან არჩეულ თანამდებობის პირთა ანგარიშებს; წყვეტს საკითხს საქართველოს სსრ მთავრობისადმი და მთავრობის ცალკეული წევრებისადმი ნდობის შესახებ;

24) კონტროლს უწევს საქართველოს სსრ კონსტიტუციის დაცვას და უზრუნველყოფს იმას, რომ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კონსტიტუციები და კანონები შეესაბამებოდეს საქართველოს სსრ კონსტიტუციასა და საქართველოს სსრ კანონებს;

25) აუქმებს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებსა და დადგენილებებს, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის განკარგულებებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს;

26) აუქმებს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების დადგენილებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების გადაწყვეტილებებს, თუ ისინი არ შეესაბამება საქართველოს სსრ კონსტიტუციასა და საქართველოს სსრ კანონებს;

27) ნიშნავს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებს; ამტკიცებს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობას; ნიშნავს ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნებს;

28) ახდენს საქართველოს სსრ საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაციასა და დენონსაციას;

29) აწესებს საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებს;

30) გამოსცემს აქტებს საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ პირთა ამნისტიის შესახებ;

31) ახორციელებს საქართველოს სსრ კონსტიტუციითა და კანონებით დადგენილ სხვა უფლებამოსილებას.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო იღებს საქართველოს სსრ კანონებსა და დადგენილებებს“.

„**მუხლი 105.** საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო შედგება 300 დეპუტატი-საგან, რომლებსაც ირჩევენ საარჩევნო ოლქების მიხედვით, სადაც ამომრჩეველთა თანაბარი რაოდენობაა“.

„**მუხლი 106.** საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს წინა შემადგენლობის

პრეზიდიუმის საქართველოს სსრ ახლად არჩეულ უზენაეს საბჭოს იწვევს არჩევნიდან არა უგვიანეს ორი თვისა“.

„**მუხლი 107.** საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო მის მიერ არჩეული სამანდატო კომისიის წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებას დეპუტატთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ, არჩევნების კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში კი — ცალკეული დეპუტატების არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევამდე ახლად არჩეული უზენაესი საბჭოს პირველ სხდომას ხსნის და უძღვება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, შემდეგ კი — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე“.

„**მუხლი 108.** საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს ყოველწლიურად იწვევს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი მორიგ — საგაზაფხულო და საშემოდგომო — სესიებზე.

რიგგარეშე სესიებს იწვევს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი თავისი ინიციატივით, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ან საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს შემადგენლობის სულ ცოტა მესამედის წინადადებით, ასევე აფხაზეთის ასსრ თუ აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს წინადადებით“.

„**მუხლი 109.** საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესია შედგება მისი სხდომებისაგან. აგრეთვე საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მუდმივი და სხვა კომისიების სხდომებისაგან, რომლებიც უზენაესი საბჭოს სხდომებს შუა პერიოდში ეწყობა“.

„**მუხლი 110.** საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოში საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ეკუთვნით საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატებს, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, საქართველოს სსრ კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასს და აჭარის ასს რესპუბლიკების უზენაეს საბჭოებს, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს, საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს, საქართველოს სსრ მთავარ სახელმწიფო არბიტრს, საქართველოს სსრ პროკურორს.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მათი რესპუბლიკური ორგანოების სახით და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას“.

„**მუხლი 111.** საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს განსახილველად შემოტანილი კანონპროექტები და სხვა საკითხები განიხილება მის სხდომებზე. კანონების პროექტები და სახელმწიფო ცხოვრების სხვა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელიც მიიღება მისი ინიციატივით ან აფხაზეთის ასსრ ან აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების წინადადებით. შეიძლება გამოტანილ იქნეს სახალხო განხილვისათვის.

საქართველოს სსრ კანონი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სხვა აქტი მიღებულად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა საერთო რიცხვის უმრავლესობა“.

„**მუხლი 112.** საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოა, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მუშაობის ორგანიზაციას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს საქართველოს სსრ კონსტიტუციითა და საქართველოს სსრ კანონებით გათვალისწინებულ ფარგლებში.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში შედიან თანამდებობის მიხედვით: საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ორი მოადგილე — აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოების თავმჯდომარეები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეები.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს სათავეში უდგას საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი თავის უფლებამოსილებას ინარჩუნებს ახლად არჩეული საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პირველ სხდომამდე“.

„**მუხლი 113.** საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი:

- 1) იწვევს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიებს;
- 2) ორგანიზაციას უწევს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიების მომზადებას;
- 3) კოორდინაციას უწევს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების საქმიანობას;
- 4) ხელს უწყობს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატებს მათი უფლებამოსილებების განხორციელებაში და უზრუნველყოფს მათ საჭირო ინფორმაციით;
- 5) ორგანიზაციას უწევს და ატარებს ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა არჩევნებს;
- 6) ორგანიზაციას უწევს სახალხო კენჭისყრის (რეფერენდუმის) მომზადებასა და ჩატარებას, აგრეთვე საქართველოს სსრ კანონების პროექტებისა და სახელმწიფო ცხოვრების სხვა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების სახალხო განხილვას;
- 7) საკუთარი ინიციატივით ან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინადადებით წყვეტს საკითხს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე თუ ცალკეულ ადგილებში სამხედრო ან საგანგებო წესების გამოცხადების საჭიროების შესახებ; წყვეტს მოქალაქეთა ქცევის განსაკუთრებული რეჟიმის შემოღების საკითხებს;
- 8) ადგენს საქართველოს სსრ ღირსსახსოვარ და ღირსშესანიშნავ დღეებს;
- 9) ანიჭებს საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებს;

10) იღებს საქართველოს სსრ მოქალაქედ, წყვეტს საქართველოს სსრ მოქალაქეობიდან გასვლისა და უცხოელთათვის თავშესაფრის მიცემის საკითხებს;

11) ახორციელებს საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ მოქალაქეთა შეწყობას;

12) ნიშნავს საქართველოს სსრ დიპლომატიურ წარმომადგენლებს უცხოეთის სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში და გამოიწვევს მათ იქიდან;

13) იღებს მასთან აკრედიტებული უცხოეთის სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლების რწმუნებულებისა და გაწვევის სიგელებს;

14) აკვეყნებს ქართულ და რუსულ ენებზე, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქისათვის — აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების ენასა და ავტონომიური ოლქის მოსახლეობის ენაზე საქართველოს სსრ კანონებსა და სხვა აქტებს, რომლებსაც მიიღებენ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე;

15) ახორციელებს საქართველოს სსრ კანონებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი გამოსცემს ბრძანებულებებს და იღებს დადგენილებებს.

ბრძანებულება და დადგენილება მიღებულად ითვლება თუ მას ხმას მისცემს პრეზიდიუმის შემადგენლობაში შემავალ პირთა უმრავლესობა“.

„**მუხლი 114.** საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირია და წარმოადგენს საქართველოს სს რესპუბლიკას ქვეყნის შიგნით და მის საზღვრებს გარეთ.


საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ირჩევს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთაგან ფარული კენჭისყრით ხუთი წლის ვადით და არა უმეტეს ორი ვადით ზედიზედ, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს წინაშე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე შეიძლება ნებისმიერ დროს ფარული კენჭისყრით გაიწვიოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭომ. გაწვევის საკითხს კენჭი ეყრება, თუ ამას მოითხოვს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა საერთო რიცხვის არანაკლებ ერთი მეხუთედისა.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობის ვადამდე განთავისუფლების შემთხვევაში უზენაესი საბჭო ერთი თვის ვადაში ირჩევს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევნების ჩატარებამდე თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის ან მის მიერ მოვალეობათა განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს პირველი მოადგილე და თუ ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო პირველ მოადგილესაც არ შეუძლია უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციების შესრულება — უზენაესი საბჭოს მიერ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობიდან არჩეული დროებითი თავმჯდომარე“.

„**მუხლი 115.** საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე:



1) საერთო ხელმძღვანელობას უწევს იმ საკითხების მომზადებას, რომლებიც უნდა განიხილოს საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ; ხელს აწერს საქართველოს სსრ კანონებს, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებულ სხვა აქტებს;

2) საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს წარუდგენს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე ასარჩევ კანდიდატურას, აგრეთვე წინადადებებს საქართველოს სსრ კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის პერსონალური შემადგენლობის შესახებ;

3) საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს წარუდგენს კანდიდატურებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის, საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრის თანამდებობაზე დასანიშნად თუ ასარჩევად;

4) საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს წარუდგენს მოხსენებებს რესპუბლიკის მდგომარეობისა და საქართველოს სსრ საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხების შესახებ;

5) აწარმოებს მოლაპარაკებას და ხელს აწერს საქართველოს სსრ საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე გამოსცემს განკარგულებებს“.

„**მუხლი 116.** საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დებუტატებისაგან ირჩევს მუდმივ კომისიებს იმისათვის, რომ აწარმოონ საკანონპროექტო მუშაობა, წინასწარ განიხილონ და მოამზადონ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები, აგრეთვე ხელი შეუწყონ საქართველოს სსრ კანონებისა და საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ სხვა გადაწყვეტილებების განხორციელებას, კონტროლი გაუწიონ სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმიანობას.


საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო, როცა საჭიროდ მიიჩნევს, ქმნის ნებისმიერი საკითხის გამო საგამოძიებო, სარევიზიო და სხვა კომისიებს“.

„**მუხლი 117.** საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს კანონებსა და სხვა გადაწყვეტილებებს, როგორც წესი, იღებენ მას შემდეგ, რაც პროექტებს წინასწარ განიხილავენ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს შესაბამისი მუდმივი კომისიები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს, აგრეთვე საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის კოლეგიების შემადგენლობაში თანამდებობის პირთა არჩევა და დანიშვნა ხდება, თუ არის საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს შესაბამისი მუდმივი კომისიების დასკვნა.

ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანო, ორგანიზაცია და თანამდებობის პირი ვალდებულია შეასრულოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს კომისიების მოთხოვნები, წარუდგინოს მათ საჭირო მასალები და დოკუმენტები.

კომისიების რეკომენდაციები აუცილებლად უნდა განიხილონ სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა. ვანხილვის შედეგები და მიღებული ღონისძიებანი უნდა ეცნობოთ კომისიებს მათ მიერ დაწესებულ ვადაში“.



„მუხლი“ 118. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიებზე უფლება აქვს შეკითხვის წესით დააყენოს საკითხი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ შექმნილი ან არჩეული სხვა ორგანოების ხელმძღვანელების წინაშე. აგრეთვე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების წინაშე საქართველოს სსრ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე. ორგანო ან თანამდებობის პირი, რომლის წინაშე შეკითხვის წესით დაყენებულია საკითხი, მოვალეა არა უგვიანეს სამი დღისა ზეპირი ან წერილობითი პასუხი გასცეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მოცემულ სესიაზე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურებრივი თუ საწარმოო მოვალეობების შესრულებისაგან თავისი უფლებამოსილების მთელი პერიოდით.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატს სისხლის სამართლის პასუხისგებაში ვერ მისცემენ, ვერ დააპატიმრებენ ან სასამართლო წესით აღმინისტრაციულ სასჯელს ვერ დაადებენ, თუ არ იქნა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თანხმობა, სესიებს შუა პერიოდში კი — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობა“.

„მუხლი 119. საქართველოს სსრ კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტს ირჩევს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო ათი წლის ვადით პოლიტიკისა და სამართლის დარგის სპეციალისტებისაგან კომიტეტის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და 7 წევრის, მათ შორის აფხაზეთის ასს და აჭარის ასს რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

საქართველოს სსრ კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტში არჩეულ პირთ არ შეუძლიათ ერთდროულად შედიოდნენ იმ ორგანოების შემადგენლობაში, რომელთა აქტები ექვემდებარება კომიტეტის ზედამხედველობას.

საქართველოს სსრ კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტში არჩეული პირნი თავიანთი მოვალეობებს შესრულების დროს დამოუკიდებელი არიან და მხოლოდ საქართველოს სსრ კონსტიტუციას ემორჩილებიან.

საქართველოს სსრ კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი:

- 1) საკუთარი ინიციატივით ან საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დავლებით წარუდგენს საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს დასკვნებს, თუ რამდენად შეესაბამება საქართველოს სსრ კონსტიტუციას საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ განსახილველი აქტების პროექტები;
- 2) თვალყურს ადევნებს, თუ რამდენად შეესაბამება საქართველოს სსრ კონსტიტუციასა და საქართველოს სსრ კანონებს ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები და კანონები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები და განკარგულებები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებები და განკარგულებები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს გადაწყვეტილებები, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების გადაწყვეტილებები;

3) საკუთარი ინიციატივით ან საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დავლებით, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს

19389

მუდმივი კომისიების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების წინადადებით იძლევა დასკვნებს, თუ რამდენად შეესაბამება საქართველოს სსრ კონსტიტუციასა და საქართველოს სსრ კანონებს სხვა სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტები;

4) იძლევა დასკვნებს რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირთა მიერ საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და კანონების დარღვევების შესახებ.

თუ გამოვლინდა, რომ აქტი ან მისი ცალკეული დებულებები ეწინააღმდეგება საქართველოს სსრ კონსტიტუციას ან საქართველოს სსრ კანონებს, საქართველოს სსრ კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი აქტის გამომცემ ორგანოს უგზავნის თავის დასკვნას დაშვებული დარღვევების აღმოსაფხვრელად. ასეთი დასკვნის გამოტანა აჩერებს საქართველოს სსრ კონსტიტუციის თუ საქართველოს სსრ კანონის საწინააღმდეგო აქტის ან მისი ცალკეული დებულებების შესრულებას.

საქართველოს სსრ კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტს უფლება აქვს წარდგინებით შევიდეს საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოში ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში მათდამი ანგარიშვალდებული ორგანოების ან თანამდებობის პირთა იმ აქტების გაუქმების შესახებ, რომლებიც ეწინააღმდეგება საქართველოს სსრ კონსტიტუციას ან საქართველოს სსრ კანონს.

საქართველოს სსრ კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის ორგანიზაციასა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონი სსრ კავშირში საკონსტიტუციო ზედამხედველობის შესახებ და საქართველოს სსრ კანონი საქართველოს სსრ კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის შესახებ“.

„მუხლი 120. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო კონტროლს უწევს მისადმი ანგარიშვალდებული ყველა სახელმწიფო ორგანოს საქმიანობას.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო წარმართავს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის საქმიანობას, რომელიც სათავეში უდგას სახალხო კონტროლის ორგანოების სისტემას.

სახალხო კონტროლის ორგანოების ორგანიზაციასა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს კანონი“.

„მუხლი 121. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოსა და მისი ორგანოების საქმიანობის წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს რეგლამენტი და საქართველოს სსრ კონსტიტუციის საფუძველზე გამოცემული საქართველოს სსრ სხვა კანონები“.

10. 124-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 124. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს წინაშე.

ახლად შექმნილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო განსაზღვრავს წარუდგენს საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს თავისი მომავალი საქმიანობის პროგრამას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო თავისი მუშაობის შესახებ წელიწადში ერთხელ მაინც აბარებს ანგარიშს საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თხოვნით საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო განიხილავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი თუ მისი ცალკეული წევრებისადმი ნდობის გამოცხადების საკითხს. საქართველოს სსრ

უზენაესი საბჭო განიხილავს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ერთი მეზუთედის მოთხოვნით.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ უნდობლობის გამოცხადების ან ნდობის გამოცხადებაზე უარის თქმისას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო თუ მისი ცალკეული წევრი გადადგება“.

11. 125-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სახელმწიფო მმართველობის ყველა საკითხი, რომლებიც საქართველოს სსრ გამგებლობას განეკუთვნება, რამდენადაც ისინი, საქართველოს სსრ კონსტიტუციის თანახმად, არ შედის საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის კომპეტენციაში“.

12. 127-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 127. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის კანონებისა და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხვა გადაწყვეტილებათა, საქართველოს სსრ კანონებისა და საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სხვა გადაწყვეტილებათა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა საფუძველზე და შესასრულებლად გამოსცემს დადგენილებებსა და განკარგულებებს, ამოწმებს მათს შესრულებას. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულება სავალდებულოა საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე“.

13. 129-ე მუხლის მეოთხე ნაწილში სიტყვები „სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტების“ შეიცვალოს სიტყვებით „სსრ კავშირის კანონების და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხვა გადაწყვეტილებების, საქართველოს სსრ კანონებისა და საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სხვა გადაწყვეტილებების“.

14. მეოთხთმეტე თავის დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო“.

15. 131-ე და 132-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 181. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოები ამ ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებია.“

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოები უფლებამოსილი არიან გადაწყვიტონ ყველა საკითხი, რომლებსაც ავტონომიური რესპუბლიკების გამგებლობას განეკუთვნებენ სსრ კავშირის კონსტიტუცია, საქართველოს სსრ კონსტიტუცია და ამ ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები.

ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წინაშე“.

„მუხლი 182. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კონსტიტუციების მიღებას, ამ კონსტიტუციებში ცვლილებების შეტანას, ამ ავტონომიური რესპუბლიკების ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების, სახელმწიფო ბიუჯეტებისა და მათი შესრულების ანგარიშების დამტკიცებას, მათ წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების შექმნას ახორციელებენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოები.“

ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოს, მისი პრეზიდიუმის, ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილებას განსაზღვრავს ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია“.

16. 133-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
 „აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული არიან ამ ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების წინაშე“.

17. 141-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 141.** ავტონომიური ოლქის, რაიონული, საქალაქო და ქალაქის რაიონული საბჭოების მუშაობას ორგანიზაციას უწყვეტ მათი პრეზიდიუმები, რომლებსაც სათავეში უდგანან საბჭოების თავმჯდომარეები, ხოლო საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების), სადაბო და სასოფლო საბჭოებში — ამ საბჭოების თავმჯდომარეები.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები უფლებამოსილი არიან განიხილონ და გადაწყვიტონ სესიებზე ნებისმიერი საკითხი, რომლებსაც მათს გამგებლობას მიაკუთვნებს სსრ კავშირის, საქართველოს სსრ და შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა. იმ საკითხების ნუსხას, რომლებსაც წყვეტენ მხოლოდ და მხოლოდ სესიებზე, ადგენენ კანონები სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების შესახებ.

სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს, რესპუბლიკის, რაიონული, საქალაქო (გარდა რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა), ქალაქის რაიონული საბჭოების სესიებს იწვევენ მათი პრეზიდიუმები წელიწადში ოთხჯერ მაინც. სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების), სადაბო და სასოფლო საბჭოების სესიებს იწვევენ მათი თავმჯდომარეები წელიწადში ოთხჯერ მაინც“.

18. 145-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 145.** სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოებია აღმასრულებელი კომიტეტები, რომლებსაც ისინი ირჩევენ“.

19. 164-ე, 165-ე, 167-ე და 185-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 164.** საქართველოს სს რესპუბლიკაში ყველა სასამართლო იქმნება მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევითობის საწყისებზე.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეებსა და საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებს ირჩევენ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი ზემდგომი საბჭოები.

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს, ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების, ავტონომიური ოლქის სასამართლოს მოსამართლეებს ირჩევენ შესაბამისად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო, ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები, ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო.

ყველა სასამართლოს მოსამართლეებს ირჩევენ ათი წლის ვადით.

ყველა სასამართლოს სახალხო მსაჯულებს ირჩევენ ხუთი წლის ვადით.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებს ირჩევენ მოქალაქეთა კრებებზე მათს საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილას ღია კენჭისყრით. ხოლო ზემდგომი სასამართლოების სახალხო მსაჯულებს — სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოები.

მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები პასუხისმგებელი არიან მათი ამრჩევი ორგანოების ან ამომრჩევლების წინაშე, ანგარიშს აბარებენ მათ და შეიძლება მათ მიერ გაწვეულ იქნენ კანონით დადგენილი წესით“.

„**მუხლი 165.** საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო ორგანოა და ზედამხედველობას უწევს საქართველოს სსრ სასამართლოების სასამართლო საქმიანობას.

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლო შედგება თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, წევრებისა და სახალხო მსაჯულებისაგან“.


„**მუხლი 167.** მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები დამოუკიდებელი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან.

მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულებისათვის უზრუნველყოფილია მათი უფლებებისა და მოვალეობების შეუფერხებელი და ეფექტიანი განხორციელების პირობები. მართლმსაჯულების აღსასრულებლად მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა საქმიანობაში ყოველგვარი ჩარევა დაუშვებელია და იწვევს პასუხისმგებლობას კანონით.

მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა ხელშეუხებლობას, აგრეთვე მათი დამოუკიდებლობის სხვა გარანტიებს აწესებს კანონი სსრ კავშირში მოსამართლეთა სტატუსის შესახებ და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სხვა საკანონმდებლო აქტები“.

„**მუხლი 185.** საქართველოს სსრ კონსტიტუციის შეცვლა ხდება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით, რომლებსაც მიიღებს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დებუტატთა საერთო რიცხვის სულ ცოტა ორი მესამედის უმრავლესობა“.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ბუშბარიძე**.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. ძვინავაძე**.
თბილისი, 1989 წლის 18 ნოემბერი.



სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

სასამართლო წყობილების შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლები
1989 წლის 1 დეკემბრიდან

1. სამოქმედოდ იქნეს შემოღებული სასამართლო წყობილების შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლები 1989 წლის 1 დეკემბრიდან.

სასამართლო წყობილების შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

2. სახელმწიფო მმართველობის ორგანოების არამართლზომიერი მოქმედებისაგან მოქალაქეთა სასამართლო დაცვის უფლების შესახებ საფუძვლების მე-7 მუხლის დებულება სამოქმედოდ იქნეს შემოღებული 1990 წლის 1 ივლისიდან.


3. სასამართლო წყობილების შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლებთან სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესატყვისებამდე სასამართლო წყობილების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოქმედი აქტები გამოიყენება ნაწილში, რომელიც არ ეწინააღმდეგება საფუძვლებს.

4. სანამ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით არ დადგინდება წესი, რომლის ძალით სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები სასამართლოში იხილება მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა სხვაგვარი შემადგენლობით (საფუძვლების მე-11 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები), ყველა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოში იხილება მოსამართლისა და ორი სახალხო მსაჯულის შემადგენლობით, ხოლო შესაბამისი სასამართლოების კოლეგიებში საკასაციო და საზედამხებდევლო წესით — სასამართლოს სამი წევრის შემადგენლობით.

5. 1988 წლის 1 დეკემბრის შემდეგ არჩეული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოსამართლეებს უნარჩუნდებათ თავიანთი უფლებამოსილებანი სსრ კავშირის კონსტიტუციის 152-ე მუხლით დადგენილი ვადით.

6. მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესმა საბჭოებმა მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა შეუსაბამონ სასამართლო წყობილების შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლებს.

7. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების შესახებ კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების თაობაზე“ სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონი სსრ კავშირის 1980 წლის 25 ივნისის კანონის რედაქციით



(სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებანი, 1959 წ., № 1, მუხლი 12, 1980 წ., № 27, მუხ. 545) სასამართლო წყობილების შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების მომენტიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1989 წლის 18 ნოემბერი.

□ □ □

სასამართლო წყობილების შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების

პარტი I.

ზოგადი დებულებანი

მუხლი I. მართლმსაჯულებას განახორციელებს მხოლოდ სასამართლო

1. სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად მართლმსაჯულებას სსრ კავშირში ახორციელებს მხოლოდ სასამართლო.

2. სსრ კავშირში მოქმედებენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები, სამხარეო, საოლქო, საქალაქო სასამართლოები, ავტონომიური ოლქების სასამართლოები, ავტონომიური ოკრუგების სასამართლოები, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოები, აგრეთვე სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამხედრო ტრიბუნალები.

მუხლი 2. კანონმდებლობა სსრ კავშირში სამართალწარმოების შესახებ.

სასამართლო წყობილებას სსრ კავშირში განსაზღვრავენ სსრ კავშირის კონსტიტუცია, მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციები და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები,

წინამდებარე საფუძვლები და მათ შესაბამისად გამოცემული სსრ კავშირის სხვა საკანონმდებლო აქტები, კანონები სასამართლო წყობილების შესახებ და მოკავშირე რესპუბლიკების სხვა საკანონმდებლო აქტები.

მუხლი 3. სასამართლოს ამოცანები

1. მართლმსაჯულების განხორციელებისას სასამართლო სსრ კავშირში მოწოდებულია ყოველგვარი ხელყოფისაგან დაიცვას სსრ კავშირის კონსტიტუციით, მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებითა და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით განმტკიცებული სსრ კავშირის საზოგადოებრივი წყობილება, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა; სსრ კავშირის კონსტიტუციის, მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციების, ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებისა და საბჭოთა კანონების მიერ გამოცხადებული და გარანტირებული მოქალაქეთა პოლიტიკური და პირადი უფლებები და კანონიერი ინტერესები.

2. სასამართლოს მთელი საქმიანობა მიზნად ისახავს ყოველმხრივ განამტკიცოს სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფო, კანონიერება და მართლწესრიგი, დაამკვიდროს სოციალური სამართლიანობის პრინციპი,

უზრუნველყოს დემოკრატიზაცია და ხალხის თვითმმართველობის შემდგომი განვითარება, აღკვეთოს სამართალდარღვევები, აღზარდოს მოქალაქენი სსრ კავშირის კონსტიტუციის, მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციების, ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებისა და საბჭოთა კანონების ზუსტი და განუხრელი შესრულების, მოქალაქეთა უფლებების, სახელისა და ღირსების, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით.

მუხლი 4. მართლმსაჯულების განხორციელება სასამართლოს მიერ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის გზით

მართლმსაჯულება სსრ კავშირში ხორციელდება:

სასამართლო სხდომებზე იმ სამოქალაქო საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის გზით, რომელიც დაკავშირებულია მოქალაქეების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვასთან;

სასამართლო სხდომებზე სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის, განსასჯელთა ბრალეულობის საკითხის გადაწყვეტის, დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირების მიმართ კანონით დადგენილი სასჯელის ზომის გამოყენების, ან უდანაშაულოთა გამართლების გზით.

მუხლი 5. სასამართლოებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეთა განხილვა.

რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოებს (სახალხო მოსამართლე), ამ სასამართლოებში ადმინისტრაციულ და აღმასრულებელ მოსამართლეებს ეკისრებათ განიხილონ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეები, რომლებიც მათ გამგებლობაში შედის სსრ კავშირისა და

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

მუხლი 6. მოქალაქეთა თანასწორობა კანონისა და სასამართლოს წინაშე

სსრ კავშირში მართლმსაჯულება ხორციელდება კანონისა და სასამართლოს წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე, წარმოშობის, სოციალური, თანამდებობრივი და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის, საცხოვრებელი ადგილის და სხვა გარემოებათა მიუხედავად.

მუხლი 7. მოქალაქეთა სასამართლო დაცვის უფლება

სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების არამართლზომიერი მოქმედებისაგან, აგრეთვე პატივისა და ღირსების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, პირადი თავისუფლებისა და ქონების, სსრ კავშირის კონსტიტუციით, მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებით, ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებითა და საბჭოთა კანონებით გათვალისწინებული სხვა უფლებებისა და თავისუფლებების ყოველი ხელყოფისაგან სასამართლო დაცვის უფლება. მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სხვაგვარ წესს ადგენენ მხოლოდ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონები.

მუხლი 8. მართლმსაჯულების განხორციელება კანონის ზუსტი შესაბამისობით

მართლმსაჯულება სსრ კავშირში ხორციელდება სსრ კავშირის კანონმდებლობისა და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით.

მუხლი 9. მოსამართლეთა დამოუკი-

დებლობა და მათი მხოლოდ კანონისა- დმი დაქვემდებარება

1. მოსამართლეები და სახალხო მსა-
ჯულები დამოუკიდებელი არიან და
ექვემდებარებიან მხოლოდ კანონს.

2. სსრ კავშირის კონსტიტუციის,
მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუ-
ციებისა და ავტონომიური რესპუბლი-
კების კონსტიტუციების შესაბამისად
მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულ-
თა ხელშეუხებლობას, აგრეთვე მათი
დამოუკიდებლობის სხვა გარანტიებს
აღგენენ „სსრ კავშირში მოსამართლე-
თა სტატუსის შესახებ“ სსრ კავშირი-
სა და მოკავშირე რესპუბლიკების სხვა
საკანონმდებლო აქტები.

მუხლი 10. ყველა სასამართლოს შე- ქმნა არჩევითობის საწყისებზე

ყველა სასამართლო სსრ კავშირში
იქმნება მოსამართლეთა და სახალხო
მსაჯულთა არჩევითობის საწყისებზე.

მუხლი 11. სასამართლოს შემადგენ- ლობა სამოქალაქო და სისხლის სამარ- თლის საქმეთა განხილვის დროს

1. პირველი ინსტანციის სასამარ-
თლოში სამოქალაქო და სისხლის სამარ-
თლის საქმეები იხილება კოლეგიუ-
რად, მოსამართლეთა და სახალხო მსა-
ჯულთა შემადგენლობით სსრ კავში-
რისა და მოკავშირე რესპუბლიკების
კანონმდებლობის შესაბამისად. მოკავ-
შირე რესპუბლიკების კანონმდებლო-
ბით დადგენილი წესით იმ დანაშაუ-
ლობების საქმეთა გამო, რომელთა
ჩადენისათვის კანონით გათვალისწი-
ნებულია სიკვდილით დასჯა ან თავი-
სუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი
ვადით, განსასჯელის დამნაშავეობის
საკითხი შეიძლება გადაწყვიტოს ნა-
ფიც მსაჯულთა სასამართლომ (სახალ-
ხო მსაჯულთა გაფართოებულმა კო-
ლეგიამ).

2. საქმეთა განხილვა შესაბამისი სა-
სამართლოების კოლეგიებში საკასა-
ციო და საზედმეხედველო წესით ხორ-

ციელდება არა ნაკლებ სამი მონაშარ-
თლის შემადგენლობით.

3. სასამართლოს პრეზიდიუმი იხი-
ლავს საქმეებს, თუ არის პრეზიდიუმის
წევრთა უმრავლესობა.

4. სასამართლოს პლენუმი იხილავს
საქმეებს, თუ არის მისი შემადგენლო-
ბის სულ ცოტა ორი მესამედი.

მუხლი 12. ენა, რომელზეც სასამარ- თლო წარმოება ხდება

სასამართლო წარმოება ხდება მო-
კავშირე ან ავტონომიური რესპუბლი-
კის, ავტონომიური ოლქის, ავტონო-
მიური ოკრუგის ენაზე ან მოცემული
ადგილის მოსახლეობის უმრავლესო-
ბის ენაზე. საქმის მონაწილე პირები-
სათვის, რომლებმაც არ იციან ენა,
რომელზეც ხდება სასამართლო წარ-
მოება, უზრუნველყოფილია საქმის
მთელი მასალის გაცნობის უფლება,
სასამართლო მოქმედებაში მონაწილე-
ობა თარჯიმნის დახმარებით, მშობ-
ლიურ ენაზე სასამართლოში გამოს-
ვლის უფლება.

მუხლი 13. საქმეთა ღია გარჩევა ყველა სასამართლოში

1. საქმეთა გარჩევა ყველა სასამარ-
თლოში ღიაა.

2. საქმეთა მოსმენა სასამართლოს
დახურულ სხდომაზე შეიძლება მხო-
ლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებ-
ში. სასამართლოების გადაწყვეტილე-
ბანი და განაჩენები ყველა შემთხვევა-
ში ცხადდება საჯაროდ.

მუხლი 14. ექვმიტანილის, ბრალდე- ბულისა და განსასჯელის დაცვის უფ- ლების უზრუნველყოფა. უდანაშაუ- ლობის პრეზუმფცია

1. ექვმიტანილს, ბრალდებულსა და
განსასჯელს აქვს დაცვის უფლება. ეს
უფლება მათთვის უზრუნველყოფი-
ლია დამცველის მონაწილეობის გზით
დაკავების, დაპატიმრების ან ბრალდე-
ბის წაყენების მომენტიდან.

2. ბრალდებული უდანაშაულოდ
ითვლება, სანამ მისი დანაშაული არ

დამტკიცდება კანონით გათვალისწინებული წესით და არ დადგინდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით.

მუხლი 15. ადვოკატურის იურიდიული დახმარება მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისადმი

1. სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა გამო სასამართლო წარმოებაში ადვოკატები იურიდიულ დახმარებას უწევენ მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს.

2. ადვოკატთა მიერ იურიდიული დახმარების გაწევის წესს, აგრეთვე სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა გამო სასამართლო წარმოების მონაწილე ადვოკატთა უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრავს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 16. პროკურორის მონაწილეობა სასამართლოებში საქმეთა განხილვის დროს

სსრ კავშირის გენერალური პროკურორი და მისი ხელქვეითი პროკურორები სასამართლოებში საქმეთა განხილვაში მონაწილეობენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით.

მუხლი 17. სასამართლოში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა მონაწილეობა

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოში სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს დაიშვება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა მონაწილეობა.

მუხლი 18. ადმინისტრაციული და აღმასრულებელი წარმოების მოსამართლენი

1. ადმინისტრაციული და აღმასრუ-

ლებელი წარმოების მოსამართლენი არიან რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოებში.

2. ადმინისტრაციული და აღმასრულებელი წარმოების მოსამართლენი იხილავენ საქმეებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ; რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის დავალებით ახორციელებენ კონტროლს სასამართლო აღმასრულებელთა მუშაობისადმი; მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში იხილავენ სამოქალაქო სასამართლო წარმოების წესით სასამართლოებისა და სხვა ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

3. ადმინისტრაციული და აღმასრულებელი წარმოების მოსამართლეობის კანდიდატებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, ამ მოსამართლეების არჩევის წესს, მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაწვევისა და ვადამდე განთავისუფლების, პასუხისგებაში მიცემის წესს განსაზღვრავს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 19. სასამართლო აღმასრულებლები.

1. სამოქალაქო საქმეთა გადაწყვეტილებების, განჩინებებისა და დადგენილებების შესრულება, ქონებრივი სასჯელების ნაწილში სისხლის სამართლის საქმეთა გამო განაჩენების, განჩინებებისა და დადგენილებების აღსრულებას ახორციელებენ სასამართლო აღმასრულებლები.

2. სასამართლო აღმასრულებლები არიან სასამართლოებში. სასამართლო აღმასრულებლების დანიშვნის წესს, აგრეთვე უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრავს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 20. სასამართლო სხდომის მდივანი

1. პირველი ინსტანციის სასამართლოში სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები იხილება სასამართლო სხდომის მდივნის მონაწილეობით.

2. სასამართლო სხდომის მდივნის უფლებებსა და მოვალეობებს, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაში მისი მონაწილეობის წესს განსაზღვრავს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 21. სასამართლო აპარატი

1. სასამართლო აპარატი უზრუნველყოფს მის მუშაობას მართლმსაჯულების განხორციელებისათვის სასამართლო პრაქტიკის განვითარების, სასამართლო სტატისტიკის ანალიზის, აგრეთვე სასამართლოს სხვა ფუნქციების შესრულებისათვის.

2. სსრ კავშირის სასამართლოთა აპარატის სტრუქტურისა და შტატების დამტკიცების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონმდებლობა, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოებისას — მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 22. სასამართლოთა საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

სასამართლოთა საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებენ სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო, მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროები, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების იუსტიციის სამმართველოები (განყოფილებები) მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მათი მხოლოდ კანონისადმი დაქვემდებარების პრინციპის მტკიცედ დაცვით. სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო და მისი ორგანოები ამუშავებენ და შეიტანენ სახალხო დეპუტატთა შესაბამის საბჭოებში წინადადებებს მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოებისა და სამხედრო ტრიბუნალების ორგანიზაციის, მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების მოწყობის საკითხებზე; ახორციელებენ მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევას და მომზადებას, სასამართლოთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას; ორგანიზაციას უწყვეტ მუშაობას სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და მათი საქმიანობის სათანადო პირობების შექმნის, სასამართლო სტატისტიკის წარმოების, სასამართლო გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის; ამუშავებენ და ახორციელებენ ღონისძიებებს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად.

2. სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრს უფლება აქვს შეიტანოს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმში წინადადებანი კანონმდებლობის გამოყენების საკითხებზე.

ქ ა რ ი II.

სასამართლო სისტემა

მუხლი 23. სსრ კავშირის სასამართლოები და მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოები

1. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში მოქმედებენ სსრ კავშირის სასამართლოები და მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოები.

2. სსრ კავშირის სასამართლოებს განეკუთვნება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო და სამხედრო ტრიბუნალები.

3. მოკავშირე რესპუბლიკის სასამართლოებს განეკუთვნება: მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები, სამხარეო, საოლქო, საქალაქო სასამართლოები, ავტონომიური ოლქების სასამართლოები, ავტონომიური ოკრუგების სასამართლოები.



რელოები, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოები. მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ცალკეულ კატეგორიათა საქმეების (არასრულწლოვანთა, საოჯახო საქმეებისა და სხვა) განხილვაზე დასპეცებული სასამართლოების შემადგენლობათა შექმნა.

მუხლი 24. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს შემადგენლობა.

1. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოები შედგება სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის, სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულებისაგან.

2. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების შემადგენლობაში მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება იყვნენ ამ სასამართლოების თავმჯდომარეთა მოადგილეები.

მუხლი 25. სამხარეო, საოლქო, საქალაქო სასამართლოს, ავტონომიური ოლქის სასამართლოს და ავტონომიური ოკრუგის სასამართლოს შემადგენლობა

სამხარეო, საოლქო, საქალაქო სასამართლო, ავტონომიური ოლქის სასამართლო და ავტონომიური ოკრუგის სასამართლო შედგება თავმჯდომარისაგან, თავმჯდომარის მოადგილეების, სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეების, სასამართლოს წევრებისა და სახალხო მსაჯულებისაგან, და მოქმედებს შემდეგი შემადგენლობით:

სასამართლოს პრეზიდიუმი;

სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგია;

სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია.

მუხლი 26. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს უფლებამოსილება

1. ავტონომიური რესპუბლიკის

უზენაესი სასამართლო ორგანოა ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო.

2. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო ახორციელებს ზედამხედველობას ავტონომიური რესპუბლიკის ყველა სასამართლოს სასამართლო საქმიანობისადმი იმ წესით, რომელიც დადგენილია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

მუხლი 27. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობა

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო შედგება თავმჯდომარისაგან, თავმჯდომარის მოადგილის, სასამართლოს კოლეგიათა თავმჯდომარეების, უმაღლესი სასამართლოს წევრებისა და სახალხო მსაჯულებისაგან, და მოქმედებს შემდეგი შემადგენლობით:

უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი;

სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგია;

სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია.


მუხლი 28. მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს უფლებამოსილება

1. მოკავშირე რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო ორგანოა მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო.

2. მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო ახორციელებს ზედამხედველობას მოკავშირე რესპუბლიკის ყველა სასამართლოს საქმიანობისადმი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 29. მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობა.

1. მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი



ლესი სასამართლო შედგება თავმჯდომარისაგან, თავმჯდომარის მოადგილეების, სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეების, უმაღლესი სასამართლოს წევრებისა და სახალხო მსაჯულებისაგან, და მოქმედებს შემდეგი შემადგენლობით:

უმაღლესი სასამართლოს პლენუმი; სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგია;

სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია.

2. მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება შეიქმნას პრეზიდენტები.

3. მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოთა პრეზიდენტებისა და პლენუმების კომპეტენციას ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 30. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს უფლებამოსილება

1. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უზენაესი სასამართლო ორგანოა.

2. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო ახორციელებს ზედამხედველობას სსრ კავშირის სასამართლოების, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკათა სასამართლოების სასამართლო საქმიანობისადმი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 31. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობა

1. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო შედგება თავმჯდომარისაგან,

თავმჯდომარის მოადგილეების, კოლეგიათა თავმჯდომარეების, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრებისა და სახალხო მსაჯულების, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეებისაგან, რომლებიც თანამდებობის მიხედვით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრები არიან.

2. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო მოქმედებს შემდეგი შემადგენლობით:

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი;

სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგია;

სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია;

სამხედრო კოლეგია.

3. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს საქმიანობის ორგანიზაციასა და წესს განსაზღვრავს კანონი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს შესახებ.

მუხლი 32. სამხედრო ტრიბუნალები

1. სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამხედრო ტრიბუნალების ორგანიზაციასა და კომპეტენციას განსაზღვრავს კანონი სამხედრო ტრიბუნალების შესახებ.

2. მართლმსაჯულების განხორციელებისას სამხედრო ტრიბუნალები ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის კონსტიტუციით, მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებით, ამ საფუძვლებით, სსრ კავშირის სხვა კანონმდებლობით, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **მ. ბორბაჩოვი.**

გოსპოვი, კრემლი. 1989 წლის 18 ნოემბერი.

18
როგორც ჩვენი შუიკნაღის მკითხველთაგანათვის ცნობილია, 1989 წლის ივნისში გაიმართა საქართველოს იურიტთა კავშირის დამფუძნებელი პრილოზა, რომელმაც საქართველოს იურიტთა კავშირის თავმჯდომარეობა აირჩია ზურაბ რაბიანი. ამავე პრილოზაში მიიღო ახალი საქართველოს იურიტთა კავშირის წესდება და აირჩია იურიტთა კავშირის გამგეობის, საკვიშიო კომისიის, პროფესიული სპციების თავმჯდომარეები, მათი ფეკრები.

ამჟამად მთავაზოგთ პრილოზის მიერ მიღებულ ამ მასლებს.

საქართველოს სსრ იურიტთა კავშირის დამფუძნებელ ყრილობაზე

საქართველოს სსრ იურიტთა კავშირის გამგეობის შემადგენლობა

1. ვაჟა აბაკელია — საქართველოს კე ცე სახელმწიფო-სამართლებრივი განყოფილების კონსულტანტი
2. გურამ აბაშიძე — საქართველოს პროფსაბჭოს სამართლებრივი მუშაობის განყოფილების გამგე
3. ლევან აღეჟიძე — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი
4. ნატალია ამბოკაძე — თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე
5. ვალერიან ასეიშვილი — „საქაგრომრეწვის“ იურიდიული განყოფილების უფროსი
6. მეჩიტ არგუნი — აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე
7. ანგი არსენაშვილი — ყურნალ „საბჭოთა სამართლის“ მეცნიერ-რედაქტორი
8. იური არქიბოვი — ამიერკავკასიის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარე
9. ჯამლეთ ბაბილაშვილი — ქ. ქუთაისის პროკურორი
10. გოგმარ გაბუნია — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრი
11. ანზორ გაბიანი — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს დამნაშავეობის მიზეზების თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის უფროსი
12. ჯემალ გახოკიძე — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილე
13. რომან გვენცაძე — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე
14. თენგიზ გოგეშვილი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ადმინისტრაციული ორგანოების სექტორის გამგე
15. ოთარ გონაძე — საქართველოს კე ცე სახელმწიფო-სამართლებრივი განყოფილების გამგე
16. შოთა გორგოძე — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი
17. თენგიზ გორდელაძე — საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე

18. გრიგოლ დევდარიანი — საქარ-
ლოს სსრ უმაღლესი სასამართ-
ლოს თავმჯდომარის მოადგილე

19. ტარიელ ზამბახიძე — ივ. ჯავა-
ხიშვილის სახელობის თბილისის სა-
ხელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი

20. გივი ინჭკირველი — ივ. ჯავა-
ხიშვილის სახელობის თბილისის სა-
ხელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის
გამგე

21. ალექსანდრე კავსაძე — საქარ-
თველოს სსრ მთავარი სახელმწიფო
არბიტრი

22. ავთანდილ კალმახელიძე —
თბილისის საქალაქო სასამართლოს
თავმჯდომარე

23. თამარ კალმახელიძე — საქართვე-
ლოს სსრ პურპროდუქტების სამინისტ-
ტროს მთავარი არბიტრი

24. აკაკი კარანაძე — საქართვე-
ლოს სსრ უმაღლესი სასამართლოს
თავმჯდომარე

25. აპოლონ კვიციანი — აფხაზეთის
ასსრ პროკურორი

26. მირიან კომახიძე — ქ. ბათუმის
სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე

27. ტარიელ კულუღაშვილი — სა-
ქართველოს კბ ცკ სექტორის გამგე

28. ალექსანდრე კუპრეიშვილი —
საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტ-
ტროს იურიდიული განყოფილების
უფროსი

29. მზია ლეკვეიშვილი — ივ. ჯა-
ვახიშვილის სახელობის თბილისის სა-
ხელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი

30. გურამ ლიღუაშვილი — თბილი-
სის ოქტომბრის რაიონის სახალხო სა-
სამართლოს თავმჯდომარე

31. არჩევან ლომიძე — ქ. რუსთა-
ვის პროკურორი

32. დურმიშხან ლორია — საქართვე-
ლოს სსრ მინისტრთა საბჭოს იური-
დიული განყოფილების უფროსი

33. სიმონ მაჭავარიანი — ქ. თბი-
ლისის ლენინის რაიონის პროკურორი

34. ნაზი მელია — ქ. თბილისის სა-

ქალაქო სასამართლოს კონსულტანტი

35. ვალერიან მეტრეველი — ივ.
ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის იური-
დიული ფაკულტეტის დეკანი

36. გიორგი მიქანაძე — ქ. თბილი-
სის საქალაქო სასამართლოს წევრი

37. ნოდარ ნებიერიძე — საქარ-
თველოს სსრ იურისკონსულტთა პრე-
ზიდიუმის წევრი

38. თედო ნინიძე — ჟურნალ „საბ-
ჭოთა სამართლის“ მთავარი რედაქ-
ტორი

39. თამაზ ნინუა — საქართველოს
სსრ უშიშროების სახელმწიფო კომი-
ტეტის თავმჯდომარის მოადგილე

40. მურმან ომანიძე — საქართველოს
სსრ იურისტთა კავშირის თავმჯდომარ-
ის მოადგილე

41. შალვა პაპიძე — საქართველოს
კბ ცკ მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერ-
სიტეტის რექტორი

42. ალექსი პაპუაშვილი — საქარ-
თველოს კბ ცკ სახელმწიფო-სამართ-
ლებრივი განყოფილების გამგის მო-
ადგილე

43. სერგო პეტროსიანი — საქარ-
თველოს სსრ იუსტიციის სამინისტ-
ტროს განყოფილების უფროსის მოად-
გილე

44. ვახტანგ რაჭმაძე — საქართვე-
ლო სსრ პროკურორი

45. ზურაბ რატიანი — საქართვე-
ლოს სსრ იურისტთა კავშირის თავმ-
ჯდომარე

46. გრიგოლ როინიშვილი — საქარ-
თველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის
პრეზიდიუმის თავმჯდომარე

47. თეიმურაზ სიღამონიძე — სა-
ქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მი-
ნისტრის მოადგილე

48. ლამარა სურგულაძე — საქარ-
თველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სახელმწიფოსა და სამართლის პრობ-
ლემების კვლევის ცენტრის უფრო-
სი მეცნიერ-თანამშრომელი

49. გიორგი ტყეშელიძე — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე

50. თამაზ ტულუში — ქ. თბილისის პროკურორი

51. მინდია უგრეხელიძე — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის პირველი მოადგილე

52. მანანა ქურდაძე — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი

53. რევაზ ყიფიანი — ამიერკავკასიის რკინიგზის პროკურორი

54. ქეთევან ყურაშვილი — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილე

55. ირაკლი ჩიქოვანი — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების უფროსი

56. ლამარა ჩორგოლაშვილი — თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე

57. პეტრე ჩხეიძე — საქართველოს სსრ პროფსაბჭოს თავმჯდომარე

58. თამაზ შავგულიძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე

59. ვიქტორ შარაშენიძე — საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი

60. ნუგზარ წერეთელი — საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარე

61. სერგო ჯორბენაძე — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე

62. ვაჟა ძაგოვეი — სამხრეთ ოსეთის აო იუსტიციის განყოფილების უფროსი

63. ლუდვიგ ხარბედია — საქართველოს სსრ პროფსაბჭოს მდივანი

64. ჯონი ხეცურიანი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემების კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილე

65. ბენიამინ ხომერიკი — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრი.

□ □ □

საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი

1. ლევან აღეჟიძე — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი

2. მეჩიტ არგუნი — აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე

3. იური არქიპოვი — ამიერკავკასიის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარე

4. თამაზ ბარაბაძე — საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე

5. ოთარ გონაძე — საქართველოს კპ ცკ სახელმწიფო-სამართლებრივი განყოფილების უფროსი

6. შოთა გორგოძე — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი

7. გიორგი დალაქიშვილი — კასპის რაიონის სახელმწიფო ნოტარიუსი

8. ალექსანდრე კავსაძე — საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არ-
ბიტრი
9. აკაკი კარანაძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმ-
ჯდომარე
10. ნოდარ ნებიერიძე — საქართველოს სსრ იურისკონსულტთა პრეზიდი-
უმის წევრი
11. თედო ნინიძე — ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ მთავარი რედაქ-
ტორი
12. თამაზ ნინუა — საქართველოს სსრ უშიშროების სახელმწიფო კო-
მიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
13. მურმან ომანიძე — საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის თავმ-
ჯდომარის მოადგილე
14. სერგო პეტროსიანი — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს
განყოფილების უფროსის მოადგილე
15. ვახტანგ რაჭმაძე — საქართველოს სსრ პროკურორი
16. ზურაბ რატიანი — საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის თავმ-
ჯდომარე
17. გრიგოლ როინიშვილი — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
18. გიორგი ტყეშელიაძე — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სა-
ხელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე
19. თამაზ შავგულიძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე
20. ვიქტორ შარაშენიძე — საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი
21. რუსუდან შველიძე — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის
წევრი
22. ვაჟა ძაგოევი — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იუსტიციის
განყოფილების უფროსი
23. პეტრე ჩხეიძე — საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე
24. ნუგზარ წერეთელი — საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმ-
ჯდომარე

□ □ □

საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის საკავშირო კომისია

1. ოთარ აგლაძე — თბილისის ოქტომბრის რაიონის იურიდიული კონ-
სულტაციის გამგე
 2. ელდარ ახვლედიანი — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სა-
ხელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტი
 3. აკაკი ბუდალაშვილი — საქართველოს სსრ პროკურატურის საგამო-
ძიებო ჯგუფის უფროსი
 4. ალექსი გაბუნია — დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის იუ-
რიდიული განყოფილების უფროსი
 5. ელისო გურგენიძე — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კა-
ნონთა წიგნის რედაქციის უფროსი
3. „საბჭოთა სამართალი“, № 10.



6. ივანე ენუქიძე — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯგუფის უფროსი
7. გიორგი თვალთვალი — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის V კურსის სტუდენტი
8. ვილიამ კობლაძე — საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის განყოფილების უფროსის მოადგილე
9. ზულარ მამალაძე — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის შრომის სამართლებრივი ინსპექტორი
10. ქეთევან ფილიშვილი — თბილისის საქარზო რაიონის სახალხო სასამართლოს კანცელარიის უფროსი
11. რაიანა ჩანქსელიანი — ჩხოროწყუს რაიონის სახელმწიფო ნოტარიუსი
12. ზურაბ წურწუშია — მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე
13. რამაზ ხმალაძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

□ □ □

პროფესიული ეთიკის კომისია

1. იური ტაბუცაძე — კომისიის თავმჯდომარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრი

კომისიის წევრები:

1. ოთარ გამყრელიძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემების კვლევის ცენტრის განყოფილების გამგე
2. ენვერ გოგუაძე — საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო სამმართველოს პროკურორი (ამჟამად პენსიონერი)
3. იაკობ მახარაძე — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრი
4. ლეილა ნარიშანიძე — ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრი
5. ზურაბ ტაბიძე — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრი
6. გურამ ქარქაშაძე — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებლო ჯგუფის უფროსის მოადგილე
7. რომან შენგელია — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
9. ოთარ ჯიბლაძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

□ □ □

საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის ფონდის წესდების შემუშავებელი კომისია

1. ვახტანგ ლესელიძე — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრი

2. დავით მელიქიშვილი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემების ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

3. სერგო პეტროსიანი — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს განყოფილების უფროსის მოადგილე

□ □ □

საწესდებო-საორგანიზაციო საკითხების შემუშავებელი სექცია

1. გიორგი ტყეშელიძე — სექციის ხელმძღვანელი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის გამგე, პროფესორი

სექციის წევრები:

1. ვახტანგ აღანია — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართავლოს უფროსი

2. ვალერიან ასეიშვილი — საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის იურიდიული სამმართველოს უფროსი

3. ჭემალ გახოკიძე — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებლო სამმართველოს უფროსის მოადგილე

4. ლეილა გერასიმოვა — საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის კონსულტანტი

5. ივანე გოგილაშვილი — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

6. ავთანდილ კობახიძე — თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე

7. კოკი ნარმანია — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი

8. რუსუდან პიტავა — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრი

9. ვაჟა ჯაოშვილი — სასამართლო ექსპერტიზის ცენტრალური რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის უფროსის მოადგილე

10. ირაკლი ჩიქოვანი — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის განყოფილების გამგე

□ □ □

საკანონმდებლო წინადადებაებისა და კანონმდებლობის სრულყოფის სექცია

1. ალექსანდრე შუშანაშვილი — სექციის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემების ცენტრის განყოფილების გამგე

სექციის წევრები:

1. გოგმარ გაბუნია — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრი
2. ოთარ გამყრელიძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემების კვლევის ცენტრის განყოფილების გამგე
3. მზია ლეკვეიშვილი — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი
4. გურამ ლილუაშვილი — თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სამართლოს თავმჯდომარე
5. ნოდარ ნებეირიძე — საქართველოს სსრ იურისკონსულტთა პრეზიდიუმის წევრი
6. ლეილა ნიკურაძე — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს განყოფილების უფროსი
7. გივი შორდანია — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი
8. შალვა ჩიკვაშვილი — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
9. ჯაურ ჭინჭოლავა — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი

□ □ □

სამართლის პროპაგანდის და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის სექცია

1. ალბერტ აბესაძე — სექციის ხელმძღვანელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი

სექციის წევრები:

1. ნუგზარ ბეჟიტაშვილი — საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის განყოფილების გამგე
2. ვარზი გორგოძე — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილების უფროსის მოადგილე
3. თეიმურაზ გეწაძე — საქართველოს სსრ პროფსაბჭოს სამართლებრივი მუშაობის განყოფილების ინსპექტორი
4. გიორგი მიქანაძე — თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრი
5. მიხეილ კოტრიკაძე — თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო მოსამართლე
6. მარიამ ქოსაშვილი — საქართველოს სსრ პროკურორის უფროსი თანაშემწე სამართლის პროპაგანდის დარგში
7. ჯაურ წულაია — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი
8. მარიამ ცისკაძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემების კვლევის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი

სახალხო მუხრანოვადი იურიდიული სამსახურის სრულყოფის საქცია

1. ტარიელ ზამბახიძე — სექციის ხელმძღვანელი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი

სექციის წევრები:

1. სვეტლანა კოსტაკოვა — რუსთავის ამფესამუენებლო ქარხნის იურისკონსულტი
2. აღექსანდრე კუპრეიშვილი — საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს იურიდიული განყოფილების უფროსი
3. თენგიზ მახარაძე — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი
4. ამბერკი ოქროპირიძე — აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მთავარი სამართლებრივი ინსპექტორი
5. სერგო პეტროსიანი — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს განყოფილების უფროსის მოადგილე
6. გიორგი საბიაშვილი — თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო მოსამართლე
7. მანანა ქურდაძე — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი
8. ედუარდ ხომასურიძე — ა/კ რკინიგზის სამმართველოს იურიდიული განყოფილების უფროსი

□ □ □

იურიდიულ მეცნიერებათა განვითარების ხელშეწყობის საქცია

1. თამაზ შავგულიძე — სექციის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე

სექციის წევრები:

1. ჯამბაკურ ბაქრაძე — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრი
2. ანზორ გაბიანი — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს დამნაშავეობის მიზეზების თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის უფროსი
3. როლანდ გილიგაშვილი — საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე
4. გივი კვანტალიანი — სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს უმაღლესი სკოლის თბილისის ფილიალის უფროსი
5. ვალერიან მებრეველი — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი
6. ლამარჯ სურგულაძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სა-



ხელმწიფოსა და სამართლის პრობლემების კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

7. **რომან შენგელია** — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

8. **ოთარ ჯიბლაძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

9. **სერგო ჭორბენაძე** — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე

□ □ □

იურისტთა სოციალურ-სამართლებრივი დაცვის ღონისძიებათა სექცია

1. **გრიგოლ დევდარიანი** — სექციის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე

სექციის წევრები:

1. **ვახტანგ აბაშმაძე** — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე

2. **იური არქიპოვი** — ამიერკავკასიის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარე

3. **ვენედი ბენიძე** — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების გამგის მოადგილე

4. **ნანული კორძაია-სამადაშვილი** — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი

5. **თენგიზ ლილუაშვილი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემების კვლევის ცენტრის განყოფილების გამგე

6. **დურმიშხან ლორია** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული განყოფილების გამგე

7. **გიორგი მეფარიშვილი** — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი

9. **რუსუდან შველიძე** — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრი

10. **რამაზ ჩალაური** — საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგამომძიებლო განყოფილების უფროსი

8. **ვარლამ შადური** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე

□ □ □

სამართალშეფარდების და სამართალდაცვის ორგანიზაციის სამხიანოების პროკლამაციის სექცია:

1. **ჯონი ხეცურიანი** — სექციის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემების კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილე

სექციის წევრები:

1. **ორდე ბებია** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი
2. **აკაკი ბუღალაშვილი** — საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო ჯგუფის უფროსი
3. **ლევან გიორგაძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემების კვლევის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი
4. **ლევან ზაიჩიკი** — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდენტის თავმჯდომარის მოადგილე
5. **ვახტანგ უვანია** — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრი
6. **ოთარ უდენტი** — სასამართლო ექსპერტიზის ცენტრალური რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის უფროსი
7. **ჯაბა კერესელიძე** — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი
8. **ვასილ ფოცხვერია** — ქ. თბილისის პროკურორის მოადგილე
9. **ლამარა ჩორგოლაშვილი** — ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე

□ □ □

**იურიდიული კადრების აღზრდის და შეარჩევის ხელშეწყობი
სექცია**

1. **ვალერი ლორია** — სექციის ხელმძღვანელი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე

სექციის წევრები:

1. **ჩამლეთ ბაბილაშვილი** — ქ. ქუთაისის პროკურორი
2. **თენგიზ გოგუშვილი** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ადმინისტრაციული ორგანოების სექტორის გამგე
3. **ვალერიან ედიშერაშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე
4. **იური ერმოლაევი** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე
5. **აპოლონ კვიცინია** — აფხაზეთის ასსრ პროკურორი
6. **მამია კოშახიძე** — იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების დირექტორი
7. **ალა მარჯიევა** — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იუსტიციის განყოფილების უფროსის მოადგილე
8. **იაკობ მახარაძე** — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრი
9. **ამირან ნაკაშიძე** — აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრი
10. **ალექსანდრე ტალიაშვილი** — საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე
11. **დიმიტრი ჩიტლოვი** — საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე

**მოკავშირე რესპუბლიკების და საზღვარგარეთის ჰეხანების
იურიდიულ საზოგადოებასთან თანამშრომლობის სეპცია**

1. ლევან ალექსიძე — სექციის ხელმძღვანელი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი

სექციის წევრები:

1. თეიმურაზ ბაქრაძე — თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრი
2. დიმიტრი ბარათაშვილი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემების კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
3. თემურ გამცემლიძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემების კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
4. თენგიზ გორდელაძე — საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე
5. ავთანდილ დემეტრაშვილი — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი
6. ავთანდილ კალაშხელიძე — თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე
7. მურმან ომანიძე — საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე
8. შალვა პაპიძე — საქართველოს კპ ცკ მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტის რექტორი
9. თამაზ ტულუში — ქ. თბილისის პროკურორი
10. ნიბლია უგრეხელიძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემების კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
11. ნუჯარ შოშიაშვილი — საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე
12. ირაკლი შაფაქიძე — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი

□ □ □

საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის

ცესდება

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სსრ იურისტთა კავშირი* წარმოადგენს ნებაყოფლობით საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს პროფესიულ იურისტებს.

კავშირის საქმიანობას საფუძვლად უდევს თვითმმართველობა, დემოკრატიისა და კოლექტივიზმის პრინციპები, წევრთა ფართო ინიციატივა, მათი პერსონალური პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისადმი.

2. კავშირი თავის ფუნქციებს ახორციელებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების, აგრეთვე მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე, საჯაროობის პირობებში და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით.

3. კავშირი არის იურიდიული პირი, წარმომადგენლობს და იცავს თავის წევრთა ინტერესებს სახელმწიფოებრივ ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, აქვს ანგარიში სახელმწიფო ბანკში, ემბლემა, მრგვალი გერბიანი ბეჭედი და შტამპი თავისი სახელწოდებით.

იურიდიული პირის უფლებით სარგებლობენ აგრეთვე აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების იურისტთა კავშირები.

4. რესპუბლიკური კავშირის ხელმძღვანელი ორგანოების ადგილსამყოფელია ქალაქი თბილისი.

II. საქართველოს იურისტთა კავშირის მიზნები და მუშაობის ფორმები

5. კავშირის უმთავრესი მიზანია მთელი ძალისხმევა მოახმაროს გარდაქმნის კურსისადმი რესპუბლიკის იურისტთა აქტიურ მხარდაჭერას, უზრუნველყოს კავშირის წევრთა ფართო მონაწილეობა საბჭოთა სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირება-სრულყოფაში, ხელი შეუწყოს კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას, საქართველოს სუვერენულ უფლებათა რეალიზაციას, ეროვნულ სამართალშემოქმედებით განვითარებას, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებათა კანონიერი ინტერესების დაცვას.

ამ მიზნის განსახორციელებლად კავშირი ატარებს ღონისძიებებს სხვადასხვა სფეროში მომუშავე იურისტების თანამშრომლობის განვითარებისათვის, ხელს უწყობს იურიდიული მეცნიერებისა და პრაქტიკის კავშირის განმტკიცებას, ღებულობს ზომებს თავის წევრთა პროფესიული და საზოგადოებრივი საქმიანობის სრულყოფისათვის, ზრუნავს, რათა ყველა იურისტმა განუხრებლად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები, მონაწილეობს სამართალდამცავი და სხვა იურიდიული ორგანიზაციების კადრების აღზრდისა და შერჩევის საქმეში.

* შემდგომში „იურისტთა კავშირი“ მოხსენიებული იქნება „კავშირად“.

6. კავშირის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საყოველთაო იურიდიული სწავლების ორგანიზაციაში, მოქმედი კანონმდებლობის პროპაგანდასა და განმარტებაში, იურიდიული განათლების სისტემის სრულყოფაში, სახალხო მეურნეობაში იურიდიული სამსახურის განმტკიცებაში, დაეხმაროს ფართო საზოგადოებრიობას სამართლებრივ საშუალებათა გამოყენებით იბრძოლოს დამნაშავეობის წინააღმდეგ.

7. კავშირის ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულებაა აამაღლოს იურიდიულ პროფესიათა პრესტიჟი, გააუმჯობესოს თავის წევრთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები, ხელი შეუწყოს იურისტთა საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცებას, სოციალურ სამართლებრივ დაცვას, აგრეთვე მათ მიერ პროფესიული ფუნქციების განხორციელებისას კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას.

8. კავშირი სამართალდაცვით ორგანოებთან და დაწესებულებებთან ერთად სწავლობს მოქმედი კანონმდებლობის ეფექტიანობას, ავლენს პრაქტიკაში მათი გამოყენების ნაკლოვანებებს, მხარს უჭერს ახალ, პროგრესულ სამართალშემოქმედებითი პროცესის გაფართოებას, კანონმდებლობის სრულყოფას.

9. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 108-ე მუხლის შესაბამისად კავშირი სარგებლობს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით, შედის წინადადებებით სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში კანონმდებლობისა და იურიდიული პრაქტიკის სრულყოფის, აგრეთვე იურისტთა ცხოვრებასა და საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების გამო.

10. კავშირი ამყარებს კონტაქტებს მოკავშირე რესპუბლიკების, სოციალისტური და საზღვარგარეთის ქვეყნების იურისტთა კავშირებთან და გაერთიანებებთან, ეცნობა მათი საქმიანობის გამოცდილებას, ახორციელებს დელეგაციებისა და ინფორმაციის გაცვლას. აწყობს წევრების პროფესიულ და სხვა მოგზაურობებს ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ.

11. ამ ამოცანების წარმატებით შესასრულებლად კავშირი:

ა. თანამშრომლობს სახელმწიფო ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, აგრეთვე რესპუბლიკის სხვა შემოქმედებითი კავშირებთან;

ბ. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მონაწილეობს სახალხო დეპუტატთა არჩევნებში, ამ მიზნით წარადგენს ხელისუფლების უმაღლეს და ადგილობრივ ორგანოებში ასარჩევ დეპუტატთა კანდიდატებს;

გ. დამოუკიდებლად ან სახელმწიფო ორგანოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად ატარებს კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, სემინარებს, კოლოკვიუმებს, გამოფენებსა და სხვა ღონისძიებებს;

დ. აწესებს პრემიებს სწავლული და პრაქტიკოსი იურისტებისათვის, ახალისებს თავის წევრებს კავშირში აქტიური მუშაობისათვის, აგრეთვე მეცნიერებისა და პრაქტიკის სფეროში მაღალი მიღწევებისათვის, შეაქვს სახელმწიფო და სამეცნიერო დაწესებულებებში წინადადებები პრემიებზე, ჯილდოებზე და საპატიო წოდებებზე მათ წარსადგენად;

ე. ეწევა საგამომცემლო საქმიანობას, აქვს თავისი ბეჭდვითი ორგანო — ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“.

ვ. პატრონობს სოციალურ და კულტურულ ობიექტებს, აყალიბებს სხვადასხვა სახის ორგანიზაციებს სახელშეკრულებო საწყისებზე, ახორციელებს ღონისძიებებს კავშირის წევრთა იურიდიული ლიტერატურით უზრუნველსაყოფად;

ზ. რესპუბლიკის საზოგადოებრიობას პერიოდულად აწვდის ინფორმაციას თავისი საქმიანობის შესახებ;

თ. ქმნის იურისტთა კავშირის ფონდს.

III. საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის წევრები, მათი უზღვა-მოვალეობანი

12. კავშირი შედგება ინდივიდუალური და კოლექტიური წევრებისაგან.

13. კავშირის ინდივიდუალური წევრი შეიძლება იყოს პროფესიულად იურიდიული საქმიანობით დაკავებული პირი, რაც შესაბამის იურიდიულ განათლებას ან პრაქტიკულ მომზადებას მოითხოვს, სწავლული იურისტები და უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლო დაწესებულებების სამართლებრივი დისციპლინების მასწავლებლები, რომლებიც ცნობენ წესდებას და აქტიურად მონაწილეობენ პირველადი ორგანიზაციის მუშაობაში.

14. კავშირის კოლექტიური წევრები შეიძლება იყვნენ ასოციაციები, იურისტთა სხვა გაერთიანებები, აგრეთვე ორგანიზაციები, რომლებიც მონაწილეობენ ამა თუ იმ სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტაში და დაინტერესებული არიან კავშირის საქმიანობის განვითარებით.

15. კავშირთან ნებაყოფლობით შეიძლება შეიქმნას მოსწავლე იურისტთა გაერთიანება.

16. კავშირის ინდივიდუალურ წევრად მიღება წარმოებს კავშირის პირველადი ორგანიზაციის მიერ, შემსვლელი წარადგენს განცხადებას პირველად ორგანიზაციაში, რომელიც განიხილება შეტანიდან ერთი თვის ვადაში.

გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა პირველადი ორგანიზაციის წევრთა ნახევარზე მეტმა.

17. კავშირის წევრებს ეძლევათ წევრობის ბილეთი.

18. კავშირის კოლექტიურ წევრებად მიღება წარმოებს საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესაბამისი კავშირის მიერ;

— კავშირის კოლექტიურ წევრად ასოციაციის (გაერთიანების) შესვლასთან ახლავს მასში შემავალ იურისტთა კავშირის ინდივიდუალურ წევრად შესვლის მოვალეობაც.

19. კავშირის წევრს უფლება აქვს:

ა. მონაწილეობა ჰიილოს კავშირის მიერ მოწყობილ ყველა ღონისძიებაში;

ბ. კავშირის ყველა ორგანოში შეიტანოს მის საქმიანობასთან დაკავშირებული წინადადებანი;


გ. მონაწილეობა მიიღოს კავშირის ორგანოების ფორმირებასა და არჩეულ იქნეს მათ შემადგენლობაში;

დ. ისარგებლოს კავშირის სპეციალური და კულტურული ფონდებით, აგრეთვე მის მიერ დაწესებული შეღავათებით;

ე. მოითხოვოს პირადი მონაწილეობა მათ მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენების შესახებ საკითხის განხილვისას, კავშირის კომპეტენტურ ორგანოებში შეიტანოს საჩივრები და თავისი მოსაზრებანი;

ვ. წარდგენილ იქნეს კავშირის ჟილოზე ან წახალისებაზე კავშირში აქტიური მუშაობისა და შემოქმედებითი მიღწევებისათვის.

20. კავშირის წევრი მოვალეა:



ა. აქტიურად მონაწილეობდეს პირველადი ორგანიზაციების ცხოვრებაში იმ მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად, რომლებიც დასაბუნ კავშირის ხელმძღვანელმა ორგანოებმა;

ბ. იცხოვროს საბჭოთა იურისტის ღირსეული ცხოვრების წესით, განუწყვეტლივ აიმაღლოს თავისი იდეურ-პოლიტიკური და პროფესიული მომზადების დონე;

გ. დაიცვას კავშირის წესდების მოთხოვნები და პროფესიული ეთიკის ნორმები;

დ. დროულად შეიტანოს შესასვლელი და ყოველწლიური საწევრო გადასახადი.

21. საწესდებო მოვალეობათა დარღვევისათვის კავშირის წევრს პირველადი ორგანიზაციის საერთო კრებამ შეიძლება დააკისროს შემდეგი სასჯელი: გაკიცხვა, გაფრთხილება, საყვედური, სასტიკი საყვედური, კავშირის წევრობიდან გარიცხვა ან ამორიცხვა.

სასჯელის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს გადაცდომის და იურისტის ბრალის ხარისხის გულმოდგინე განსჯა.

სასჯელის მოხსნა შეუძლია მის დამდებ ორგანოს.

22. კავშირის წევრობა წყდება შემდეგ შემთხვევებში:

— კავშირიდან საკუთარი სურვილით გასვლისას;

— გარიცხვა-ამორიცხვისას.

23. კავშირის წევრი, რომელიც სისტემატურად არ იცავს წესდების მოთხოვნებს, ჩაიდინა კავშირის წევრის პატივისა და ღირსების შემლახველი ანტი-საზოგადოებრივი ან ამორალური გადაცდომა, ანდა უმიზეზოდ არ იხდის საწევრო გადასახადს და არ ფარავს დავალიანებას, პირველადმა ორგანიზაციამ შეიძლება გარიცხოს ან ამორიცხოს კავშირის წევრთა რიგებიდან.

გადაწყვეტილება კავშირის წევრობიდან გარიცხვა-ამორიცხვის შესახებ მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა პირველადი ორგანიზაციის წევრთა არანაკლებ ორმა მესამედმა.

პირველადი ორგანიზაციის გადაწყვეტილება კავშირის წევრობიდან გარიცხვა-ამორიცხვის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან ერთი თვის მანძილზე კავშირის შესაბამის ზემდგომ ორგანოში.

24. კავშირის ცენტრალურ ორგანოთა წევრების დისციპლინურ საქმეებს პირველი ინსტანციით განიხილავს პროფესიული ეთიკის კომისია. კომისიის გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა მისი წევრების არანაკლებ ორმა მესამედმა. ამ კომისიის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კავშირის პრეზიდიუმში.

IV. საქართველოს იურისტთა კავშირის სტრუქტურა და ხელმძღვანელი ორგანოები

25. კავშირი აერთიანებს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იურისტთა კავშირებს, რაიონულ და საქალაქო ორგანიზაციებს.

26. კავშირის საფუძველია პირველადი ორგანიზაცია.

კავშირის პირველადი ორგანიზაცია იქმნება ტერიტორიული ან პროფესიული პრინციპის მიხედვით, თუ ის აერთიანებს კავშირის არანაკლებ სამ წევრს.

პირველადი ორგანიზაცია თავისი შექმნის შესახებ აცნობებს კავშირის ზემდგომ ორგანოს.

27. კავშირის პირველადი ორგანიზაცია:

ა. ახორციელებს საქმიანობას თავის კავშირის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად;

ბ. ღებულობს კავშირის წევრებს;

გ. რიცხავს კავშირის წევრობიდან;

დ. რეკომენდაციას აძლევს თავის წევრებს კავშირის ხელმძღვანელ ორგანოთა შემადგენლობაში წამოსაყენებლად;

ე. შეიტანს კავშირის ზემდგომ ორგანოებში წინადადებებს თავის წევრთა სახელმწიფო პრემიებზე, საპატიო წოდებებზე, აგრეთვე კავშირის ჯილდოებსა და წახალისებებზე წარდგენის შესახებ მეცნიერებისა და პრაქტიკის სფეროში მაღალი მიღწევების, სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდაში წარმატებებისა და კავშირის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის.

28. პირველადი ორგანიზაციები კავშირში შედიან რაიონულ და საქალაქო განყოფილებათა, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის კავშირების მეშვეობით.

29. იურიდიულ დაწესებულებებში, სამეცნიერო ორგანიზაციებსა და სასწავლებლებში შექმნილი პირველადი ორგანიზაციები, რომლებიც არანაკლებ 100 კაცს ითვლიან, რაიონული განყოფილების უფლებებით სარგებლობენ.

30. ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის იურისტთა კავშირებს და გაერთიანებებს შეუძლიათ დამოუკიდებლად დააწესონ თავიანთი ორგანიზაციული სტრუქტურა, ჰქონდეთ ამ წესდების გათვალისწინებით შემუშავებული დებულება.

31. კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებს წარმოადგენენ:

ყრილობა;

გამგეობა;

პრეზიდიუმი;

სარევიზიო კომისია;

პროფესიული ეთიკის კომისია.

32. კავშირის ზემდგომი ორგანოების დადგენილებები სავალდებულოა მისი ყველა ორგანიზაციისათვის.

33. კავშირის უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს ყრილობა, რომელიც მოიწვევა ხუთ წელიწადში ერთხელ.

მორიგი ყრილობის მოწვევა და მასზე განსახილველი საკითხები კავშირის გამგეობის მიერ ცხადდება ყრილობამდე არაუგვიანეს 4 თვისა.

რიგგარეშე ყრილობები შეიძლება მოწვეულ იქნეს:

კავშირის თავმჯდომარის წინადადებით;

გამგეობის გადაწყვეტილებით;

სარევიზიო კომისიის მოთხოვნით.

კავშირის წევრთა არანაკლებ 10 პროცენტის მოთხოვნით რიგგარეშე ყრილობები მოიწვევა ორთვიან ვადაში.

34. საქართველოს იურისტთა კავშირის ყრილობაზე წარმომადგენლობისა და დელეგატთა არჩევის წესის ნორმებს ადგენს კავშირის გამგეობა.

35. საქართველოს იურისტთა კავშირის ყრილობა:

საქართველოს
იურისტთა კავშირი

ა. ფარული ან ღია კენჭისყრით ირჩევს საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარეს ხუთი წლის ვადით, არა უმეტეს ორი ვადისა ზედიზედ;

ბ. განიხილავს კავშირის საქმიანობის მნიშვნელოვან მიმდინარე და პერსპექტიულ საკითხებს;

გ. ამტკიცებს კავშირის წესდებას და შეაქვს მასში ცვლილებანი და დამატებანი (გადაწყვეტილებები კავშირის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ მიიღება კენჭისყრით ყრილობის დელეგატთა ორი მესამედის უმრავლესობით);

დ. ამტკიცებს ანგარიშებს კავშირის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის საქმიანობის შესახებ.

ე. ადგენს რიცხობრივ შემადენლობას და ირჩევს გამგეობას, სარევიზიო და პროფესიული ეთიკის კომისიებს;

ვ. ყრილობას უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს სხვა საკითხებიც, რომლებიც ეხება კავშირის ორგანიზაციასა და საქმიანობას;

ზ. ყრილობის გადაწყვეტილებები კავშირის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევის საკითხებზე მიიღება ფარული ან ღია კენჭისყრით, დამსწრე დელეგატთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

36. გამგეობის, სარევიზიო კომისიისა და პროფესიული ეთიკის კომისიის შემადგენლობაში არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებმაც ხმის უმრავლესობა მიიღეს.

37. საზოგადოების სამართლებრივი განვითარებისა და კავშირის საქმიანობის ცალკეული მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად ყრილობებს შორის პერიოდში შეიძლება მოწვეულ იქნეს იურისტთა რესპუბლიკური კონფერენცია. გადაწყვეტილება კონფერენციის მოწვევის შესახებ მიიღება კავშირის გამგეობის მიერ.

რესპუბლიკური კონფერენცია მოწვეულ უნდა იქნეს მისი ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს ორი თვისა, კონფერენციაზე წარმომადგენლობის ნორმებს ადგენს კავშირის გამგეობა.

38. კავშირის ხელმძღვანელ ორგანოს ყრილობებს შორის პერიოდში წარმოდგენს კავშირის გამგეობა.

გამგეობის პლენუმები მოიწვევა აუცილებლობის მიხედვით, მაგრამ არანაკლებ ორჯერ წელიწადში.

39. კავშირის გამგეობა:

ა. ირჩევს საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეებს და ყურწნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქტორს;

ბ. ირჩევს პრეზიდიუმს და ყოველწლიურად ისმენს ანგარიშებს მისი საქმიანობის შესახებ;

გ. განსაზღვრავს კავშირის ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის გზებს;

დ. კოორდინაციას უწევს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის კავშირების საქმიანობას;

ე. ქმნის მუდმივმოქმედ კომისიებს, პროფესიულ სექციებს, სხვა ჯგუფებს გამგეობის წევრთაგან, აგრეთვე იურიდიული საზოგადოებრიობის წარმომადგენელთაგან, რომლებიც მოწოდებული არიან ხელი შეუწყონ კავშირის წინაშე დასახული მიზნების მიღწევას;

ვ. რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებში, აგრეთვე საზოგადოებრივ-ორგანიზაციების ცენტრალურ ორგანოებში შეაქვს საზოგადოების სამართლებრივ განვითარებასთან, აგრეთვე კავშირის საქმიანობასთან დაკავშირებული წინადადებები;

ზ. ამტკიცებს კავშირის წლიურ ბიუჯეტს, იმუშავებს ძირითად ღონისძიებათა გეგმებს, მრავალწლიან და კომპლექსურ პროგრამებს;

თ. ამტკიცებს საქართველოს იურისტთა კავშირის ფონდის წესდებას.

40. კავშირის პრეზიდიუმი:

ა. უზრუნველყოფს ყრილობების, გამგეობის პლენუმების, მისი მუდმივ-მოქმედი კომისიების, სექციების გადაწყვეტილებათა შესრულებას;

ბ. ხელმძღვანელობს კავშირის მიმდინარე მუშაობას და პრეზიდიუმთან შექმნილი საზოგადოებრივი საბჭოების საქმიანობას;

გ. ამტკიცებს კავშირის ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობას;

დ. აზღავნის კავშირის წარმომადგენლებს საკავშირო და რესპუბლიკურ უწყებებსა და დაწესებულებებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, ინფორმაციის საშუალებათა ორგანოებში და ისმენს ანგარიშს მათი იქ საქმიანობის შედეგების შესახებ;

ე. ამზადებს მასალებს გამგეობის პლენუმებსა და კავშირის ყრილობებზე განსახილველად;

ვ. ამტკიცებს წარდგინებებს სახელმწიფო პრემიების, ჯილდოებისა და საპატიო წოდებათა მისანიჭებლად, იღებს გადაწყვეტილებებს კავშირის ჯილდოებისა და წახალისებათა შესახებ;

ზ. გამოყოფს სახსრებს კავშირის ორგანიზაციული შემოქმედებითი ღონისძიებების განსახორციელებლად.

41. პრეზიდიუმის არჩევნებიდან ორი-სამი წლის გასვლის შემდეგ გამგეობის პლენუმი განიხილავს საკითხს თავისი წევრების პრაქტიკული საქმიანობის შედეგების შესახებ და წყვეტს იმათი გადარჩევის საკითხს, ვინც კავშირის საზოგადოებრივ საქმიანობაში თავი ვერ გამოიჩინა.

42. საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარე:

ა. ახორციელებს კავშირის საერთო ხელმძღვანელობას, ყრილობის, კონფერენციის, გამგეობისა და პრეზიდიუმის მიერ განსახილველი საკითხების მომზადებას. გამგეობის პლენუმის, პრეზიდიუმის სხდომებს შორის პერიოდში წარმართავს მიმდინარე საქმიანობას;

ბ. წარმომადგენლობს იურისტთა კავშირს ქვეყნის სახელმწიფო ორგანოებში, საზოგადოებრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებში;


გ. კავშირის სახელით ხელს აწერს დოკუმენტებს, იღებს ვალდებულებებს;

დ. იწვევს გამგეობის პლენუმს, პრეზიდიუმს და წარმართავს მათ სხდომებს;

ე. ასრულებს ამ წესდებიდან გამომდინარე სხვა რწმუნებებს.

43. კავშირის ცენტრალური სარევიზიო კომისია:

ა. აკონტროლებს კავშირის წესდების, ყრილობის, გამგეობის პლენუმების, პრეზიდიუმების გადაწყვეტილებების, აგრეთვე კავშირის ძირითადი ღონისძიებათა გეგმების შესრულებას;



- ბ. აკონტროლებს კავშირის ფონდების ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობას, ამოწმებს ბიუჯეტის შესრულების სისწორეს;
- გ. ატარებს კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციების ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის გეგმურ რევიზიებსა და შემოწმებებს;
- დ. აკონტროლებს კავშირის ორგანოებში, აგრეთვე მის საქვეუწყებო ორგანიზაციებში საქმეთა მოძრაობის დროულობას;
- ე. ამოწმებს კავშირის მისამართზე შემოსული განცხადებების, საჩივრებისა და წერილების დროულად განხილვასა და სისწორეს;
- ვ. მეთოდურ დახმარებას უწევს ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის იურისტთა კავშირის, აგრეთვე ადგილობრივი ორგანიზაციების სარევიზიო კომისიებს.

44. პროფესიული ეთიკის კომისია:

- ა. იხილავს აპელაციებს კავშირში მიღების, გარიცხვა-ამორიცხვის საკითხებზე, არკვევს იურისტთა საჩივრებს, განცხადებებს და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, აგრეთვე კავშირის ორგანიზაციებს ატყობინებს თავის გადაწყვეტილებებსა და წინადადებებს;
- ბ. შეიმუშავებს რეკომენდაციებს და აწყობს კონსულტაციებს პროფესიული ეთიკის საკითხებზე.

45. გამგეობისა და პრეზიდიუმის გადაწყვეტილებანი ეცნობება ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის იურისტთა კავშირებს, ადგილობრივ ორგანიზაციებს და იურიდიულ საზოგადოებას კავშირის ბეჭდვითი ორგანოებისა და სხვა მასობრივი ინფორმაციის დაწესებულებათა მეშვეობით.

46. კავშირის წევრები შეიძლება არჩეულ იქნენ ერთსა და იმავე ხელმძღვანელ ორგანოში ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

47. რესპუბლიკური დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები არ შეიძლება იყვნენ კავშირის ხელმძღვანელი ორგანოს შემადგენლობაში ერთ მესამედზე მეტი.

V. საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის ფინანსები და ქონება

48. კავშირის წევრად მიღებულ პირებს შეაქვთ საწევრო შესატანი 10 მანეთის ოდენობით და ყოველწლიური საწევრო შესატანი 12 მანეთის ოდენობით.

პენსიონერები თავისუფლდებიან საწევრო გადასახადისაგან, ხოლო მამუშავე პენსიონერები საწევრო გადასახადს იხდიან 50 პროცენტის ოდენობით.

კოლექტიურ წევრთა საწევრო შესატანი დგინდება კავშირის გამგეობის მიერ მათთან შეთანხმებით.

49. კავშირის ფულადი სახსრების წარმოქმნის წყაროებია:

- ა. კავშირის ინდივიდუალურ და კოლექტიურ წევრთა შესასვლელი და საწევრო შესატანები;
- ბ. წესდებით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარების შედეგად შემოსული თანხები;
- გ. კავშირისადმი დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მოვებიდან მიღებული გადანაარციები;

ინდ. შემოსავლები ბეჭდვითი საქმიანობიდან;
ე. მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისაგან მიღებული სხვა შემოსავლები.

50. კავშირის გამგებლობაშია იურისტთა ცენტრალური სახლი, რომელიც კავშირის წევრთა კლუბს წარმოადგენს.

51. კავშირის საქმიანობა შეიძლება შეწყდეს ყრილობის გადაწყვეტილებით, კავშირის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ყოველგვარი სახსრები და ქონება ყრილობის გადაწყვეტილებით გადაეცემა სახელმწიფო ორგანოებს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

□ □ □

საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის გამგეობის პლენუმი

1989 წლის 3 ნოემბერს გაიმართა საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის გამგეობის პირველი პლენუმი. პლენუმმა აირჩია კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი, დაამტკიცა საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის ფონდის წესდების შემუშავებელი კომისია, შექმნა სხვადასხვა პროფესიული სექციები.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე ორგანიზაციული საკითხები. საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეებად აირჩია აშხ. აშხ. თამაზ ბარაბაძე და მურმან ომანიძე. ყურნალ „საბჭოთა სამართლის“ მთავარ რედაქტორად — აშხ. თედო ნინიძე. პლენუმის მდივნად აშხ. ქეთევან ყურაშვილი.

პლენუმმა განიხილა და დაამტკიცა საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის 1989-1990 წლების სამუშაო გეგმა.





სახელმწიფო მმართველობის სახელმწიფო და ბარჯქენა

ალგარბ აბასაძე,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

სახელმწიფოს მმართველობითი, ანუ აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი საქმიანობის გარდაქმნა ქვეყნის პოლიტიკური რეფორმის ახალი ეტაპის კანონმდებრივი მოთხოვნაა. მისი აუცილებლობა კიდევ უფრო იზრდება სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების პირობებში, როცა საბოლოოდ წყდება ეკონომიკის მართვის სფეროში პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ფუნქციების გამიჯვნა, მათი კომპეტენციების დაზუსტება. დიდ მნიშვნელობას იძენს ეს პრობლემა ცენტრისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამეურნეო კავშირების ახლებურად მოწესრიგების საქმეშიც. მართვის დეცენტრალიზაციის რაზაზე რესპუბლიკების სწრაფვა სრული პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული დამოუკიდებლობის მისაღწევად, ველარ ურიგდება აღმინისტრაციულ-ბიუროკრატიული სისტემის დამკვიდრებულ უკიდურეს ცენტრალიზმს, რომელიც წლების მანძილზე მმართველობის ორგანოების ფორმირებითა თუ მათი საქმიანობის მეთოდების დადგენით, სახელმწიფო მმართველობითი ურთიერთობის სუბიექტებთან ორგანიზაციულ-სამართლებრივი კავშირების მოწესრიგების დროს, როგორც წესი, წინ აყენებდა ცენტრის ინტერესებს.

ბუნებრივია, ასეთ დროს ილახებოდა საბჭოთა ფედერაციაში შემავალი მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო სუვერენიტეტი, რაც მთავარია ქვეყნის სულიერი და ეკონომიკური ცხოვრების უკიდურესი გასახელმწიფოებრიობა უპირისპირდებოდა სოციალისტური ერების თვითგამორკვევისა და თვითგამოყოფის კონსტიტუციურ პრინციპებს, რასაც დღეს ველარ ურიგდება გამოღვიძებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

დღეს, როცა საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭო ძირითადად ამთავრებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკანონმდებლო ბერკეტების — ახალი საკანონმდებლო აქტების შემუშავებასა და მიღებას, მმართველობის უმაღლეს, ცენტრალურ და ადგილობრივ აპარატებს მართებთ ამ მოთხოვნების შუქზე ძირეულად გარდაქმნან თავიანთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი საქმიანობის მექანიზმი. ეს მექანიზმი რთულია, რომელიც მოითხოვს არა მარტო სახელმწიფოს მმართველობითი ორგანოების მუშაობის ახალი წესების ჩამოყალიბებას, მათი აქტების მიღების, ამ ორგანოებში საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის ახალი წესების დაზუსტება-დაკონკრეტებას, არამედ მმართველობის სფეროში მოქალაქეთა უფლებების რეალიზაციის პირობების გაუმჯობესებას, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებთან ურთიერთობის რთული კომპლექსის მოწესრიგებას, რაც ფართო საჯარო

რობისა და დემოკრატიზაციის პროცესების გაღრმავების საფუძველზე უნდა წარიმართოს. ამიტომ ამ უბანზე აუცილებელია არა კოსმეტიკური რემონტი, არამედ ორგანიზაციული მუშაობის ფორმების თვისობრივი განახლება.


არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ მუშაობის ორგანიზაციული ფორმების მხრივ კონსერვატიზმი და უძრავობა, ფუნქციების აღრევა პარტიულ ორგანოებთან, მმართველობის აპარატს წლების მანძილზე საშუალებას აძლევდა შეექმნა თავისი საქმიანობისათვის დაუსჯელობის სისტემა. იგი ვერ იტანდა ოპოზიციას, განსაკუთრებით ინტელიგენციის მხრივ, აწარმოებდა მოჩვენებით ბრძოლას ბიუროკრატიზმთან და ეკონომიკის მართვის საქმეში ყოველნაირად იღვწოდა თავისი მონოპოლისტური მდგომარეობის შენარჩუნებისათვის.

ბუნებრივია, რომ დღეს, მართვის აპარატებზე ხელისუფლების ორგანოებისა და საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერების პირობებში, ამ აპარატს აღარ ძალუძს ფონს გავიდეს მუშაობის ძველი, გატკეპნილი ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით. კავშირის მასშტაბით ეს ერთხელ კიდევ გამოჩნდა ნოვოკუზბასის, დომბასისა თუ ვორკუტის მეშახტეთა გრანდიოზული გაფიცვის მაგალითზე. ჩვენი რესპუბლიკის პირობებში მართვის აპარატების დახვეწებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი სისტემა საშუალებას არ აძლევს მათ დროული და სწორი პოზიცია დაიჭირონ ყოველდღიურად მზარდ ეროვნულ მოძრაობასთან, მოაწესრიგონ ეროვნული უთანხმოებანი, რომლებიც არადა არ ცხრება. ძალთა ასეთი დაპირისპირება ნეგატიურად მოქმედებს არა მარტო რესპუბლიკის ეკონომიკაზე, არამედ მას სერიოზული დისონანსი შეაქვს სულიერი ცხოვრების სფეროშიც და ფაქტიურად ხელს უშლის სახელმწიფო მართვაში დემოკრატიული საწყისების დამკვიდრებას.

სამუშაო, ქვეყნის პოლიტიკური რეფორმის მიმდინარე მეორე ეტაპზე ჩვენ ძირითადად ყურადღება გადავიტანეთ ხელისუფლების ორგანოების ძალაუფლების გაძლიერებაზე და ყურადღების მიღმა დაგვრჩა სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სისტემის განახლება. სამინისტროების მექანიკური შემცირება, მმართველობის აპარატების გამარტივებისა და გაიაფების ღონისძიებანი საკმარისი არ არის ამ ორგანოთა შიგნით არსებული ფუნქციების ახლებურად გადანაწილებისა და მუშაობის გარდაქმნისათვის.

მმართველობის საკავშირო და რესპუბლიკური ცენტრალური აპარატების მოუქნელი და უინიციატივო მუშაობით უნდა აიხსნას არა მარტო პირველადი მოხმარების საგნების თითქმის დეფიციტად გადაქცევა, არამედ ისიც, რომ აპარატმა დროულად ვერ აუღო ალლო დემოკრატიზაციის ახალ ტალღას, რომელმაც საკანონმდებლო გზით უფრო მალე დაამსხვრია ძველი ეკონომიკური მექანიზმი, ვიდრე ახალი შეიქმნებოდა. ჩვენი მმართველობის აპარატის აქილევსის ქუსლად რჩება მეცნიერების სუსტი ჩაბმა გარდაქმნის კარდინალურ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების არა მარტო მომზადების დროს, არამედ მიღებული შედეგების გაანალიზებისა და დანერგვის საქმეშიც. გაჭირდა სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვა, რადგანაც დროულად არ იყო მიღებული ზომები ახალი სამეურნეო კავშირების მოსაწესრიგებლად.

ძველი სტერეოტიპებით მუშაობა დემოკრატიულ და ეროვნულ საფუძველს არის მოკლებული. მართვის სხვადასხვა რანგის აპარატების ურთიერთობა რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოო-დაწესებულებებთან, თვითმმართველობა, რაც დემოკრატიზაციის ერთ-ერთი საწყისი ელემენტია, სწორედ შრომითი კოლექტივებიდან იწყება. მათი ეკონომიკური განმტკიცე-



ბა რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძველია, ვინაიდან შრომით კოლექტივებში იქმნება ის ეკონომიკური ბალანსი, რაზეც უნდა აშენდეს საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს შენობა. ამას აბრკოლებს არა მარტო ის, რომ საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების ხელში აღმოჩნდა რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა 89 პროცენტი, არამედ ისიც, რომ სამეურნეო ანგარიშის პირობებში მმართველობის აპარატი სუსტად იყენებს კონსტიტუციურ უფლებებს ამ რანგის საწარმოთა სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის განხორციელებისათვის. ეს იქიდანაც ჩანს, რომ რესპუბლიკის ბევრი სამინისტრო და სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი ჯერ კიდევ ზერელედ და უსულგულოდ ეკიდება საწარმო-დაწესებულებების შრომითი კოლექტივის საბჭოებთან ორგანიზაციულ-სამართლებრივი კავშირების გაუმჯობესებას. და ეს ხდება მაშინ, როცა ახალი საკანონმდებლო აქტების საფუძველზე შრომითი კოლექტივები იქცევიან თავიანთი საწარმოსა და წარმოებული პროდუქციის მესაკუთრეებად, რომლებიც აქტიურად ერთვებიან ადგილობრივი ბიუჯეტების, ე. ი. ჩვენი ეროვნული ქონების დაგროვებაში.

ბუნებრივია, რომ მმართველობის უმაღლესი, ცენტრალური და ადგილობრივი აპარატების ორგანიზაციულ-სამართლებრივი საშუალებების შეცვლა და განახლება უნდა ემყარებოდეს ახალ ეროვნულ სამეურნეო კანონმდებლობას, რომლის შემუშავებაც ძალზე იგვიანებს. იგი აქტიურად უნდა ჩაერიოს კაპიტალისტურ ქვეყნებთან და ჩვენი ქვეყნის სხვა რეგიონებთან ახალი პორიზონტალური სამეურნეო კავშირების მოწესრიგებაში, ხელი შეუწყოს სოციალისტური საბაზრო ეკონომიკის შექმნას. სოციალისტური საკუთრების განსხვავებული ფორმების დაკანონების საფუძველზე შესაცვლელია აგრეთვე რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სხვადასხვა რანგის საწარმოთა მართვის სისტემა და სტრუქტურა, ხელმძღვანელობის მეთოდები. ბევრ ამ საჭირობოროტო კითხვას პასუხს გასცემს ახალი კანონი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ, რაც უნდა შეიმუშაოს ჭეშმარიტად დემოკრატიული გზით არჩეულმა ახალმა ეროვნულმა პარლამენტმა.

უნდა აღიკვეთოს პარტიული ორგანოების ჩარევა ეკონომიკის მართვის კონკრეტული საკითხების გადაწყვეტაში. ეს მითუმეტეს დღეს, როცა ლაპარაკია მრავალპარტიული სისტემის ატცილებლობაზე. რესპუბლიკის ფედერალიზმის რთული კონსტრუქციის პირობებში სამეურნეო კანონმდებლობამ უნდა განსაზღვროს ჩვენი ეკონომიკის აღმავლობის ისეთი ლეგალურ-ეგოლუციური გზა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა ეროვნებების ძალების კონსოლიდაციას ეკონომიკურად ძლიერი და წელში გამართული სუვერენული საქართველოს შექმნისათვის.

ეკონომიკის მართვის სტრატეგიული და ტაქტიკური ვარიანტების შერჩევას, ბუნებრივია, ართულებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ არაქართველთა განსხვავებული ინტერესების ხელოვნური შეჯახება და დაპირისპირება, რაშიც გარკვეულად მართვის აპარატსაც მიუძღვის ბრალი. არც ისაა დასამალი, რომ ავტონომიური ერთეულების უკიდურესად გამძაფრებულ ეროვნულ გამოხდომებს, რაც ფაქტიურად საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ არის მიმართული, ხელოვნურად აღვივებენ გარდაქმნის აშკარა და ფარული მოწინააღმდეგენი. ეს კი აწყობს ჩვენს კორუმპირებულ ბიუროკრატებს და ორგანიზებულ დამნაშავეობას, რომელიც ჯერ კიდევ ახერხებს ეროვნებათშორისი კონფლიქტების ზურგს უკან დამალვას. ასეთ დროს

მართვის აპარატს ევალუება არა მარტო დროულად და საჯაროდ გამოაშკაროსნებს მისი ქმედებები, არამედ ოპერატიულად გამოიყენოს ყველა კონსტიტუციური საშუალება მათ აღსაკვეთად. მერყეობა და პასიურობა ამ საქმეში, ყურადღების განაღდება ნაუცბათევ და სარეკლამო ღონისძიებებზე, ავტორიტეტს უღახავს აპარატს და კიდევ უფრო აღრმავებს უფსკრულს ხალხსა და მთავრობას შორის.

ცნობილია, რომ მმართველობის აპარატის საქმიანობაში ფეხმოკიდებული ბიუროკრატიზმი, ყველაზე მკაფიოდ მუდგანდება ხელმძღვანელობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ მეთოდებში, სახელმწიფო მმართველობაში მოქალაქეთა უფლებების რეალიზაციაში, ეკონომიკის მართვისას ცენტრისა და რესპუბლიკების ურთიერთობებში. ამ კავშირების დროს ჯერ კიდევ არ მოქმედებს მექანიზმი, რომელიც რეალურად გადაეღობება აპარატის ბიუროკრატიზმს და პასუხს აგებინებს მას დაშვებული შეცდომებისათვის. ამიტომ დღეს ცენტრალიზებული მართვიდან შერეულ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლა და სამეურნეო კავშირების ახლებური ორგანიზება მოითხოვს აპარატის ტიტანურ მუშაობას, რომლის ნების გამოვლენის ყველა აქტი მისაღები უნდა იყოს ცენტრისა და რეგიონისათვის. ცუდად დამალული იმპერიული ხასიათის მისწრაფებანი, რაც ადმინისტრაციული მართვის სისტემის პირობებში ცხოვრების ყველა სფეროში იყო ფეხგადგმული, ახალი საკავშირო და რესპუბლიკური სამეურნეო კანონმდებლობით უნდა აღიკვეთოს. ამასთან, რესპუბლიკის სამეურნეო-ორგანიზატორული და კულტურულ-აღმზრდელი ხასიათის ყველა აქცია აპარატის მიერ ეროვნულ ნიადაგზე დღეს ისე უნდა იყოს გადახარშული, რომ მან პირველ რიგში ხელი შეუწყოს რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული დამოუკიდებლობის განმტკიცებას. ამ მხრივ მმართველობის უმაღლესი და ცენტრალური ორგანოების საქმიანობაზე კონტროლის გაძლიერება მართებს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსაც, განსაკუთრებით მაშინ, როცა მას ანგარიშს აბარებს — მთავრობა.

ასეთი კონტროლი აუცილებელია იმიტომაც, რომ აღმოფხვრილი არ არის მომიჯნავე სამინისტროებისა და უწყებების მიერ ერთი და იგივე საკითხების ცალმხრივად განხილვის, საკუთარი მუშაობის შექებისა და შესრულების შემოწმებისას ორგანოთა დუბლირების ფაქტები. უნდა გაიზარდოს მმართველობის აპარატების პასუხისმგებლობა საკადრო პოლიტიკის წარმართვის საქმეშიც. წარმოების სამეურნეო ანგარიშზე გადასვლისას მმართველობის აპარატი ყველაზე მეტად უნდა იყოს დაინტერესებული კომპეტენტური სამეურნეო ხელმძღვანელის შერჩევაში, რადგანაც სწორედ მას ეკისრება სრული პასუხისმგებლობა ეკონომიკის გარდაქმნისა და გაჯანსაღებისათვის.


როგორც ჩანს, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების მართვის საკავშირო მოდელის მექანიკური გადმოტანა რესპუბლიკების დონეზე არ არის გამართლებული, ვინაიდან ეს მოდელი რესპუბლიკების სუვერენული უფლებების შეკვეცის ხარჯზე არა მარტო აძლიერებდა ცენტრალურ პოზიციებს, არამედ ამახინჯებდა ფედერალიზმის დემოკრატიულ პრინციპებსაც. თუ გამოვალთ იქიდან, რომ 1922 წელს სსრ კავშირი შეიქმნა თავისუფალი სუვერენული რესპუბლიკების ნებაყოფლობითი გაერთიანების შედეგად, მაშინ მათ უნდა ეკუთვნოდეთ უპირველესი პრიორიტეტი არა მარტო ფედერაციაში შესვლის, არამედ მისგან თავისუფლად გამოსვლის საკითხის გადაწყვეტაშიაც. ასეთ დროს რესპუბლიკებს უფლება აქვთ უკან დაიბრუნონ ის ფუნქციებიც, რაც მათ თავის დროზე ხელშეკრულების საფუძველზე გადასცეს საკავშირო

ორგანოებს. ამიტომ მართებულად გვეჩვენება, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების საკანონმდებლო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი, რომლებიც ძლიერი რესპუბლიკებისა და ძლიერი ცენტრის მოდელიდან გამოდიან. ფედერაციულ კავშირში ისინი პრიორიტეტს ანიჭებენ მოკავშირე რესპუბლიკებს და მართებულად მოითხოვენ, რომ საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების კანონების განსხვავებისას მათ ტერიტორიაზე მოქმედებდეს რესპუბლიკის კანონი.

მიგვაჩნია, რომ ეს პროცესი ჩვენთანაც შეუქცევადია, რასაც დროულად სჭირდება საქმით გამაგრება. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ სადღესოდ მზადდება სსრ კავშირის კონსტიტუციის ახალი პროექტი, რომლის დროსაც გაანალიზდება მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებით ჩამოყალიბებული დებულებები. ჩვენის მხრივ, საქართველოს სსრ კონსტიტუციის ახალ ტექსტში მაქსიმალურად უნდა აისახოს მართვის ის იდეები, რაც დაგეგმარება დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის აღსადგენად. ქვეყანაში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გამო ცენტრი იძულებული გახდა დაეთმო რეგიონებისათვის. კერძოდ, მან მოკავშირე რესპუბლიკებს გადასაწყვეტად გადასცა პოლიტიკური სისტემის ისეთი არსებითი ინსტიტუტების ჩამოყალიბების თავისუფლება, როგორცაა რესპუბლიკებში საბჭოების ყრილობის ორგანიზება, საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან დებუტატების არჩევის წესი და სხვა. მოკავშირე რესპუბლიკებს იგი მეტ თავისუფლებას ანიჭებს მართვის აპარატების მუშაობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების დადგენაშიც. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გამოვიყენებთ ახალ შესაძლებლობებს, რასაც ალბათ, დასჭირდება რესპუბლიკაში არსებული შემოქმედებითი ძალების კონსოლიდაცია დასაბუთებული კანონპროექტების მომზადებისა და დამტკიცებისათვის.

რესპუბლიკების სუვერენიტეტის გაფართოების პოზიციებიდან დასაკონკრეტებელია აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სამართლებრივი სტატუსი. მაგალითად, სსრ კავშირის კონსტიტუციის 129-ე მუხლით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები თანამდებობის მიხედვით შედიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში. სამწუხაროდ, კონსტიტუცია არაფერს ამბობს რა რანგით შედიან ისინი საკავშირო მთავრობაში და ითვლებიან თუ არა საკავშირო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად. თუ ვაღიარებთ, რომ საკავშირო მინისტრთა საბჭო უმაღლესი კოლევითი მართვის ორგანოა, მაშინ ქვეყნის ფედერაციული პრინციპიდან გამომდინარე, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე უნდა შევიდეს მასში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის რანგით. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სათანადო ცვლილებანი შევიდეს როგორც საკავშირო, ისე მოკავშირე რესპუბლიკების ახალ კონსტიტუციებში.

ცხოვრებამ მოითხოვა, რომ ჩვენმა კონსტიტუციებმა გამოკვეთილად გამოიჩინონ ერთმანეთისაგან პარტიული, სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის ორგანოთა კომპეტენციები. დღეს ამ ორგანოთა ფუნქციები პრაქტიკულად არეულია, რაც უარყოფითად მოქმედებს მართვის აპარატების ორგანიზაციულ მუშაობაზე. ამიტომ მომავალი საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებში სასურველია აღინიშნოს, რომ უზენაესი საბჭო დარჩეს მხოლოდ ხელისუფლების უზენაეს საკანონმდებლო და საკონტროლო ორგანოდ. დღეს მოქმედი კონსტიტუციით იგი ამავე დროს ითვლება განმ-



კარგულბებელ ორგანოდაც, რაც არაზუსტია, მინისტრთა საბჭო კი დარჩება უზენაეს აღმასრულებელ-განმკარგულბებელ ორგანოდ, რომელიც იმუშავებს უზენაესი საბჭოს კონტროლით და ანგარიშვალდებული იქნება მის წინაშე.


მოკავშირე რესპუბლიკების გაზრდილი სახელმწიფო სუვერენიტეტის უზრუნველსაყოფად უნდა გადაისინჯოს აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მუდმივი წარმომადგენლობის სტატუსიც. დღეს ამ წარმომადგენლობის კომპეტენცია შეზღუდულია და საშუალებას არ იძლევა სრულად დაიცვან საკავშირო დონეზე მოკავშირე რესპუბლიკების სამეურნეო და სოციალურ-პოლიტიკური ინტერესები. ისინი უნდა იყვნენ არა მარტო კულტურულ-მასობრივი სანახაობის ცენტრები, არამედ პოლიტიკურ-ეკონომიკური ცნობრების საჭირობოროტო საკითხებზე რესპუბლიკაში შემუშავებული ყველა მნიშვნელოვანი პროექტებისა და წინადადებების საკავშირო დონეზე დაცვის ორგანიზატორებიც. სამისოდ მუდმივი წარმომადგენლობის ხელმძღვანელ მუშაკებს სჭირდებათ უფლებათა ახალი კომპლექსი, რაც კონსტიტუციური გზით უნდა იყოს რეგულირებული.

ორგანიზაციულ-სამართლებრივი კავშირების ახალი ფორმებია მოსაძებნი მოკავშირე რესპუბლიკების მმართველობის ორგანოებსა და საკავშირო სამინისტროების სისტემაში შემაჯალ იმ სამრეწველო საწარმოებთან, რომლებიც რესპუბლიკების ტერიტორიაზეა განლაგებული. რესპუბლიკების გაზრდილი სუვერენიტეტისა და ეკონომიკის მართვის დეცენტრალიზაციის პირობებში მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს უნდა ჰქონდეს მესაკუთრის ყველა არსებითი უფლება, რაც აუცილებელია რესპუბლიკის საკუთრებად გამოცხადებული წარმოების მართვისათვის.

დარგობრივი მართვის ცენტრალური ორგანოების — სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების ორგანიზაციული მუშაობის სრულყოფის მიზნით გადასახედია აგრეთვე მინისტრისა და კოლეგიის ურთიერთობაც. არსებული წესის თანახმად კოლეგიის დადგენილებები ქვეყნდება და ძალაში შედის მინისტრის ან კომიტეტის თავმჯდომარის ბრძანებებისა და ინსტრუქციების ფორმით. პრაქტიკაში ეს წესი ირღვევა, რადგანაც კოლეგიის დადგენილებანი ხშირად ძალაში შედიან, როგორც დამოუკიდებელი ნორმატიული ხასიათის აქტები. რაკი ასეთი პრაქტიკა ფაქტიურად დამკვიდრდა, სასურველია მან ასახვა ჰპოვოს მოქმედ კანონმდებლობაშიც.

რესპუბლიკების სრული სამეურნეო დამოუკიდებლობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი უზრუნველყოფის მწყობრი მეცნიერული სისტემის შესაქმნელად და მიღებული აქტების ხარისხის ამაღლების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დონეზე შეიქმნას 5-7 კაციანი მუდმივმოქმედი სამეცნიერო-საექსპერტო ჯგუფი ფასიანი ანაზღაურებით. ასეთი ორგანო მსოფლიოს მრავალ ცივილიზებულ ქვეყანას გააჩნია. მაგალითად, საფრანგეთში მოქმედებს ე. წ. კონსტიტუციური საბჭო, რომელიც 300 იურისტს აერთიანებს. ამ საბჭოს დასკვნის გარეშე ძალაში არ შედის პარლამენტისა და მთავრობის მიერ მიღებული არც ერთი კანონპროექტი. ასეთი დემოკრატიული ინსტიტუტის ამოქმედება რესპუბლიკის მთავრობას გაუადვილებს ალტერნატიულ პროექტებზე მუშაობასაც, რაც დღეიდან ქვეყნის ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ყოველდღიურ პრაქტიკად უნდა იქცეს.

რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესი საბჭოსა და მმართველობის უმაღლეს ორგანოთა უმნიშვნელოვანესი კანონპროექტები, მიღებულ აქტებზე



მეცნიერული ხასიათის კომენტარები და გამოხმაურებანი საჯაროდ უნდა ქვეყნდებოდეს მთავრობის ახალ სპეციალურ გაზეთში, რასაც ექნება არა მარტო პროპაგანდისტული, არამედ დიდი პრაქტიკული და სამართალმზრდელობითი მნიშვნელობა.

ჩვენი სახელმწიფო მმართველობის აპარატი, რაც ქვეყნის სახელმწიფო სუვერენიტეტის ნაწილია, თავისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი საქმიანობის გარდაქმნით ეროვნული ძალების კონსოლიდაციის მძლავრ იარაღად უნდა იქცეს, რაც აუცილებელია დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს აწინებისათვის.

ეროვნებათაშორის ურთიერთობათა სამართლებრივი პრობლემები

მწვავედ, მაგრამ საინტერესოდ და საქმიანად ჩაიარა ეროვნებათაშორის ურთიერთობათა სამართლებრივი პრობლემებისადმი მიძღვნილმა სამეცნიერო კონფერენციამ, რომელიც ამასწინათ გაიმართა თბილისში. ამ ღონისძიების ინიციატორი და ორგანიზატორი იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრი. კონფერენციის მოწვევა განაპირობეს იმ რთულმა ეროვნულმა პრობლემებმა, რომლებიც საქმაოდ ბევრი დაუგროვდა დღევანდელ საქართველოს. ესაა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის სრულყოფა თანამედროვე პირობებში, დემოკრატიზაცია და საჯაროობა, რესპუბლიკის ეკონომიკური და პოლიტიკური სუვერენიტეტის სამართლებრივი უზრუნველყოფა, მოქმედ კანონმდებლობათა კიდევ უფრო დახვეწა, სახელმწიფო ენის სამართლებრივი სტატუსი, ერთა თვითგამორკვევის საერთაშორისო სამართლებრივი პრობლემები და მრავალი სხვა.

სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამ უდიდეს საქმეთა პრაქტიკულ განხორციელებაში გადაწყვეტი სიტყვა იურისტებს ეკუთვნით და ეს სიტყვა მათ აუცილებლად უნდა თქვან. სწორედ ეს აზრი გასდევდა ლეიტ-მოტივად კონფერენციის მთელ მუშაობას, სადაც მოწვეულნი იყვნენ რესპუბლიკის ცნობილი მეცნიერი იურისტები, ადმინისტრაციულ ორგანოებში მომუშავე პრაქტიკოსი მუშაკები, დაინტერესებული პირები.

კონფერენცია მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის დირექტორმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა თამაზ შავგულიძემ.

მოხსენება თემაზე — „ეროვნულ-სახელმწიფო მშენებლობის სრულყოფის საკითხები საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიზაციის პირობებში“ გა-

აკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის განყოფილების გამგემ იაკობ ფუტყარაძემ.

ეს პრობლემა მომხსენებელმა საქართველოს კომუნისტური პარტიის ეროვნული კონცეფციის პროექტს დაუკავშირა და მხარი დაუჭირა მასში ჩამოყალიბებულ დებულებებს. მთავარი საკითხი, — აღნიშნა მან — ახლა ამ დოკუმენტში გათვალისწინებული ღონისძიებების პრაქტიკულად განხორციელებაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საჭიროა ჩვენი ეროვნული განვითარების კონცეფციის რეალიზაციის კონკრეტული გზებისა და საშუალებების ძიება, შესაბამისი პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების ეტაპობრივად განსაზღვრა, რაშიც უპირველესი სიტყვა უნდა თქვან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებებმა, განსაკუთრებით კი საზოგადოებრივ მეცნიერებათა წარმომადგენლებმა.

მომხსენებელმა გამოთქვა ზოგიერთი თეორიული და პრაქტიკული ხასიათის მოსაზრება და დასძინა, რომ ამჟამად საქართველოში მიმდინარეობს ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა, რომელიც საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიზაციის საფუძველზე დაიწყო. იგი მჭიდროდაა გადაჯაჭვული გარდაქმნასთან და მისი ბედი დამოკიდებულია დემოკრატიზაციის პროცესის შემდგომ განვითარებაზე. შეეხო რა ეროვნული პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებებს ი. ფუტყარაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ შემადგენლობაში არსებული ავტონომიები რესპუბლიკის ორგანული, განუყოფელი ნაწილებია. მათ მიმართ განხორციელებული პოლიტიკა უნდა იყოს სამართლიანი და პრინციპული, კონსტიტუციურ კანონმდებლობაზე დამყარებული პოლიტიკა. ყოვლად დაუშვებელია ახალი ავტონომიური ერთეულების შექმნა და რესპუბლიკის ტერიტორიის შემდგომი დაქუცმაცება. ამავე დროს, უნდა ვიზრუნოთ ისტორიულად ჩამოყალიბებული საქართველოს ტერიტორიის მთლიანობისა და საზღვრების ხელშეუხებლობისათვის. საქართველო სუვერენული მოკავშირე რესპუბლიკაა და აქედან გამომდინარე, დაუშვებელია მის საზღვარსა და საქმედებში ჩარევა. კერძოდ, რესპუბლიკისა და მის შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური ერთეულების ურთიერთობა მხოლოდ თვითონ საქართველომ უნდა მოაწესრიგოს.

ი. ფუტყარაძემ სათანადო ყურადღება დაუთმო საქართველოს ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფას საკავშირო მასშტაბით. მისი აზრით, დღეისათვის ძირითადი ამოცანაა მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსის სრულყოფა და კონსტიტუციით განმტკიცებულ უფლებამოსილებათა რეალურად განხორციელება. შემდგომი ეტაპი იქნება კონფედერაციულ საწყისებზე მოწყობილ ურთიერთობებზე გადასვლა და, ბოლოს, სრული დამოუკიდებლობის მოპოვება. ფედერაციის დაცვის ინტერესებს არ უნდა შეეწიროს რესპუბლიკის სუვერენული უფლებები. ერთი წუთითაც არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ სსრ კავშირი შექმნეს მოკავშირე რესპუბლიკებმა და სწორედ ისინი გადასცემენ თავიანთ უფლებათა გარკვეულ ნაწილს საკავშირო ორგანოებს. აუცილებელია სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის თავისუფალი გასვლის უფლების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა, მოკავშირე რესპუბლიკების ნამდვილი თანასწორუფლებიანობის დამკვიდრება, საკავშირო სამართალშემოქმედებითი მექანიზმის სრულყოფა, ფედერალური ორგანოების დაკომპლექტება პარიტეტულ საწყისებზე და მათი სტრუქტურის დახვეწა ეროვნული ინტერესების ქმედითი დაცვის თვალსაზრისით.

ახალი შესაძლებლობანი საგარეო ურთიერთობათა სფეროში, უცხოეთის ქვეყნებთან კავშირის დამყარებასა ხელმწიფოებრივ დონეზე და საზოგადოებრივი ხაზით. ეგრეთწოდებული სახალხო დიპლომატია უნდა გამოვიყენოთ რესპუბლიკის საერთაშორისო პრესტიჟის ამაღლების, დიპლომატიური საქმიანობის გამოცდილების შეძენისა და სათანადო კადრების აღზრდის მიზნით. ასევე ფართოდ შეიძლება ვისარგებლოთ ჩვენი ეროვნული ინტერესებისათვის უცხოეთში მცხოვრები ქართველებით და საქართველოდან ისრაელში წასული, ჩვენდამი უაღრესად კეთილგანწყობილი ებრაელებით.

მომხსენებელი თვლის, რომ ეროვნული მოძრაობა საქართველოში იზოლირებულად კი არა, არამედ მსოფლიო მოვლენების კრილში უნდა განვიხილოთ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით წარმართულმა საყოველთაო დეკლარაციამ, რომელიც სამოციან წლებში დაიწყო, გამოადგინა ეროვნული ძალები და გამოიწვია განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა. საქართველოს ამბებიც მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გამოვლინებაა. ამასთანავე, ბრმა მიმბაძველობა და წამხედურობა სასიკეთო შედეგებამდე ვერ მიგვიყვანს. ჩვენ გვჭირდება საკუთარი, ადგილობრივი პირობების შესატყვისი პოლიტიკა, რომელიც ჩვენივე ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით შემუშავდება. განვითარების თანამედროვე ეტაპზე მისი მიზანდანიშნულება უნდა იყოს ისეთი სრულყოფილი ქართული სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი ეროვნული ინტერესების საიმედოდ დაცვას.

მეტად აქტუალური იყო მოხსენება — „სამართლის როლი ეროვნულ ურთიერთობათა მოწესრიგებაში“, რომელიც გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის განყოფილების გამგემ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **თენგიზ ლილუაშვილმა**.

ეროვნებათაშორისი ურთიერთობა — თქვა მომხსენებელმა — არის სოციალური ურთიერთობა და მას ბევრი რამ აქვს საერთო სხვა სახის ურთიერთობებთან. ამავე დროს, ეროვნებათაშორისი ურთიერთობებს გააჩნია მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ისეთი თავისებურებანი, რომლებიც ნათლად განასხვავებენ მათ სხვა სახის სოციალური ურთიერთობებისაგან. ამ თავისებურებათა გამოვლენა-გათვალისწინება აუცილებელია რეგულირების ისეთი სამართლებრივი მეთოდების შერჩევისათვის, რომლებიც უფრო მორგებულაა ეროვნებათაშორისი ურთიერთობების მოწესრიგებისათვის.

ეროვნებათაშორისი ურთიერთობა — ეს ისეთი სოციალური ურთიერთობაა, რომელიც წარმოიშობა ერთ მრავალეროვან სახელმწიფოში და აწესრიგებს სხვადასხვა ერსა თუ ეროვნებათა შორის წარმოშობილ ისეთ კონფლიქტებს, როგორცაა სახელმწიფოებრივი მოწყობა, ტერიტორია, ეროვნული კულტურისა თუ ენის გამოყენება-განვითარება, დემოგრაფიული, ეკოლოგიური და სხვა პრობლემები. რაც შეეხება ორ სხვადასხვა ერსა და მათ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს, ისინი მხოლოდ საერთაშორისო ნორმების საფუძველსა და სამართლებრივ საწყისებზე უნდა გადაწყდეს, რადგან ისინი საერთაშორისო ურთიერთობებს განეკუთვნება.

ეროვნებათაშორისი ურთიერთობათა გაუთვალისწინებლობამ ბევრი რამის დეფორმაცია გამოიწვია. მაგალითად, ფედერაციის განმტკიცება-გაძლიერების გზებს იმაში ხელდავდნენ, რომ მთელ რიგ უფლებებს ართმევდნენ რესპუბლი-

კებს, ყოველმხრივ ავიწროებდნენ მათ კომპეტენციას, სუვერენიტეტს და ბოლოს ეს უფლებამოსილებანი ფედერაციას გადაეცემოდა ხოლმე. ამგვარმა ღონისძიებებმა სინამდვილეში ფედერაცია კი არ გააძლიერა, არამედ დაასუსტა და დააუძლურა. სწორედ ამიტომ გახდა საჭირო რევოლუციური ღონისძიებების გატარება, მაგრამ როგორც ვარაუდობენ, ამ გაჯანსაღებას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება.

მომხსენებელმა შემდეგ ილაპარაკა ფედერაციასა და რესპუბლიკებს შორის არსებულ კომპეტენციათა გამიჯვნის მნიშვნელობაზე და დასძინა: საკანონმდებლო დებულებით, რაც ჩაწერილია აგრეთვე სკკპ პლატფორმაში, რესპუბლიკები წყვეტენ ყველა საკითხს, გარდა იმისა, რომლებსაც ნებაყოფლობით გადასცემენ ისინი კავშირის გამგებლობაში. ამიტომ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმის განსაზღვრას, თუ რა საკითხები შეიძლება გადაეცეს კავშირს და რა არა. ალბათ საჭიროა შემუშავდეს და საყოველთაო სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდეს იმ სუვერენულ უფლებათა ამომწურავი ჩამონათვალი (ნუსხა), რომლებსაც თვითონ იტოვებს რესპუბლიკა თავის გამგებლობაში და ვერც ვერავის გადასცემს.

აქვე თ. ლილუაშვილი შეეხო დემოგრაფიის სამართლებრივ ასპექტებს. მისი აზრით, უნდა შემუშავდეს კანონის პროექტი, რომელიც განსაზღვრავს მრავალშვილიანობისათვის წამახალისებელ ეფექტიან ღონისძიებებს. საბჭოთა და საზღვარგარეთის დემოგრაფებმა შეიმუშავეს კიდევ ბევრი დასაბუთებული რეკომენდაცია, რომელთა შორის საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ერთი: მრავალეროვან სახელმწიფოში ან რესპუბლიკაში გამრავლება არ შეიძლება მოხდეს რომელიმე ერთი ერის ხარჯზე და სახლმწიფომ უნდა წახალისოს მხოლოდ და მხოლოდ შვილიანობის ოპტიმალური რაოდენობა. ასეთად კი ითვლება სამი შვილის ყოლა. დემოგრაფიული პოლიტიკა სწორედ ამ რეკომენდაციების გათვალისწინებით უნდა წარიმართოს და რადგან მისი წარმატებით შემუშავება-გატარება მხოლოდ რესპუბლიკას შეუძლია, იგი მხოლოდ რესპუბლიკის სუვერენული უფლება უნდა იყოს.

ეროვნებათაშორისი ურთიერთობის სამართლებრივ საწყისებზე დამკვიდრება თავისთავად გულისხმობს ამ ურთიერთობათა მომწესრიგებელი ნორმების განუხრელად დაცვას. მაგრამ ვინ უნდა გადაწყვიტოს სამართლით მოწესრიგებული ეროვნებათაშორისი ურთიერთობებიდან გამომდინარე დავები და კონფლიქტები? საგანგებო დასაბუთებას არ მოითხოვს ის, რომ რესპუბლიკის შიგნით წარმოშობილი ეროვნებათაშორისი დავები და უთანხმოებანი თვით რესპუბლიკამ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს. ამისათვის ალბათ აუცილებელია შეიქმნას კიდევ შესაბამისი ორგანო. რა თქმა უნდა, დაინტერესებულ მხარეს უფლება უნდა მიეცეს გაასაჩივროს თავისთვის მიუღებელი გადაწყვეტილება შესაბამის საკავშირო ორგანოში.

„ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ისტორიიდან“ (ებრაელთა სამართლებრივი მდგომარეობა ფეოდალურ საქართველოში) — ასეთი საინტერესო თემა შესთავაზა კონფერენციის მონაწილეებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის განყოფილების გამგემ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გიორგი ნადარეიშვილმა.

ტერმინი „ებრაელი“ — თქვა მომხსენებელმა — საქართველოში უძველესი დროიდან გვხვდება. ებრაელთა აღმნიშვნელია აგრეთვე ქართულში დამკვიდრებული სიტყვები: „ისრაელი“, „ისრაელიტი“, „ურია“ და „იუდეველი“.

რაც შეეხება ებრაელთა სამართლებრივი მდგომარეობის ამსახველ დოკუმენტებს, ისინი ჯერ კიდევ ადრევე, ფეოდალურ საქართველოში შეიქმნა და ჩვენამდე მოაღწია კიდევ. მათი დიდი ნაწილი გამოქვეყნებულიცაა. ამ საბუთებიდან ის დასკვნა კეთდება, რომ ფეოდალურ საქართველოში ებრაელები უმთავრესად ცალკე ტომებად ან უბნებად ცხოვრობდნენ. ცხადია, ბატონყმობის ხანაში ქართველი ებრაელები ერთ მთლიან სოციალურ წრეს არ წარმოადგენდნენ. ღარიბი ყმა ებრაელი ყმა ქართველთან ერთად ერთ სოციალურ კატეგორიას ქმნიდა, მათთან ერთად ატარებდა მებატონის მძიმე უღელს, მათთან ერთად იბრძოდა მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

XI-XIII საუკუნეების საქართველოში ებრაელთა შორის იყვნენ მდიდარი, ეკონომიურად დაწინაურებული პირები. არაფერი არ არის გასაკვირი იმაში, რომ ებრაელთა შორის იყვნენ ვაჭრები, ხელოსნები და სხვანი. ამასთან, მდიდარ ებრაელთა შორის მოიძებნებოდნენ აგრეთვე ყმა-მამულის მქონენიც. ევროპის განვითარებულ ქვეყნებში კი ებრაელებს გვიან ფეოდალურ ხანაშიც ეკრძალებოდათ უძრავი ქონების შექმნა. ჩვენთან, საქართველოში ყმა ქართველი ებრაელი იმავე უფლებებით სარგებლობდა, რითაც ქართველი ყმა. ერთი კი აღსანიშნავია, როდესაც ებრაელი ყმა „თეთრით“ (ფულით) ემსახურებოდა ქართველ ბატონს, ეს უკანასკნელი განსაკუთრებულად იყო დაინტერესებული, რომ ასეთი ყმა არ დაეკარგა. სწორედ ამიტომ იგი მას განსაკუთრებულ პირობებს უქმნიდა, მეტ თავისუფლებას აძლევდა, რათა მისგან რაც შეიძლება ბევრი ფულადი გადასახადი მიეღო. რელიგიური ფანატიზმი დარღვეული ჩანს იმ მხრივაც, რომ საქართველოში არა მხოლოდ მეფეს, დედოფალს და თავადს ყავდათ ყმებად ებრაელები, არამედ ეკლესია-მონასტრებსაც. საბუთების მიხედვით ებრაელთა უმრავლესობა თუ არა, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც, ვაჭრობასა და ხელოსნობას მისდევდა, თუმცა იყვნენ გლეხებიც, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს ეწეოდნენ და მოკვავდათ სიმინდი, ხილი, უვლიდნენ ვენახს.

საინტერესოა საკითხი — ხდებოდა თუ არა ებრაელების ასიმილაცია ქართულ მოსახლეობასთან? ებრაელთა ნაწილის „გაქართველება“-გაქრისტიანების დასტურად ალბათ მათი ქართული გვარ-სახელები გამოდგება, მაგრამ იგი გაკვირვებას იმიტომ არ უნდა იწვევდეს, რომ იმ დროინდელ საქართველოში ქრისტიანობა უმრავლესობის რელიგია იყო, რელიგია კი ყველგან და ყველადღერზე ბატონობდა. საინტერესო ფაქტად ჩვენ ის მიგვაჩნია, რომ ყოფილა შემთხვევა, როდესაც ქრისტიანი ყმა სჯულს იცვლიდა და ებრაელთა სარწმუნოებას, იუდაიზმს აღიარებდა. საქმე ეხება ებრაელი მებატონის ქრისტიანი ყმის „გაუთრიავებას“ ე. ი. მოსეს სარწმუნოებაზე (სჯულზე) გადასვლას. უფრო საგულისხმო კი ის არის, რომ საქართველოში ამისათვის არავინ დაუშვიათ. ფეოდალურ რუსეთში ან ევროპაში ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო საკითხს, თუ რა ენაზე ლაპარაკობდნენ ებრაელები და თავის უძველეს რელიგიასთან ერთად შენარჩუნებული ჰქონდათ თუ არ მათ ძველებური, მშობლიური ენა. უნდა ითქვას, რომ ებრაელთა ნაწილმა იცოდა ებრაული ენა, უმეტესობა კი ქართულად მეტყველებდა. ებრაელები არაფერში იყვნენ შეზღუდულნი, ყველაფერში თავისუფლად გრძნობდნენ თავს და არავითარ დისკრიმინაციას არ განიცდიდნენ.

აი, ამისი მაგალითიც. ფეოდალური საქართველოს ქართული სამართალწარმოების წესით ფიცი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მტკიცებულება იყო და

როდესაც მომჩივანი და მობასუხე ერთი სარწმუნოებისანი ანუ ქართველები იყვნენ, საქმე მარტივად წყდებოდა, ქრისტიანულ ტაძარში, კულტის მსახურთა დასწრებით იძლეოდნენ ფიცს: მაგრამ თუ მხარეები ქრისტიანი და ებრაელი იყვნენ, მაშინ საქმე რთულდებოდა.

თუ ქრისტიანის დასაფიცებლად არსებობდა მონასტერი და ეკლესია, იუდეველისათვის ასეთი რამ დაუშვებელი იყო. ერთის მხრივ, ებრაელი ყმის დაფიცება ქრისტიანულ ეკლესიასა და მონასტერში აღიქმებოდა, როგორც ქრისტიანთა შეურაცხყოფა, ხოლო მეორეს მხრივ, თვითონ ებრაელისთვისაც დაუშვებლად ითვლებოდა ფიცი იუდაიზმის მოწინააღმდეგე ქრისტიანული სარწმუნეობის წესით. ამიტომ კანონი არ კრძალავდა და უფლებას იძლეოდა, რომ ებრაელებს დაეფიცათ სინაგოგაში ბიბლიაზე, რომელიც მათ ძველებურ ენაზე იყო დაწერილი.

როგორც წესი, ფეოდალურ საქართველოში ებრაელები ისეთივე უფლებებით სარგებლობდნენ, როგორითაც ქართველები და ხშირად მათი დიდ-ვაჭრები უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო დავალებებსაც კი ასრულებდნენ. ქართველთა და ებრაელთა ასეთი ურთიერთობა განპირობებული იყო უპირველესად ამ ორი ერის კულტურული დონის შესატყვისობით, მათი ფსიქიკური წყობის მსგავსებით და ქართველი ხალხის ინტერნაციონალური ბუნებით. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ქართული ეკლესია არ ეწეოდა ძლიერ ანტიებრაულ პროპაგანდას. მართლაც, საქართველოს ისტორიამ არ იცის იმის მაგალითი, რომ ჩვენში ეკლესიას ძალით გაექრისტიანებინოს ებრაელები ან რაიმე ხერხით გაეღვივებინოთ მტრობა ქართველთა და ებრაელთა შორის.

„ერთა სოლიდარობის იურიდიული გარანტიები (არჩილ ჯორჯაძის პროექტი და თანამედროვეობა)“ — აი ერთ-ერთი გამოცხადების თემა, რომელმაც ცხოველი დაინტერესება და ყურადღება გამოიწვია კონფერენციის მონაწილეთა შორის. მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის სექტორის გამგემ, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა თედო ნინიძემ.

კულტურული ავტონომია — თქვა მომხსენებელმა — არ იყო ნიკო ნიკოლაძისა და არჩილ ჯორჯაძის ეროვნული პროგრამების მოთხოვნა. უფრო ზუსტად თუ ვიტყვი, იგი არ წარმოადგენდა ქართველი ერის პოლიტიკური მოწყობის მათთვის მისაღებ ფორმას საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე. ქართველი პუბლიცისტები ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მომხრენი იყვნენ ამიერკავკასიის ფედერაციის ფარგლებში.

ერთა ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგების საკითხი ნიკო ნიკოლაძისა და არჩილ ჯორჯაძის მიერ დაისვა ერთი კონკრეტული პრობლემის — თბილისის საქალაქო თვითმმართველობის არჩევნების გამო. პრობლემის სიმძაფრე განპირობდა სომეხი პლუტოკრატებისაგან ქალაქის მმართველობის ხელში აღება და იქედან საზოგადოების ინტელიგენტური და დემოკრატიული ნაწილის გამოდევნა. ძალაუფლების ხელში ჩაგდება გზა გაეხსნა ნაციონალისტურ პოლიტიკას.

არჩილ ჯორჯაძემ ერთა შორის ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების არეალი გააფართოვა და მისი იურიდიული მექანიზმი დააზუსტა. „ერი — წერს იგი — არის იურიდიული პიროვნება. თუ იურიდიულ პიროვნებად არ იქნა იგი გამოცხადებული, არც მისი უფლებების დაცვა გახდება

შესაძლებელი“. მისი აზრით, სახელმწიფოში, სადაც შეხამებულია ეროვნულ-ტერიტორიული და კულტურული ავტონომია, ან სადაც ერების პოლიტიკური მოწყობის ფორმა კულტურული ავტონომიაა, ეროვნული ერთეულები უნდა წარმოადგენდნენ „საჯარო-სამართლებრივ კორპორაციებს“. ასეთ იურიდიულ პიროვნებად ერების აღიარება ნიშნავს მათ ფორმალურ თანასწორობას, რითაც ერთ სახელმწიფოში მრავალრიცხოვანი ერის არსებობის გამო შექმნილი ცენტრალისტურ-ატომისტური სისტემა ადგილს დაუთმობს პერსონალურ სისტემას.

ერის, როგორც იურიდიული პიროვნების აღიარების უთუობას იცავდა მიხაკო წერეთელიც, მაგრამ ის ასეთ მოთხოვნას ავითარებდა საერთაშორისო სამართალში, არჩილ ჯორჯაძემ კი ერის იურიდიულ პიროვნებად ცნობა და ერთაშორის სამართლებრივ ურთიერთობათა მოწესრიგების აუცილებლობის საკითხი დასვა შიდასახელმწიფოებრივ ურთიერთობებში.

რუსეთის იმპერიის ნგრევა ძირითადად სოციალურ-კლასობრივმა მიზეზებმა განაპირობა, მაგრამ ამ პროცესში არსებითი როლი ითამაშა ეთნოკონფესიონალურმა ფაქტორებმა. მიუხედავად ამისა, ახალი სახელმწიფო პრაქტიკულად ძველ საზღვრებში ჩამოყალიბდა, რასაც ხელი შეუწყო მომავალი კავშირის ერთიანმა პოლიტიკურმა რეჟიმმა, ძველმა ეკონომიკურ-კულტურულმა კავშირებმა და მსოფლიოს სოციალისტური სახელმწიფოს იმჟამინდელმა იდეამ. ძალდატანებითმა პოლიტიკურმა ღონისძიებებმა ჩაკლა ის ცენტრიდანული ტენდენციები, რაც მოკავშირე რესპუბლიკებში იმთავითვე არსებობდა.

ამჟამად, — თქვა მოხსენების დასასრულს თ. ნინიძემ — სახელმწიფო პოლიტიკის მიზნად აღიარებულია საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჰუმანიზაცია, პლურალიზმი, ახლებური დამოკიდებულება რელიგიური ერთობებისადმი, კულტურის აღორძინება. ერების თვითგამორკვევისაკენ ლტოლვამ უთუოდ უნდა ჰპოვოს გამოსავალი. საზოგადოების კრიზისული განვითარების სიტუაციაში ძველი პოლიტიკურ-იურიდიული მოუწესრიგებლობა თავს იჩინდა და იჩინა კიდევ სერიოზულ ერთაშორის კონფლიქტებში.

ბოლო პერიოდის საბჭოურ პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრებები ერთა შორის ურთიერთობების სწორედ სამართლებრივი მოწესრიგების ღონისძიებებზე. სამართლებრივ მექანიზმში კი უპირველესი ადგილი უნდა დაიკავოს ეთნოსის, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილის აღიარებამ, რაც ერთა სოლიდარობის ერთ-ერთი გარანტია იქნება.

მოკავშირე რესპუბლიკის საკანონმდებლო კომპეტენციის გაფართოების საკითხებს მიეძღვნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის სექტორის გამგის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის **ოთარ გამყრელიძის** გამოსვლა.

სახელმწიფოებრივი ცხოვრების დეცენტრალიზაციის პროცესი, რომელიც ამჟამად საბჭოთა კავშირში მიმდინარეობს — თქვა ო. გამყრელიძემ — თავისთავად მოითხოვს საკავშირო სახელმწიფოსა და მოკავშირე რესპუბლიკას შორის დღემდე არსებულ ურთიერთობათა გადასინჯვას, მათ შორის კი უპირველესად რესპუბლიკის უფლებების გაფართოებას, მისი სუვერენიტეტის რეალურ უზრუნველყოფას.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირი ფედერაციული სახელმწიფოა. ერთი მხრივ, არსებობს საკავშირო სახელმწიფო, ხოლო მეორე მხრივ, ამ ფედერ-

რაციაში შემავალი მოკავშირე რესპუბლიკა. კანონმდებლობაც სწორედ ამის მიხედვით არის დაყოფილი — საკავშირო და რესპუბლიკურ კანონმდებლობად. ამიტომ, თანამედროვე პოლიტიკური ვითარება ბუნებრივად წამოჭრის კითხვას, აუ რამდენად სწორად არის გაყოფილი კომპეტენციები საკავშირო სახელმწიფოსა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საკანონმდებლო საქმიანობის თვალსაზრისით და შეესაბამება თუ არა ამ სფეროში ამჟამად არსებული ვითარება დღევანდელ მოთხოვნებს.

დღეს, როდესაც მოკავშირე რესპუბლიკებს პრაქტიკულად ეძლევათ დიდი დამოუკიდებლობა და ფართო თვითმმართველობა ეკონომიკის თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში, მით უმეტეს უნდა გაფართოვდეს მათი საკანონმდებლო უფლებებიც. ის კონსტიტუციური დებულება, რომ საკავშირო სახელმწიფოს კომპეტენციას შეადგენს „საკანონმდებლო რეგულირების ერთიანობის უზრუნველყოფა“ მთელი კავშირის ტერიტორიაზე, ახალი არ არის. იგი ჯერ კიდევ 1977 წელს დაკანონდა, როდესაც ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში უკიდურესი ცენტრალიზაციის პრინციპი ბატონობდა. მაგრამ სულ სხვაა დღეს, როცა ანალოგიური აზრია გამოხატული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტში, რომელიც ამასწინათ გამოქვეყნდა საყოველთაო სახალხო განხილვისათვის. ქართულ პრესაში უკვე გამოითქვა შიში იმის გამო, რომ მასში ბევრი რამ იმგვარადაა ფორმულირებული, რომ მკვეთრად იზღუდება მოკავშირე რესპუბლიკების სამართალშემოქმედებითი საქმიანობის უფლება. ამასთან ერთად, საკავშირო სახელმწიფოს შეუძლია გამოსცეს კანონმდებლობის „საფუძვლები“, რომელიც განსაზღვრავს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის პრინციპებს, აწესებს მის ზოგად დებულებებს. რაც შეეხება მოკავშირე რესპუბლიკას, მის კომპეტენციაში შედის სისხლის სამართლის კოდექსის გამოცემა.

ერთი შეხედვით რჩება შთაბეჭდილება, თითქოს კომპეტენციათა ასეთი დანაწილება სავსებით მართებული იყოს. ამას განსაკუთრებით ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ მოკავშირე რესპუბლიკის კომპეტენციაში შედის კოდექსის გამოცემა. სინამდვილეში რესპუბლიკის ეს უფლებამოსილება ძალიან შეზღუდული და არსებითად დაკნინებულია. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ საქართველოს სსრ (აგრეთვე სხვა რესპუბლიკების) სისხლის სამართლის კოდექსს კრიტიკული თვალთ გადავხედავთ.

მინდა შევჩერდე კიდევ ერთ მეტად მტკივნეულ პრაქტიკულ საკითხზე — თქვა დასასრულს ო. გამყრელიძემ. წარსულის გამოცდილებიდან კარგად ვიცით, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის კოდექსების პროექტები, ვიდრე მათ უმაღლესი საბჭოს სესიაზე გაიტანდნენ დასამტკიცებლად, წინასწარ ჩაპქონდათ მოსკოვში, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შესათანხმებლად და მხოლოდ იქ მოწონების შემდეგ ხდებოდა მათი დაკანონება. როგორც ჩანს, ეს წესი სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსების პროექტებზეც ვრცელდება. რესპუბლიკის საკანონმდებლო საქმიანობის, მისი სუვერენიტეტის ასეთი უხეში შეზღუდვა აღარ უნდა განმეორდეს. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი, რომელიც ორიოდე წელიწადში ალბათ მომზადდება, უნდა დაისტამბოს და ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდეს. მაგრამ პროექტი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიდეს რესპუბლიკის გარეთ ვინმესთან ოფიციალური შეთანხმებისათვის. მართალია, პროექტი შეიძლება ნებისმიერ პიროვნებას ან დაწესებულებას გაეგზავნოს სარეცენზიოდ, მაგრამ მიღებულ

შენიშვნებს უნდა ჰქონდეს არა ოფიციალური, სავალდებულო, არამედ რჩევის ხასიათი. მოკავშირე რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანო ყოველმხრივ თავისუფლად უნდა საქმიანობდეს.

„როცა ფაქტები სხვას მეტყველებენ“ — ასე კატეგორიულად და პრინციპულად დაასათაურა თავისი გამოსვლა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა **ბესარიონ ზოიძემ**. მომხსენებელი ისეთ აქტუალურ საკითხს შეეხო, როგორცაა მოკავშირე რესპუბლიკის საკუთრების უფლება ბუნების რესურსებზე და ცხადია ქმედითი დაინტერესებაც სწორედ ამან განაპირობა.

საკუთრების უფლება ბუნების რესურსებზე — თქვა ბ. ზოიძემ — დღეს მეტად მწვავე და მტკივნეული საკითხია, რადგან იგი უპირველესად ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პრობლემებთანაა დაკავშირებული. აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ მართლაც რთული კაზუსის გადაწყვეტაში არსებითად განსხვავდება საკავშირო სახელმწიფოს პოზიცია მოკავშირე რესპუბლიკათა პოზიციისაგან. ერთი თუ ცენტრალიზმს ვერ ელევა, მეორე — დეცენტრალიზაციისათვის იბრძვის. ეს კი ცხადია, კიდევ უფრო ართულებს საქმეს. ზოგს შეიძლება მოეჩვენოს კიდევ და თქვას: აკი საკავშირო სახელმწიფოც დაადგა ამ დარგში დეცენტრალიზაციის გზასო, მაგრამ სასტიკად შეცდება. საკმარისია გავეცნოთ ბუნების რესურსებზე საკუთრების ისტორიას და ადვილად დავინახავთ, რომ ზევიდან შემოთავაზებული პროექტები ამდაგვარს არაფერს შეიცავენ. პირიქით, სსრ კავშირის არსებობის მანძილზე ყველაზე მეტად სწორედ დღეს იზღუდება მოკავშირე რესპუბლიკათა საკუთრების უფლება ბუნების რესურსებზე. დიახ, მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტის შეზღუდვად უნდა ჩაითვალოს ეროვნული პოლიტიკის დარგში სკკპ პლატფორმა, რომელიც ამასწინათ გამოქვეყნდა პრესაში — და სადაც ლაპარაკია ბუნების რესურსებზე საკუთრების უფლების სუბიექტების შესახებ. საკითხი აქ სრულიად ახლებურადაა დაყენებული. პლატფორმის თანახმად „მიწა, მისი წიაღი, ტყის, წყლის და სხვა ბუნებრივი რესურსები მოკავშირე რესპუბლიკისა და სსრ კავშირის საკუთრებაა“. საკავშირო-რესპუბლიკურ საკუთრებად ცხადდება ბუნების რესურსები საკუთრების შესახებ კანონის პროექტითაც. უცნაურია, რომ საკითხის ასე დაყენება და გადაჭრა მიაჩნიათ მოკავშირე რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის გაფართოებად, საკავშირო სახელმწიფოს მხრიდან მოკავშირე რესპუბლიკებისათვის დათმობად. აი რა თქვა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიმდინარე სესიაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. რიჟკოვმა. „იოლი არ იყო იმ პრობლემების გადაწყვეტა, თუ ვინ უნდა იყოს მიწის, წიაღის, ტყის, წყლისა და კონტინენტური შელფის ბუნებრივი სიმდიდრის საკუთრების სუბიექტი, მათი შენარჩუნება მხოლოდ და მხოლოდ სსრ კავშირის საკუთრებაში მხარდაჭერას ვერ პოვებდა მთელ რიგ მოკავშირე რესპუბლიკებში. მთელი ამ საკუთრების მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკებისათვის გადაცემა ფედერაციას არსებითად გამოაცლიდა ნორმალური ფუნქციონირების ეკონომიკურ საფუძველს, გააძნელებდა იმ ამოცანების შესრულებას, რომლებიც ორგანულად ახასიათებენ ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსს. ამ შემთხვევაში ჩვენ საკავშირო-რესპუბლიკური საკუთრების გზას დავადექით“.

როგორც ვხედავთ, საკითხი ისეა წარმოდგენილი, თითქოს ფედერაცია

უთმობს საკუთრების უფლებას მოკავშირე რესპუბლიკებს. მაგრამ რა უფლებით აკეთებს იგი ამას, როდესაც მოკავშირე რესპუბლიკებს არასოდეს არ დაუთმიათ იურიდიულად მისთვის საკუთრების უფლება. გამოდის, რომ საკავშირო სახელმწიფო საკუთრების უფლებას კი არ უთმობს მოკავშირე რესპუბლიკებს, არამედ პირიქით, ართმევს მათ საკავშირო-რესპუბლიკური საკუთრების გამოცხადებით. ეს იმას ნიშნავს, რომ საკუთრების უფლებას გვართმევენ და გვიმტკიცებენ კი, გაძლევეთ მას.

ასეთ დროს კიდევ უფრო მეტად უნდა დავუჭიროთ მხარი საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების კონცეფციის პროექტს, რომელიც შეიმუშავა საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ. მასში ნათქვამია: „რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მთელი ეროვნული სიმდიდრე — მიწა, წიაღისეული, შიგა და ტერიტორიული წყლები, ზღვის შეღვი, ტყე... მხოლოდ და მხოლოდ რესპუბლიკის საკუთრებაა და მხოლოდ ისაა მათი განმკარგულებელი“.

მომხსენებელმა მხარი დაუჭირა აგრეთვე საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის მთელ რიგ სხვა კონცეფციებს და დასასრულს თქვა; ბუნების რესურსებზე საკუთრების უფლების სუბიექტის საკითხი საგანგებოდ უნდა დაისვას როგორც რესპუბლიკური, ასევე საკავშირო საკანონმდებლო ორგანოების წინაშე, რათა გამოჩნდეს ისტორიული რეალობა და საბოლოოდ აეხადოს ფარდა რესპუბლიკათა უფლებებისადმი დამკვიდრებულ დამამცირებელ დამოკიდებულებას.

კონფერენციაზე საინტერესო და მეცნიერული თვალსაზრისით კვალიფიციური მოხსენებებით გამოვიდნენ აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **ალექსანდრე შუშანაშვილი**, ამავე ცენტრის წამყვანი მეცნიერ მუშაკი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი **ლავით ფურცელაძე**, უფროსი მეცნიერ თანამშრომლები, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატები **ლავით მელიქიშვილი**, **დიმიტრი ბარათაშვილი**, **რეჯი დეკანოზოვი** და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ცენტრის დირექტორი **გიორგი ყორჟოლიანი**.

კონფერენციის მთლიანი მასალები გამოქვეყნდება კრებულში, რომელსაც ქართულ და რუსულ ენებზე ამზადებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრი.

ანანი ახსენაშვილი

საპარტვილოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიმდინარე წლის 11 ოქტომბერს მიიღო დადგენილება „საპარტვილოს სსრ სახალხო მუშაკთა-ში სამართლებრივი მუშაობის სრულყოფისა და იურიდიული სახსარის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“, ამ დადგენილების სრული ტექსტი გამოქვეყნდა ჩვენი შუბნალის მე-9 ნომერში. საპარტვილოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სოციალისტური ორგანიზაციებისა და მოკალაქეთა სამართლებრივი მომსახურების განყოფილების უფროსის მოადგილეს, საპარტვილოს სსრ იურისტთა კავშირის პრაქტიკის ფივრს სპრტო კატრონიანს შეხვდა ჩვენი შუბნალის სპეციალური კორესპონდენტი გელა ბარქანიშვილი და ინტერვიუ სთხოვა აღნიშნული დადგენილების თაობაზე.

იურიდიული სამსახურის სპეციისკო აქოცანები

— ბატონო სერგო, რით არის გამოწვეული შემოადნისული დადგენილების მიღება?

— XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის რეზოლუციების თანახმად, სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მიჩნეულია ადგილობრივი საბჭოების, სამინისტროების, უწყებებისა და სამეურნეო ორგანიზაციების იურიდიული სამსახურების გაძლიერება და განმტკიცება. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მიმდინარე წლის იანვრიდან მატერიალურ წარმოებათა ყველა დარგის საწარმოები და გაერთიანებები სრულ სამეურნეო ანგარიშზე, თვირდაფინანსებასა და თვირთაზღაურებაზე გადავიდნენ, სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონის შესამისად, ერთიორად გაიზარდა მათი უფლებები. ამდენად ამ სამსახურების გაძლიერება მნიშვნელოვან ამოცანად გვევლინება.

პარტკონფერენციის მიერ დასახული ამოცანებიდან გამომდინარე, იუსტიციის სამინისტრომ სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის მეთოდური ხელმძღვანელობის განხორციელებისას ძირითადი ყურადღება და აქცენტი გადაიტანა აღნიშნული საკითხის შესწავლაზე, რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ რესპუბლიკის ბევრმა სამინისტრომ, სახელმწიფო კომიტეტმა და უწყებამ იურიდიული სამსახურის განმტკიცებისა და განვითარების ნაცვლად „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მართვის გენერალური სქემის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 27 მაისის დადგენილების მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, ცენტრალური აპარატის სტრუქტურის რეორგანიზაციისას მიიღეს გადაწყვეტილება მისი რაოდენობის შემცირების შესახებ. მაგალითად, იურისკონსულტთა საშტატო ერთეულები შეამცირეს რესპუბლიკის ფინანსთა, პურპროდუქტების, ჯანდაცვის, ადგილობრივი მრეწველობისა და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროებმა, სახაგრომრეწვემა, მომარაგების სახელმწიფო კომიტეტმა და სხვ. ანალოგიური ტენდენცია შეინიშნება ზოგიერთ საწარმოსა და გაერთიანებაშიც.

რაც სამეურნეო მექანიზმის რადიკალური გარდაქმნის პირობებში ყოვლად დაუშვებელია. უფრო მეტიც, პურპროდუქტების, სახალხო განათლების, კავშირგაბმულობის სამინისტროების, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, ტელერადიომაუწყებლობის, გამომცემლობის, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტებმა იურიდიული სამსახურები სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების შემადგენლობაში შეიყვანეს (საერთო განყოფილების, საქმეთა მმართველობის, კადრების განყოფილების და სხვ.), რითაც აღნიშნული სამსახური ფაქტობრივად გააუქმეს და ამით, ცხადია, ბევრად დაასუსტეს იურიდიული სამსახურის როლი და მნიშვნელობა. სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის, სასამართლო სტატისტიკის, საქსახარბიტრაჟის და სამართალდამცველი ორგანოების ბოლო სამი წლის მონაცემების ანალიზმა კი გვიჩვენა, რომ სამართლებრივი მუშაობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში, იმატა არამწარმოებლურმა ხარჯებმა, დებიტორულმა და კრედიტორულმა დავალიანებამ, რამაც თავის მხრივ, სამინისტროების, უწყებების, სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობაში სოციალისტური კანონიერების მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება გამოიწვია. ზუსტად ამ მიზეზებმა განაპირობეს ის, რომ შევიმუშავეთ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარუდგინეთ სათანადო მოხსენებითი ბარათი. საკითხი შეისწავლეს და მიიღეს კიდევ შემოაღნიშნული დადგენილება.

— კონკრეტულად რა მნიშვნელოვან ღონისძიებებს ითვალისწინებს დადგენილება?

— პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ მინისტრთა საბჭოს ამ საკითხებზე ადრეც ჰქონდა მიღებული არა ერთი დადგენილება, მაგრამ მართვის აღმინისტრირების პირობებში მათი უმრავლესობა არ „მუშაობდა“. ფიქრობთ, რომ ამას ბოლო მოეღება და მიღებული დადგენილება სამართლებრივი მუშაობის სრულყოფას ქმედითად შეუწყობს ხელს.

დადგენილების თანახმად, რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებს და სამეურნეო ორგანიზაციებს, პირველ რიგში, დავალებული აქვთ, რომ წლის დამლევამდე აღადგინონ თავიანთი აპარატებისა და სისტემების წარმოება-დაწესებულებათა იურიდიული სამსახურების მუშაკთა შემცირებული და გაუქმებული შტატები, მიიღონ გადამჭრელი ზომები ამ სამსახურების განსამტკიცებლად და გასაძლიერებლად, აგრეთვე იურიდიული სამსახურის, იურისკონსულტის შესახებ დებულების შესაბამისად უზრუნველყონ იურიდიული სამსახურის დამოუკიდებელ ერთეულებად გამოყოფა და ჩამოყალიბება.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ რესპუბლიკის გაერთიანებებში და ორგანიზაციებში, სახალხო მეურნეობის მრავალი დარგის საშუალო და წვრილ საწარმოებში და კოლმეურნეობებში საერთოდ არ არის ორგანიზებული იურიდიული მომსახურება, მინისტრთა საბჭომ მიზანშეწონილად ჩათვალა ერთი დარგის საშუალო და წვრილ საწარმოთა მომსახურებისათვის, მათ შორის შეთანხმების საფუძველზე, იურიდიული ჯგუფის, ბიუროს ან განყოფილების ორგანიზება ერთ-ერთ მათგანში. ჩვენი აზრით, არა მარტო დიდ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, არამედ ყველა საშუალო და წვრილ საწარმოს, ორგანიზაციასა და კოლმეურნეობას უნდა ჰყავდეს იურისკონსულტი. ამ რეკომენდაციის განხორციელება დადებით შედეგებს მოგვცემს სამეურნეო ურთიერთობების კანონიერების განმტკიცების საქმეში.

— გათვალისწინებულია თუ არა ამ დადგენილებით რაიმე სიახლე?



— დიახ, არის პრინციპული სიახლე, რომელსაც არა აქვს ანალოგი სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში. დადგენილებით რეკომენდირებულია, რომ სამინისტროების, უწყებების, ადგილობრივი საბჭოების და სამეურნეო ორგანიზაციების იურიდიული სამსახურების ხელმძღვანელებისა და იურისკონსულტების თანამდებობაზე დანიშვნა და დაკავებული თანამდებობიდან მათი განთავისუფლება მოხდეს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ან მის ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმების შემდეგ. ასეთი უფლების მინიჭება იუსტიციის სამინისტროსა და მის ადგილობრივ ორგანოებს უფრო რეალურ საშუალებას მისცემს სახალხო მეურნეობაში იურიდიული სამსახურების საკადრო პოლიტიკის გაუმჯობესებისა და კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებისათვის. უფრო მეტიც, იუსტიციის სამინისტროს ექნება საშუალება, რომ მომავალში არ დაუშვას იურიდიული სამსახურის შტატების რაოდენობის შემცირება და სახალხო მეურნეობაში იურიდიული სამსახურების დასუსტება.

— ადგილობრივი საბჭოების როლისა და პასუხისმგებლობის გაზრდის კვალობაზე დადგენილება ხომ არ ითვალისწინებს მათი იურიდიული სამსახურის გაძლიერებას?

— „სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი ამაღლებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 25 ივნისის დადგენილების მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები ჯერ კიდევ არ იღებენ სათანადო ზომებს იურიდიული სამსახურების შესაქმნელად.

რა თქმა უნდა, ადგილობრივი საბჭოების როლისა და პასუხისმგებლობის გაზრდასთან დაკავშირებით გაიზარდა მათი აღმასკომების იურიდიული სამსახურების როლიც. საიდუმლოებას როდი წარმოადგენს, რომ ბევრ რაისაბჭოს აღმასკომში საერთოდ არ არის შექმნილი იურიდიული სამსახური. ამჟამად, საქართველოში 20 რაისაბჭოს აღმასკომს არ ჰყავს იურისკონსულტი.

უმეტეს სახალხო დეპუტატთა რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასკომებში არ სრულდება „იმ თანამდებობათა ნომენკლატურის გაფართოების შესახებ, რომლებიც უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე სპეციალისტებს უნდა ეკავოთ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 15 თებერვლის დადგენილების მოთხოვნები აღმასკომების მდივნებისა და ზოგიერთი განყოფილების (საერთო, საორგანიზაციო-საინსტრუქტორო, საცხოვრებელი ფართის აღრიცხვისა და განაწილების, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი) გამგეების თანამდებობების უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე სპეციალისტებით დაკომპლექტების შესახებ. აღმასკომთა უმეტესობაში ეს მოთხოვნა იგნორირებულია. სწორედ ამიტომ დადგენილებით აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს დაევალოთ სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა აპარატის მუშაკთათვის დამტკიცებული ფონდის ფარგლებში შემოიღონ იურისკონსულტის თანამდებობები და განამტკიცონ მათი იურიდიული სამსახურები კვალიფიციური სპეციალისტებით. აგრეთვე, დაუყოვნებლივ შეასრულონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 15 თებერვლის დადგენილების მოთხოვნებიც.


— როგორც ცნობილია, სახალხო მეურნეობაში მომუშავე იურისტების ხელფასები მეტად დაბალია. ამ მიმართებით რაიმე სიახლე ხომ არ არის გათვალისწინებული?

— საწარმოებისა და გაერთიანებების იურიდიული სამსახურების მუშაკთა ხელფასების საკითხი რეგულირდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 17 სექტემბრის დადგენილებით — „სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგების მუშაკთა ხელფასის ორგანიზაციის სრულყოფის და ახალი სატარიფო განაკვეთებისა და თანამდებობრივი სარგოების შემოღების შესახებ“ რომლის თანახმადაც ხელფასების გარდა მალალკვალიფიციურ სპეციალისტებს, მათ შორის იურისკონსულტებსაც, შეიძლება დაენიშნოთ დანამატი 50 პროცენტის ოდენობით. მაგრამ პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ეს ნორმა, როგორც წესი, იურისკონსულტების მიმართ არ სრულდება. რაც შეეხება, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, სამინისტროებისა და უწყებების იურიდიული სამსახურის მუშაკების ხელფასებს, უნდა მოგახსენოთ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიმდინარე წლის 29 სექტემბერს მიიღო დადგენილება „სახელმწიფო მმართველობის ორგანოების აპარატის მუშაკთა შრომის ანაზღაურების სრულყოფის შესახებ“, რომელიც ხელფასების თითქმის ერთიორად გაზრდას ითვალისწინებს. იურისკონსულტების ხელფასები ზოგჯერ უკვე გაიზარდა, ხოლო რაც შეეხება სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა აპარატის იურისკონსულტებს, მათაც მალე მოემატებათ ხელფასები. იურიდიული სამსახურების, იურისკონსულტების მორალური და მატერიალური სტიმულირებისათვის ამ დადგენილებით რეკომენდაცია მიეცათ რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, ადგილობრივ საბჭოებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომ დაწერონ ანაზღაურებისათვის ცალკე დებულებით პრემირება, ოღონდ ისეთი მაჩვენებლების გათვალისწინებით, როგორც არის საწარმოს საქმიანობაში კანონიერების დაცვის მდგომარეობა, არამწარმოებლური ხარჯებისა და დებიტორული დავალიანებების შემცირება, საწარმოს ინტერესებისა და უფლებების სათანადო დაცვა და სხვ. ამასთან, საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე, ადმინისტრაციამ პროფკავშირთა კომიტეტთან შეთანხმებით, უნდა გაითვალისწინოს პრემირების სხვადასხვა ოდენობა და წესი.

— ცნობილია, რომ კანონიერების უზრუნველყოფა დამოკიდებულია არა მხოლოდ იურიდიულ სამსახურებზე, არამედ, პირველ რიგში, სამეურნეო ხელმძღვანელებზე. ითვალისწინებს თუ არა დადგენილება მათი სამართლებრივი ცოდნის დონის ამაღლება?

— რა თქმა უნდა, რაც უნდა ძლიერი იყოს იურიდიული სამსახური, თუ ხელმძღვანელის სამართლებრივი კულტურის დონე დაბალია, ძნელი წარმოსადგენია, რომ იმ სამეურნეო ორგანიზაციაში ან უწყებაში სამართლებრივი მუშაობის მდგომარეობა მოგვარებული იყოს. ახალ სამეურნეო პირობებში ასეთი ვითარება დაუშვებელია, მით უმეტეს, რომ ახლა უმეტეს შემთხვევაში ხელმძღვანელებს მშრომელები ირჩევენ. სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებისათვის, როგორც ეს მე-19 პარტკონფერენციის რეზოლუციაშია ნათქვამი, აუცილებელია საყოველთაო იურიდიული სწავლება.

აქედან გამომდინარე, მინისტრთა საბჭო დადგენილებით ავალებს საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს მიმდინარე წლის დასრულებამდე შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რათა უმაღლეს და საშუალო



სპეციალურ სასწავლებლებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შეტი ყურადღება დაეთმოს სტუდენტთა და მოსწავლეთა სამართლებრივ მომზადებას. მათვე უნდა უზრუნველყონ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან სამართლისა და სამართლებრივი აღზრდის საუწყებთაშორისო კათედრის ორგანიზაცია, ხოლო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტსა და სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკურ დარგთაშორის ინსტიტუტს დაევალოს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სამეურნეო ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა სამართლებრივ მომზადებას. ასევე საჭიროა, რომ სამეურნეო ხელმძღვანელთა ატესტაციისას სათანადო ყურადღება მიექცეს მათი სამართლებრივი ცოდნის დონეს.

— **გმადლობთ საქმიანი საუბრისათვის.**

თეორიის საკითხები

გაგვიჩვენეთ თეორიის გოგონასი ასაკში სისხლის სამართლის მახასიათებელი

გურამ ნაჭყვიაძე

სისხლის სამართლის მეცნიერება, მიუხედავად იმისა, რომ ის ბუნებისმეტყველების ზოგიერთი დარგის მონაცემებითაც სარგებლობს (მაგალითად ბუნების სისხლისსამართლებრივი დაცვის პრობლემა), არსებითად სოციალური შემეცნების კანონზომიერებას ექვემდებარება. სოციალურ შემეცნებას კი საქმე აქვს არა უბრალოდ აბსტრაქტულ სოციალურ მოვლენებთან, არამედ სოციალურ სუბიექტებთან და ამ სუბიექტებით აზრდებულ სოციალურ ობიექტებთან. სოციალური სპეციფიკა განსაზღვრავს იმ ობიექტურ კანონზომიერებებსაც, რომლებიც სუბიექტის მოქმედებას უკავშირდებიან. სოციალური ობიექტში მოქცეული ბუნებრივი ობიექტებიც კი ღებულობენ ისეთ შინაარსს, რომელიც ადამიანის მიზან-საშუალებრივ მიმართებებში გვხვდება. ამიტომაც დაისვა საკითხი სოციალური შემეცნების სპეციფიკის შესახებ. ცხადია, ეს საკითხი შემეცნების სპეციფიკური მეთოდის საკითხს დაუკავშირდა. აღმოჩნდა რომ ბუნებისმეტყველების ე. წ. ახსნითი შემეცნება, რომელიც მოვლენათა

კაუზალური ურთიერთგამომყვამდობის სპეციფიკითაა განპირობებული, სოციალური შემეცნებისათვის ადექვატური ვერ იქნება. ცხადია, უმიზეზო არც სოციალური მოვლენებია, მაგრამ სოციალურ მოვლენებს ობიექტურ კაუზალურ კავშირურთიერთობათა გარდა ახასიათებთ მიზან-საშუალებრივი მიმართებანი, რომელთა წმინდა კაუზალური ახსნა შეუძლებელია. ამ მიზან-საშუალებრივ მიმართებებს უეჭველად მივყევართ სუბიექტის ცნებად, ვინაიდან მიზანს მხოლოდ სუბიექტი ისახავს და ირჩევს კიდევ მისი რეალიზაციის საშუალებებს.

სოციალური სუბიექტების მოღვაწეობა, სოციუმის ორბიტში მოქცეული ობიექტებისა და ინსტიტუტების ფუნქციონირება, შემეცნების სპეციფიკურ ხერხს მოითხოვს, ვინაიდან სოციალური შემეცნება არსებითად არის საზრისის შემეცნება, სოციალური მოვლენებისა და ობიექტების დანიშნულების შემეცნება¹.

სოციალური შემეცნება შემეცნების უნივერსალური მეთოდებისაგან მოწყვეტილი არ არის, მაგრამ სადღეისოდ სოციალური შემეცნების ერთ-ერთ ეფექტურ მეთოდად ე. წ. გაგების მეთოდი ითვლება. გაგებითი შემეცნება სოციალურ მოვლენათა საზრისულობის ფაქტითაა პირობადებული. მიჩნეულია, რომ „პრობლემის გადაჭრის ბუნებისმეტყველური „ახსნის“ საპირისპირო გზაა გაგება (ხაზგასმა ავტორისაა — გ. ნ.), შემეცნების ის თავისებური პრინციპი და წესი, რომელიც მოვლენას, შესამეცნებელს იმეცნებს თვითონ მისგან ამოსვლით, მოვლენის საზრისის თვითონ მოვლენაში წვდომით“².

ამრიგად, გაგებითი შემეცნების საგანია საზრისი. ამიტომ გაგების მეთოდი სოციალური შემეცნების სპეციფიკითაა მოთხოვნილი, ვინაიდან საზრისულობა მხოლოდ სოციალურ მოვლენებს ახასიათებთ. ბუნებისმეტყველების ობიექტებში საზრისის დაშვება თავის წინაპირობად ღმერთის დაშვებას მოითხოვს. მიუხედავად ამისა, გაგების მეთოდის გამოყენების ფარგლები მარქსისტულ ფილოსოფიაში დღემდე სადავოა. არიან ფილოსოფოსები, რომლებიც გაგებით შემეცნებას ბუნებისმეტყველებაზეც ავრცელებენ. მათი აზრით, ბუნებისმეტყველებისა და სოციალურ მეცნიერებათა ბურჟუაზიული დაპირისპირება დაუშვებელია, ამიტომ საჭიროა მათი ერთიანობის დასაბუთება. ამ თვალსაზრისით ფიქრობენ, რომ გაგების მეთოდი ბუნებისმეტყველებაშიც გამოიყენება და მაშასადამე, გაგება ისევე არ არის სპეციფიკური სოციალური შემეცნებისათვის, როგორც ახსნითი შემეცნება — ბუნებისმეტყველური შემეცნებისათვის. ამის მაგალითად ზოგიერთ ფილოსოფოსს ფიზიკის მეცნიერება მოაქვს. კერძოდ, გაგების მეთოდის გარშემო სპეციალურ დისკუსიაზე ა. რანიტოვმა განაცხადა, რომ გაგების მეთოდი ბუნებისმეტყველებასაც ახასიათებს. ავტორის აზრით, „არ შეიძლება ნიუტონის მოდელის ახსნა, თუ არ გვესმის სივრცე, ნაწილაკი (სხეული), მოძრაობა, მიზიდულობა და ა. შ.“³.

ჯერ ერთი, ნიუტონის თეორია ადამიანური მოღვაწეობის შედეგია და ამ პოზიციიდან მისი გაგება შესაძლებელია, მაგრამ ეს მხოლოდ ფსიქოლოგიურ

¹ О. Джиоев, Материалистическое понимание истории и буржуазная философия, Тбилиси, 1974, с. 84.

² გ. ცინცაძე, გაგების მეთოდი ფილოსოფიაში და პიროვნების პრობლემა, „მეცნიერება“, თბ., 1975, გვ. 10.

³ Понимание как философско-методологическая проблема. (Материалы «Круглого стола», часть первая). «Вопросы философии», 1986, № 7.

დონეზე განხორციელებული გაგება იქნება. მეორეც, მთავარი ის არის, რომ გაგებითი შემეცნების საგანია საზრისი, ხოლო ბუნებისმეტყველების შემეცნებაზე გაგებითი შემეცნების გავრცელება ბუნების ობიექტებში საზრისულობის დაშვებას გულისხმობს. მართლაც, აქვთ თუ არა რაიმე საზრისი, მაგალითად, ფიზიკის, როგორც მეცნიერების ობიექტებს?

ხსენებულ დისკუსიაზე ვ. პორუშმა განაცხადა: „გაგების ობიექტი ფლობს საზრისის გამგებამდე და მისგან დამოუკიდებლად. ასეთი ობიექტი პრინციპში შეიძლება იყოს ყოველი ფენომენი ადამიანური შემეცნების უნივერსუმიდან თვით ამ უნივერსუმის ჩათვლითაც კი“⁴. გამოდის, რომ საზრისი ადამიანის გარეშეც და მისგან დამოუკიდებლად არსებობს. მაგრამ ეს მტკიცება, რბილად რომ ვთქვათ, მატერიალისტური არ არის: რამ ჩადო საზრისი უნივერსუმში ადამიანამდე და მისგან დამოუკიდებლად? ცხადია, მარქსისტული მიმართულების ფილოსოფოსისათვის ამგვარი კითხვის დასმა უხერხულია, მაგრამ ეს კითხვა ავტორის მსჯელობიდან ლოგიკურად გამომდინარეობს და ჩვენც იძულებული ვართ დავსვათ იგი. მით უმეტეს, ხსენებულ დისკუსიაზე ვ. შვირიევმა გარკვევით მიუთითა, რომ ბუნება რაიმე საზრისის ან მნიშვნელობის მატარებელი თავისთავად არ არის⁵. თუ ეს ასეა, მაშინ რანაირად შეიძლება გაგებითი შემეცნება ბუნებისმეტყველურ შემეცნებაზეც გავრცელდეს? თუ გაგებითი შემეცნება საზრისის შემეცნებაა, მაშინ ბუნებისმეტყველური შემეცნება გაგებითი შემეცნება ვერ იქნება, ან გაგების მეთოდი საზრისის შემეცნება არ არის და მაშინ ის სოციალური შემეცნების მეთოდი ვერ იქნება.

ამრიგად, გაგებითი შემეცნება სოციალური შემეცნების სპეციფიკითაა მოთხოვნილი. ამიტომ მისი მექანიკური გავრცელება ბუნებისმეტყველურ შემეცნებაზეც არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. ბუნებისმეტყველური და სოციალური შემეცნების ერთიანობისათვის არსებობს სხვა უნივერსალური მეთოდები, რომელზედაც გაგების მეთოდს არ შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია. მაგრამ თუ იქიდან ამოვალთ, რომ ყოველი ერთიანობა დაპირისპირებულთა ერთიანობაა, მაშინ ბუნებისმეტყველური შემეცნებისაგან სოციალური შემეცნების პრინციპული განსხვავება დავას არ უნდა იწვევდეს.

ამ ვითარებაზე ხაზგასმით გვკარნახობს ის ფაქტი, რომ სამართალი საზრისულობით ხასიათდება. ამიტომ მისი მხოლოდ კაუზალურ-სოციოლოგიური ანალიზი საკმარისი არ არის. საჭიროა სამართლის საზრისის, მისი დანიშნულების გაგებითი შემეცნებაც. უფრო მეტიც, სამართლებრივ ცხოვრებაში არიან სუბიექტები, რომელთა მოქმედება სრულიად გარკვეული საზრისულობით ხასიათდება. იგივე შეიძლება ითქვას სამართლებრივ ცნებებზე, კატეგორიებზე, ინსტიტუტებზე, სამართალდაცვით ორგანოებზე. ამდენად, გაგების მეთოდი სამართლის მეცნიერებაშიც ფრიად ეფექტური იქნებოდა. სამწუხაროდ, საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გაგების მეთოდი ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის გამოყენებული. მით უფრო სდუმან ამ საკითხზე სისხლის სამართლის საბჭოთა მეცნიერებაში.

იმისათვის, რომ მოკლედ მაინც ვაჩვენოთ გაგებითი შემეცნების ეფექტურობა იურიდიულ მეცნიერებაში, შევეხოთ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის პრობლემას, რომელიც სისხლის სამართლის საბჭოთა მეცნიერებაში დღემდე სადავოა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მხედველობაში გვგე-

⁴ იქვე, 33-67.

⁵ «Вопросы философии», 1986, № 8, с. 53.

ნება ყველაზე უფრო გავრცელებული შეხედულება, რომლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა დანაშაულის ჩადენის მომენტიდანვე წარმოიშობა. დანაშაული არის იურიდიული ფაქტი, რომლის საფუძველზე წარმოიშობა დანაშაულის ჩამდენი პირის მოვალეობა პასუხი აგოს ჩადენილი დანაშაულისათვის და სახელმწიფოს უფლება დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ გამოიყენოს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული სასჯელი⁶. არის ცდები იმისაც, რომ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა უფრო რთული სტრუქტურით წარმოსახონ. სახელდობრ, ამტკიცებენ, რომ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები ორმხრივი უფლებამოვალეობით ხასიათდებიან: დანაშაულის ჩამდენი პირი არა მარტო ვალდებულია პასუხი აგოს ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ მას უფლება აქვს მოითხოვოს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ზუსტი კვალიფიკაცია და მხოლოდ კანონით გათვალისწინებული სასჯელის გამოყენება, ხოლო სახელმწიფო ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა⁷.

პირველი კითხვა, რაც აქ გაგებითი შემეცნების პოზიციიდან უნდა დაისვას, შემდეგში მდგომარეობს: არის თუ არა დანაშაულის ჩადენის ფაქტიდანვე წარმოშობილი ურთიერთობა იურიდიული ურთიერთობა? ერთი შეხედვით, ამგვარი კითხვა უცნაური ჩანს, ვინაიდან სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა, თუ ის საერთოდ არსებობს, არ შეიძლება იურიდიული ურთიერთობის მომენტი არ იყოს. საქმე ის არის, რომ „იურიდიული“ — ეს სრულიად გარკვეული მთლიანობითი ფენომენია, ხოლო სისხლის სამართალი, როგორც სამართლის ერთ-ერთი დარგი, „იურიდიულის“ ერთ-ერთ მომენტს წარმოადგენს, მაშასადამე, აქ საქმე ეხება მთელისა და მომენტის დიალექტიკას. ნიშანდობლივია, რომ გაგებითი შემეცნება უფრო ეფექტურად მთელისა და მომენტის დიალექტიკის შემეცნებაში ვლინდება. გაგების მეთოდის გარშემო ხსენებულ დისკუსიაზე ა. იაკოვლევმა აღნიშნა: „...იმისათვის, რომ გავიგოთ ნაწილი, აუცილებელია ვიცოდეთ მთელი, მაგრამ მთელი გაუგებარია, თუ გაუგებარია ნაწილები“⁸. მაგალითად, არქეოლოგიური ნაპოვნი არის რომელიღაც ისტორიული ეპოქის, როგორც მთლიანის მომენტი და ის ამ მთლიანობიდან გაიგება, და პირიქით, თვით ამ ნაპოვნის გაგებიდანაც ზდება მთლიანის გაგება⁹.

ანალოგიურად უნდა მოვიქცეთ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის შესახებ ხსენებული თეორიული კონცეფციის შემოწმების დროსაც. სახელდობრ, „იურიდიული“ — ეს არის სრულიად გარკვეული მთლიანობითი ფენომენი, რომელიც „ფაქტობრივისაგან“ განსხვავდება. ცხადია, „იურიდიული“ არ შეიძლება „ფაქტობრივისაგან“ მოეწყვიტოს, მაგრამ მათი ერთმანეთზე დაყვანაც დაუშვებელია. ამ ლოგიკით კი ცხადი უნდა იყოს, რომ იურიდიული ურთიერთობა ფაქტობრივი ურთიერთობისაგან მოწყვეტილი არ არის, მაგრამ იურიდიული ურთიერთობის დაყვანა ფაქტობრივ ურთიერთობამდე იუ-

⁶ А. А. Пионтковский, Правоотношение в уголовном праве, «Правоведение», 1962, № 2; Курс советского уголовного права, т. III, М., 1970, с. 9; Курс советского уголовного права, т. I, ЛГУ, 1968, с. 9. Советское уголовное право, МГУ, 1981, с. 4.

⁷ Советское уголовное право, Общая часть, МГУ, 1981, с. 4. Советское уголовное право, Общая часть, М., 1977, с. 6.

⁸ იხ., დასახ., დისკუსიის მასალები, 1986, გვ. 51.

⁹ ამის შესახებ: გ. ნოღია, გაგების მეთოდის საზღვრები ფილოსოფიურ ჰერმენევტიკაში. „მაცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1988, № 2, გვ. 5.

რდიული ურთიერთობის უარყოფა იქნებოდა, რაც, თავის მხრივ, იურიდიულ მეცნიერებაში სოციოლოგიზმს გააბატონებდა.

ყოველივე ამის გამო აზრი აქვს კითხვას: არის თუ არა დანაშაულის ჩადენის მომენტშივე წარმოშობილი ურთიერთობა იურიდიული ურთიერთობა? თუ მკაცრი იურიდიული თვალსაზრისით ვიმსჯელებთ, მაშინ სისხლის-სამართლებრივი ურთიერთობა დანაშაულის ჩადენის მომენტიდანვე შეუძლებელია. სრულიად პირიქით, არაბრალეულობის პრეზუმფციის თანახმად (სსრ კავშირის კონსტიტუციის 160-ე მუხლი), დანაშაულის ჩამდენი პირი ვალდებულია პასუხი აგოს არა დანაშაულის ჩადენის, არამედ ამ პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან. უფრო მეტიც, დანაშაულის სუბიექტს სრული უფლება აქვს მიაჩნდეს თავი არაბრალეულად იქამდე, სანამ არ დამტკიცდება საწინააღმდეგო, ხოლო სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას მოქალაქის ეს კონსტიტუციური უფლება. მაშასადამე, იურიდიულად სახელმწიფოს არა აქვს უფლება დანაშაულის სუბიექტს იმთავითვე, ე. ი. დანაშაულის ჩადენის მომენტიდანვე „დამნაშავე“ უწოდოს და დააკისროს სისხლისსამართლებრივი სასჯელი, ხოლო დანაშაულის სუბიექტი ვალდებული არ არის პასუხი აგოს იქამდე, სანამ მისი ბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში დამტკიცებული არ იქნება კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით.

თუ მკაცრი თვალსაზრისით ვიმსჯელებთ, მაშინ არც ის უნდა დაგვაგიჟყდეს, რომ დანაშაულის ჩამდენი პირის სამართლებრივ მდგომარეობას ადგენს არა სისხლის სამართალი, არამედ სისხლის სამართლის პროცესი. ეს სამართლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის საქმის მოძრაობის მიხედვით გამოიხატება ცნებებში: „ექვმიტანილი“, „ბრალდებული“, „განსასჯელი“, „მსჯავრდებული“. ისმის კითხვა: სად არის აქ „დამნაშავე“ როგორც დანაშაულის ჩამდენი პირის სამართლებრივი მდგომარეობის გამოხატულება? ირკვევა, რომ „დამნაშავე“ იურიდიული ცნება არ არის. „დამნაშავე“ დანაშაულის ჩადენის ფაქტიდანაა ნაწარმოები, ვინაიდან ფაქტობრივი თვალსაზრისით „დანაშაულს“ „დამნაშავე“ შეესაბამება. იურიდიული თვალსაზრისით კი „დამნაშავე“ არც არსებობს — ის ხომ იურიდიული ცნება არ არის!

აქედან გამომდინარეობს ერთმნიშვნელოვანი დასკვნა, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტშივე წარმოშობილი ურთიერთობა **იურიდიულად უსაზრისოა და გაგებითი შემეცნებისათვის — მიუწვდომელი**. მაშასადამე, დანაშაულის მომენტშივე წარმოშობილი ურთიერთობა, თუ ის საერთოდ შეიძლება იყოს რაიმე ურთიერთობა, **იურიდიული ურთიერთობის მომენტად ვერ ჩაითვლება**, ვინაიდან ეს ურთიერთობა იურიდიული კრიტერიუმებით არ იზომება. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაზე, თუ ამ საკითხზე გავრცელებულ მოსაზრებას დავუჭერებთ, არაბრალეულობის პრეზუმფციის მოთხოვნა არ ვრცელდება. ურთიერთობა, რომელიც რაიმე იურიდიული კრიტერიუმებით არ იზომება, იურიდიულ ურთიერთობად ვერ ჩაითვლება. მაგრამ მაშინ დანაშაულის ჩადენის მომენტშივე წარმოშობილი ურთიერთობა შეიძლება იყოს მხოლოდ **ფაქტობრივი ურთიერთობა**.

შემთხვევითი არ არის, რომ ამ საკითხზე საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გასაოცარ არათანმიმდევრობას იჩენენ. შევხვით მხოლოდ ორ ავტორს. ისეთი გამოჩენილი მეცნიერი, როგორც მ. სტროგოვიჩი იყო, ამ საკითხში წინააღმდეგობრივ პოზიციასე დგას. ავტორი ამტკიცებს, რომ სისხლისსამართ-

ლებრივი ურთიერთობა დანაშაულის ჩადენის მომენტივე წარმოიშობა. მისი აზრით, სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობაში ფიგურირებს ბრალდებული, რომლის ბრალეულობა ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული, ხოლო სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაში ფიგურირებს „დამნაშავე, ე. ი. პირი, რომლის ბრალეულობა დადგენილია, აღიარებულია კანონიერი წესით“¹⁰.

თუ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტია პირი, რომლის ბრალეულობა დადგენილია კანონიერი წესით, მაშინ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა არა დანაშაულის ჩადენის მომენტიდან, არამედ გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან. მაგრამ მ. სტროგოვიჩს ასე არ უმსჯელია. „თუ იმას, ვინც ბრალდებულია დანაშაულის ჩადენაში, — წერდა ავტორი, — საქმეზე წარმოების დროს ზოგჯერ უკვე განიხილავენ დამნაშავედ, — ეს ნიშნავს სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობის შეცვლას სისხლისსამართლებრივი ურთიერთობით და ეს იწვევს ცალმხრივ, საბრალდებო, წინასწარაკვიატებულ მიდგომას ბრალდებულისადმი, რაც საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში სრულიად დაუშვებელია და ეწინააღმდეგება ბრალდებულის უფლებას დაცვაზე და არაბრალეულობის პრეზუმფციას“¹¹.

გამოდის, რომ სისხლის სამართლის პროცესში დანაშაულის სუბიექტის იმთავითვე „დამნაშავედ“ მიჩნევა დაუშვებელია, ხოლო სისხლის სამართალში ეს საგნებით დასაშვებია. მაშასადამე, სისხლის სამართალში მოქმედებს არა არაბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპი, არამედ, პირიქით, ბრალეულობის პრეზუმფცია, რაკი დანაშაულის სუბიექტი დანაშაულის ჩადენის მომენტიდანვე ხდება ვალდებული პასუხი აგოს ჩადენილი დანაშაულისათვის. მაგრამ მაშინ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ერთიანობა შეუძლებელია: თუ სისხლის სამართალში მოქმედებს ბრალეულობის პრეზუმფცია, ხოლო სისხლის სამართლის პროცესში — პირიქით, არაბრალეულობის პრინციპი, მაშინ რანაირად შეიძლება მათ შორის ფორმა-შინაარსის დამოკიდებულება?

ამრიგად, თუ სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაზე არაბრალეულობის პრეზუმფციის იურიდიული კრიტერიუმი არ ვრცელდება, მაშინ ის იურიდიული ურთიერთობა ვერ იქნება. ეს დასტურდება ლიტერატურის ანალიზითაც. მაგალითად, ნ. ოგურცოვმა სისხლისსამართლებრივ ურთიერთობას სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა. მისი აზრით, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა დანაშაულის ჩადენის მომენტიდან წარმოიშობა. „სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, — წერს ის, — არის არა უბრალოდ ექვივალენტი დანაშაულის ჩადენაში, არა განსასჯელი და მსჯავრდებულიც კი, არამედ პირი, რომელმაც დანაშაული ნამდვილად (ნაზგასმა ავტორისაა. გ. ნ.) ჩადინა და რომლის ბრალეულობა უდავოდაა დადგენილი, აღიარებულია და დამტკიცებულია კანონიერ ძალაში შესული განაჩენით — დამნაშავე“¹².

თუ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა დანაშაულის ჩადენის მომენტიდანვე წარმოიშობა, მაშინ რანაირადაა ამ ურთიერთობის სუბიექტი ის

¹⁰ М. С. Строгович, Уголовно-процессуальное право в системе советского права; «Советское государство и право», 1957, № 4, 103.

¹¹ იქვე, 83-105.

¹² Н. А. Огурцов, Правоотношение и ответственность в советском уголовном праве. Рязань, 1976, с. 83.

პირი, რომლის მიმართ უკვე არსებობს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი? დანაშაულის ჩადენის მომენტიდან გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე საკმაოდ მნიშვნელოვანი ინტერვალია და მათი ერთდროულობა შეუძლებელია. ცხადია, აქ ავტორი წინააღმდეგობაში აღმოჩნდა. მაგრამ უფრო საინტერესო ის არის, რომ ავტორი თვითონვე ხედავს ამ წინააღმდეგობას და ცდილობს მის აღმოფხვრას. მისი აზრით, დამნაშავე, რომლის ბრალეულობა კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენითაა დადგენილი, სისხლისსამართლებრივ ურთიერთობას ეძლევა ფაქტობრივი საზოგადოებრივი ურთიერთობის მიერ დანაშაულის ჩადენის მომენტიდან და „შედის სამართლებრივ ურთიერთობაში, როგორც კი დანაშაული იქნება ჩადენილი“¹³.

ავტორი, როგორც ვხედავთ, ამოდ ცდილობს მოარიგოს ერთმანეთის გამომრიცხავი დებულებანი. ჯერ ერთი, ავტორი ლაპარაკობს დამნაშავეზე, რომლის ბრალეულობა დადგენილია კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით; ეს კი დანაშაულის ჩადენის მომენტშივე შეუძლებელია. მეორეც, ავტორი, ლაპარაკობს ფაქტობრივ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე, რომელიც დანაშაულის სუბიექტს სისხლისსამართლებრივ ურთიერთობის სუბიექტად აქცევს დანაშაულის ჩადენის მომენტიდან. მაგრამ რაკი იურიდიული თვალსაზრისით ეს შეუძლებელია, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა არის სწორედ ფაქტობრივი ურთიერთობა და არა იურიდიული ურთიერთობა. ავტორის აზრით, ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს დამნაშავის ფაქტობრივი, „რეალური გამოვლინება“ და მისი დადგენა მართლმსაჯულების ორგანოების მიერ. „პირველ შემთხვევაში, — ასკენის ავტორი, — ლაპარაკია მატერიალურ სისხლისსამართლებრივ ურთიერთობებზე, ხოლო მეორე შემთხვევაში — სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობებზე“¹⁴.

მაშასადამე, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა დანაშაულის ჩადენის ფაქტიდანვე წარმოიშობა და მაშინ ამ ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, რომელმაც დანაშაული ნამდვილად ჩაიდინა და არა ის პირი, რომლის ბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში დადგენილია კანონიერი წესით, ვინაიდან ეს უკანასკნელი სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობის საზღვრებში ხორციელდება. ამის გამო სრული უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა ფაქტობრივი ურთიერთობაა — ის დამნაშავის რეალური გამოვლინების მომენტიდან წარმოიშობა. თუ დანაშაულის ჩადენის მომენტიდანვე წარმოიშობილი ურთიერთობა ფაქტობრივია და არაა იურიდიული ხასიათის, მაშინ როგორაა იგი „სისხლისსამართლებრივი“ ურთიერთობა?

შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ თვალსაზრისი, რომელიც სისხლისსამართლებრივ ურთიერთობას დანაშაულის ჩადენის ფაქტიდანვე აფუძნებს, იურიდიულ თვალსაზრისად ვერ ჩაითვლება. ამგვარი ურთიერთობა იურიდიულად შეუძლებელია. ამიტომ, ეს თვალსაზრისი შეიძლება გაუჩნდეს ადამიანს, რომელიც იურისტი არ არის და დგას „ფაქტის“ მეცნიერების თვალსაზრისზე. მართლაც, „დამნაშავე“ დანაშაულის ჩადენის ფაქტიდან არის ნაწარმოები და გამოხატავს ფაქტობრივ თვალსაზრისს დანაშაულის ჩამდენი პირის შესახებ. მაშასადამე, თვალსაზრისი, რომლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი

¹³ იქვე, გვ. 87.

¹⁴ ნ. თურცოვის დასახ. ნაშრომი, გვ. 88.

ურთიერთობა დანაშაულის ჩადენის მომენტიდანვე წარმოიშობა, ფაქტიურად თვალსაზრისია. ამიტომ ეს თეორია სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის შესახებ სისხლის სამართლის მეცნიერების შემადგენელ ნაწილად მხოლოდ მაშინ ჩაითვლება, თუ ეს მეცნიერება იურიდიული მეცნიერება არ არის. თუ ვიტყვი, რომ სისხლის სამართლის მეცნიერება ერთ-ერთი იურიდიული მეცნიერებაა, მაშინ სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის შესახებ აქ გაკრიტიკებული თეორია სისხლის სამართლის მეცნიერების შემადგენელი ნაწილი ვერ იქნება.

ამრიგად, ურთიერთობა, რომელიც თითქოს დანაშაულის ჩადენის მომენტიდანვე წარმოიშობა, იურიდიულად უსაზრისოა. დანაშაულის ჩადენის ფაქტი სამართლებრივ შედეგებს მხოლოდ გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ წარმოშობს. ამდენად, სისხლის სამართლის, როგორც სამართლის სპეციფიკური დარგის საზრისი, ამ პოზიციიდან საგნებით გაუგებარია, ვინაიდან დანაშაულის ჩადენის ფაქტი, თავისთავად, არავითარ ურთიერთობას არ წარმოშობს: დანაშაულის ჩადენის მომენტიდან ფუნქციონალურად უნდა წარმოშვას სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობა, მაგრამ ამ ურთიერთობის წარმოსაშობად საჭიროა სხვა იურიდიული ფაქტიც. დანაშაულის ფაქტი კი დადგენას მოითხოვს.

აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ დანაშაულის ჩადენის ფაქტიდანვე სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის დაფუძნება სრულიად არაიურიდიული პოზიციაა. ამ ლოგიკით კი უქმდება სისხლის სამართალიც და სისხლის სამართლის მეცნიერებაც, ვინაიდან არაიურიდიული პოზიციიდან ამ იურიდიულ მოვლენათა გამართლება შეუძლებელია. მართლაც, სად არის აქ ლოგიკა, როდესაც, ერთის მხრივ, სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაზე ვლაპარაკობთ, ხოლო, მეორის მხრივ, ეს ურთიერთობა სისხლისსამართლებრივი არ არის, ფაქტობრივია, არაიურიდიულია? ცხადია, აქ საქმე მხოლოდ წმინდა ფორმალურ ლოგიკურ წინააღმდეგობას როდი ეხება. უფრო სავალალო ის არის, რომ ხსენებული კონცეფცია აუქმებს „იურიდიულის“ სპეციფიკურ საზრისს და დგება წმინდა სოციოლოგიურ თვალსაზრისზე. ამგვარი პოზიცია კი აშკარა სოციოლოგიზმია, რომლის ნიადაგზე სამართლებრივი მოვლენების სპეციფიკური საზრისის დადგენა შეუძლებელია.

ცხადია, სამართლებრივ მოვლენებს კაუზალურ-სოციოლოგიური მიდგომაც სჭირდებათ, მაგრამ მხოლოდ ამ სამართლებრივი მოვლენების საზრისის გათვალისწინებით. სამართლებრივი მოვლენების საზრისის წვდომა კი ამ მოვლენებიდან ამოსვლით ხდება შესაძლებელი. სამართლის მეცნიერებაში გაგებითი შემეცნების სპეციფიკა სწორედ ამაში მდგომარეობს. მაგრამ იქიდან, რომ დანაშაულის ჩადენის ფაქტიდანვე სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა იურიდიულად შეუძლებელია, ჯერ კიდევ არ გამომდინარეობს დასკვნა: სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან წარმოიშობა, თუმცა იურიდიულად ეს უფრო გამართლებული ჩანს. სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის პოზიტიური დაფუძნებისათვის „იურიდიულის“ ზოგადი კრიტერიუმი აუცილებელია, მაგრამ საკმარისი არ არის, ვინაიდან ასევე აუცილებელია თავად სისხლის სამართლის, როგორც „იურიდიულის“ სპეციფიკური მომენტის, საზრისის დადგენაც. ეს ამოცანა კი ცალკე და ვრცელ მსჯელობას მოითხოვს. წინამდებარე ნაშრომში მხოლოდ იმის თქმა გვინდოდა, რომ გაგებითი შემეცნება ეფექტურია სისხლის სამართლის მეცნიერებაშიც: რამდენი დავა და აურზაური ამტყდარა



გამოტანილია განაჩენი

დამთავრდა 82 წლის ვილჰელმ ვაგნერის სასამართლო პროცესი, რომელიც შვიდ თვეს მიმდინარეობდა ნიურნბერგში.

ბრალად ედებოდა ის, რომ მან, ყოფილმა ნაცისტური პოლიციის ოფიცერმა მრავალჯერ მიიღო მონაწილეობა პოლონეთში ებრაელთა განადგურების ოპერაციებში: 1942 წლის აგვისტოში დახვრიტა ორი მამაკაცი და ერთი ქალი. ამის თაობაზე არის მოწმეთა ჩვენებები. ვაგნერს მიესაჯა სამუდამო პატიმრობა, მაგრამ სასამართლომ დაადგინა, რომ ვიდრე დამნაშავეს ციხეში ჩასვამენ, ჩაუტარონ მას სამედიცინო შემოწმება.

□ □ □

უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება

ბანდის პროვინცია კვებეკის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც კომერციული ფირმებისა და სარეკლამო განცხადებებისათვის აკრძალულია სხვა ენების გამოყენება, გადა ფრანგულია.

ამის თაობაზე კვებეკის პრემიერის რ. ბურასუს მიერ გაკეთებულ განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობს განამტკიცოს პროვინციაში ფრანგულ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობის კულტურული და ენობრივი ტრადიციები. მაგრამ კანადის უმაღლესმა სასამართლომ პროვინციის ხელისუფალთა გადაწყვეტილება მიიჩნია როგორც არაკონსტიტუციური და „სიტყვის თავისუფლების პრინციპის დარღვევად“.

□ □ □

სიძველეთა მოკვარული

იტალიის ქალაქ ტივოლში 41 წლის ინჟინერ პიერო ჩერულოს ბინაზე პოლიციის თანამშრომლებმა კონფისკაცია გაუკეთეს 45 ათას ხელოვნების ძეგლისძველ ნიმუშს, რომელთაც პრაქ-

ტიკულად შეუფასებელი მნიშვნელობა აქვთ ისტორიული მეცნიერებისათვის. სპეციალისტები აღასტურებენ, რომ ეს ნივთები განეკუთვნებიან ჩვენ წელთაღრიცხვამდე სხვადასხვა ეპოქას (ნეოლითიდან ეტრუსკების ხანამდე). კოლექციონერმა განაცხადა, რომ ამ ნივთებს 20 წლის განმავლობაში აგროვებდა იტალიასა და მის საზღვრებს გარეთ. სიძველეთა მოკვარული ექვმიტანილია ისტორიულ ღირებულებათა აუცილებელი რეგისტრაციის შესახებ კანონის დარღვევაში და მიმდინარეობს გამოძიება.

□ □ □

დააპატიმრეს... სახელდარი

იერუსალიმის აღმოსავლეთ ნაწილის საპოლიციო განყოფილებაში ორი დღის მანძილზე დააპატიმრებული ჰყავდათ... სახელდარი. მთელი მისი დანაშაული ის იყო, რომ როცა მისი პატრონი, ახალგაზრდა არაბი ისრაელის სამხედრო პატრულმა შეაჩერა და გალანხეს, ამის საპასუხოდ ცხოველმა გარისკავენს კბენა და წიხლების კვრა დაუწყო.

□ □ □

მოკვლენათა კულისაგზი

პარბზ ხანია, რაც მთელი ავსტრია თვალყურს ადევნებს პოლიციელთა საქმიანობას, რომელიც ეძებს ორ დამნაშავეს. ერთი ახლახანს იპოვეს, მეორე კი კვლავ მიმაღულია...

ვენის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ასეთი სურათი: ავტომანქანის საჭესთან წის ახალგაზრდა გამხდარი მამაკაცი, რომელსაც თავი უხიცოცხლოდ ჩამოუქინდრავს. პოლიციელებს ცოცხალი რომ არ ჩავარდნოდა ხელში, საკუთარი ხელით ტყვია მიიჭედა საფეთქელში. იოჰან კასტენბერგერმა მოკლენ დროში რვაჯერ გაძარცვა ბანკები. ამასთან, სამი ერთ დღეს გაძარცვა. მისი საერთო ნადავლი წმ მილიონ შილინგს შეადგენს. იგი ამერიკის პრეზიდენტის სახის გამოსახულების რეჟინის ნიღბით გამოცხადდებოდა



და პისტოლეტით პირდაპირ მოლარეს მიადგებოდა ხოლმე...

ავტომატურმა ტელეკამერებმა, რომლებიც ვენის ყველა ბანკსა და დაწესებულებაში არის დამონტაჟებული, თავიდან ბოლომდე დააფიქსირეს გაძარცვის სცენები, მაგრამ ნიღბიანი კაცის დაჭერა კი ვერავინ შეძლო.

ბოლოსდაბოლოს წესრიგის დამცველებმა მიაგნეს მის კვალს. კასტენბერგერის დაკავების ოპერაციაში მონაწილეობდა 400 პოლიციელი, 24 გაწვრთნილი ძაღლი და სამი შვეულმფრენი როცა დამნაშავე დარწმუნდა, რომ თავს ვეღარ დააღწევდა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

მეორე ძეგნილი უღო პროკშია. მას ბრალად ედება 212 მილიონი შილინგის ოდენობის სადაზღვევო თაღლითობა. ვენის მდიდარმა კონდიტერმა პროკშია გადაწვავდა უფრო მდიდარი გამხდარიყო და 1977 წელს ხომალდი დაიქირავა, დატვირთა ყუთებით, რომლებშიც დოკუმენტების მიხედვით ეწყო „ურანის მადნის დასაქუცმაცებელი წისქვილების“ დეტალები. ეს ავლადიდება დააზღვია დიდ თანხაზე, მაგრამ ინდოეთის ოკეანეში ჰონკონგთან ერთ-ერთი ყუთი აფეთქდა, ხომალდი ჩაიძირა და მ კაცი დაიღუპა.

ვიდრე სადაზღვევო თანხას გადაიხდიდნენ, სადაზღვევო კომპანიის აგენტებმა გადაწყვიტეს გამოეკითხათ ცოცხლად გადარჩენილი მეზღვაურები და გამოეძიათ თუ სინამდვილეში რა

ეწყო ყუთებში. გამოირკვა, რომ არავითარი „წისქვილები“ იქ არ იყო — ყუთები სავსე იყო ჭართით, ხოლო ერთში ასაფეთქებელი ნივთიერება.

10 წელი მიმდინარეობდა გამოძიება. „პროკშის საქმე“ ივსებოდა პოლიტიკოსების, სამხედრო მოხამსახურეებისა და პარლამენტის წევრთა ხულ ახალ-ახალი სახელებით. საგამოძიებო ორგანოებმა რამდენჯერმე გამოაცხადეს ძიების დამთავრების თაობაზე, მაგრამ საქმე სასამართლომდე ვერ მიდიოდა. ბოლოსდაბოლოს პროკურატურამ გასცა პროკშის დაპატიმრების ორდერი.

როცა პოლიციელები კონდიტერის ბინაზე მივიდნენ, იგი სადღაც გაუჩინარებულეყო. მას შემდეგ პროკში სხვადასხვა ქვეყნებში ნახეს, ინტერვიუებს აძლევდა ავსტრიელ და საზღვარგარეთის ჟურნალისტებს. გაზეთები ამტკიცებენ, რომ პროკში ვენის ქუჩებშიც კი დასერილობდა, შეხვდა აქ თავის მეგობრებს. მისი დაჭერა კი ვერ მოახერხეს ვერც ავსტრიის პოლიციამ და ვერც ძიებაში ჩართულმა ინტერპოლმა.

კონდიტერის სკანდალურმა ისტორიამ ავსტრიის საზოგადოებრიობის გულისწყრომა გამოიწვია. „პროკშის საქმეზე“ ლაპარაკი იყო ერთგნული საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზეც. შეიქმნა პარლამენტის კომისია, რომელმაც უნდა შეამოწმოს თუ რამდენად მართალია პრესის მტკიცება, რომ პროკშს მფარველობს ქვეყნის ზოგიერთი გამოჩენილი პოლიტიკოსი.



«САВЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 10 1989 (на грузин-

Ежемесячный научно-практический журнал Союза юристов ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Давида Агмашенебели, 103, тел.: 95-88-49; 95-58-87.
ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии,
Тбилиси, ул. Ленина, 14.

668/18



წასი 60 353

ნიმუხი 76185